| ბორჯომი | -37 | 29 | 10 | -2 | 3 | -4 | 1 | 1 | 4 | -2 | -8 | -1 | -17 | -4 | -7 | 1 | 7 | -27 |
| ნინოწმინდა | -72 | -13 | 19 | 11 | -2 | -7 | -9 | -6 | 25 | -6 | -23 | -19 | -13 | -25 | -24 | -12 | 4 | -172 |
| ბათუმი | -60 | 108 | 1 | 30 | 32 | 28 | 37 | 6 | 15 | 205 | -27 | 21 | -65 | 14 | 9 | -3 | 7 | 356 |
| ქედა | -138 | 21 | 0 | 2 | -2 | -11 | -2 | -5 | 13 | 0 | -10 | -9 | -25 | -11 | -14 | -5 | 4 | -192 |
| ქობულეთი | -61 | 60 | 1 | 17 | 14 | -4 | 11 | 1 | 20 | 51 | -13 | 6 | -21 | -9 | -22 | 4 | 12 | 68 |
| შუახევი | -156 | 20 | 0 | 2 | -15 | -19 | -18 | -16 | 18 | -25 | -21 | -13 | -22 | -20 | -25 | -6 | 13 | -301 |
| ხელვა აური | -110 | 82 | 0 | 23 | 13 | 0 | 16 | -1 | 27 | 68 | -21 | -7 | -39 | -21 | -23 | -12 | 8 | 2 |
| ხულო | -152 | 28 | 0 | -7 | -18 | -21 | -10 | -14 | 20 | -20 | -20 | -16 | -16 | -21 | -30 | -15 | 9 | -302 |
| ლან ხუთი | -67 | 30 | 1 | 20 | 3 | -4 | 1 | -1 | 7 | 14 | -7 | 1 | -15 | -6 | -6 | -9 | 7 | -29 |
| ოზურგეთი | -61 | 56 | 1 | 18 | 4 | 6 | 1 | 0 | 17 | 42 | -12 | 10 | -27 | -7 | -13 | 4 | 9 | 48 |
| ოხატაური | -89 | 18 | 0 | 5 | -10 | -9 | -12 | -10 | 7 | -6 | -2 | -3 | -6 | -15 | -17 | -19 | 10 | -156 |
| ფოთი | -36 | 37 | 1 | 11 | 11 | 10 | 7 | 2 | 2 | 33 | -5 | 3 | -21 | 4 | 6 | 0 | 5 | 69 |
| აბაშა | -63 | 13 | 0 | 2 | -6 | -4 | -6 | -13 | 5 | -6 | -5 | -7 | -10 | -12 | -8 | -12 | 5 | -127 |
| ზუგდიდი | -125 | 120 | 8 | 52 | 33 | 24 | 33 | 4 | 49 | 116 | -10 | 22 | -36 | 6 | -3 | -4 | 21 | 310 |
| მარტვილი | -47 | 32 | 2 | 17 | -5 | -10 | -9 | -10 | 12 | -1 | -8 | -14 | -7 | -17 | -18 | -7 | 11 | -77 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მესტია | -118 | 9 | 0 | -3 | -7 | -9 | -5 | -6 | 7 | -3 | -10 | -8 | -11 | -15 | -14 | -6 | 8 | -189 |
| სენაკი | -156 | 37 | 0 | 36 | 4 | -2 | 0 | -6 | 5 | 28 | -9 | 18 | -9 | -7 | -7 | 11 | 32 | -26 |
| ჩხოროწყუ | -81 | 49 | 0 | 33 | 3 | 0 | 7 | 3 | 20 | 33 | -8 | 10 | -5 | -1 | -5 | 9 | 11 | 78 |
| წალენჯიხა | -150 | 43 | 0 | 41 | -4 | -14 | -8 | -10 | 14 | 9 | -17 | 9 | 10 | -20 | -17 | -3 | 31 | -85 |
| ხობი | -38 | 42 | 4 | 19 | 0 | -4 | -1 | -5 | 17 | 9 | 0 | -2 | -2 | -4 | -11 | -10 | 10 | 25 |
| ქუთაისი | -216 | 180 | 14 | 99 | 60 | 39 | 54 | -4 | 14 | 280 | -17 | 74 | -66 | 19 | 22 | 47 | 46 | 643 |
| ტყიბული | -27 | 26 | 0 | 11 | 6 | -4 | 2 | -6 | 8 | 10 | -6 | -1 | -7 | -6 | -6 | -9 | 6 | -6 |
| წყალტუბო | -83 | 47 | 0 | 14 | -2 | -9 | -8 | -22 | 12 | 5 | -20 | -10 | -20 | -19 | -20 | -16 | 14 | -136 |
| ჭიათურა | -89 | 57 | 0 | 18 | -2 | -8 | -3 | -17 | 19 | 17 | -15 | -5 | -19 | -13 | -17 | 2 | 15 | -63 |
| ბაღდათი | -33 | 18 | 0 | 2 | -4 | -3 | -4 | -6 | 8 | -1 | -5 | -4 | -7 | -8 | -8 | 4 | 9 | -42 |
| ვანი | -143 | 16 | 3 | 19 | -10 | -9 | -12 | -13 | -2 | -20 | -15 | -4 | -4 | -19 | -19 | 3 | 16 | -213 |
| ზესტაფონი | -47 | 57 | 15 | 3 | 9 | 2 | 2 | -10 | 21 | 2 | -9 | 10 | -27 | -5 | -6 | 12 | 10 | 39 |
| თერჯოლა | -39 | 39 | 0 | 12 | 8 | 0 | 0 | 0 | 24 | 14 | -1 | -1 | -7 | -7 | -3 | -9 | 8 | 36 |
| სამტრედია | -75 | 58 | 0 | 23 | 9 | 1 | 4 | -4 | 25 | 40 | -5 | 14 | -12 | -8 | -2 | -8 | 12 | 72 |
| საჩხერე | -36 | 35 | 0 | 12 | 0 | -5 | -1 | -8 | 12 | 2 | 3 | 13 | -4 | -6 | -8 | -13 | 10 | 7 |
| ხარაგაული | -149 | 29 | 0 | 28 | -2 | -6 | -6 | -7 | 7 | 4 | 2 | 11 | -2 | -8 | -12 | 12 | 22 | -74 |
| ხონი | -47 | 25 | 0 | 5 | -4 | -5 | -4 | -10 | 10 | 0 | -9 | 0 | -4 | -10 | -10 | -3 | 4 | -61 |
| ახალგორი | -46 | 1 | 0 | -5 | -7 | -6 | -5 | -4 | -1 | -3 | -11 | -9 | -9 | -9 | -9 | -6 | 2 | -126 |
| დუშეთი | -132 | 13 | 1 | -7 | -14 | -18 | -17 | -14 | 2 | -14 | -19 | -14 | -28 | -21 | -19 | -15 | 6 | -308 |
| თიანეთი | -44 | 3 | 0 | 0 | -5 | -2 | -4 | -5 | 4 | -9 | -3 | -2 | -8 | -4 | -5 | -2 | 2 | -85 |
| მცხეთა | -64 | 50 | 0 | 13 | 8 | -2 | 2 | -7 | 8 | 24 | -3 | -1 | -22 | -10 | -14 | 5 | 5 | -6 |
| ყაზბეგი | -15 | 2 | 0 | -2 | -1 | -2 | -1 | -2 | 0 | 1 | -4 | -1 | -3 | -3 | -4 | -5 | 0 | -40 |
| ამბროლაური | -58 | 13 | 0 | 4 | -4 | -7 | -6 | -9 | 6 | -4 | -8 | -4 | -2 | -10 | -11 | -8 | 6 | -102 |
| ლენტეხი | -40 | 9 | 0 | 3 | -2 | -1 | -1 | -1 | 3 | -3 | -5 | -2 | -7 | -5 | -5 | 1 | 2 | -55 |
| ონი | -19 | 4 | 1 | 2 | -2 | -5 | -2 | -2 | 1 | -2 | -5 | -4 | -1 | -2 | -5 | -6 | 1 | -45 |
| ცაგერი | -71 | 11 | 0 | 2 | -10 | -11 | -6 | -10 | 4 | -14 | -11 | -9 | -5 | -13 | -12 | -6 | 4 | -156 |

ცხრილი №5: არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობა საგნებში, რეგიონების მიხედვით
(პირველი ვარიანტი)

| რეგიონი | ზოგადი დაწყებითი | ქართული | სხვა მშობლიური ენა | მათემატიკა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | გეოგრაფია | ისტორია | უცხო ენა | მუსიკა | სახვითი ხელოვნება | ფიზიკური აღზრდა | სამოქალაქო განათლება | ხაზვა | შრომითი სწავლება | ბუნებისმეტყველება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | -282 | 314 | 29 | 192 | 157 | 112 | 132 | 43 | 131 | 307 | -14 | 149 | -132 | 93 | 76 | 116 | 46 | 1470 |
| თბილისი | -1095 | 790 | -2 | 256 | 229 | 197 | 194 | -70 | 36 | 1284 | -212 | 225 | -540 | 91 | 88 | -7 | 149 | 1611 |
| შიდა ქართლი | -315 | 319 | 8 | 148 | 122 | 75 | 111 | 28 | 105 | 238 | -40 | 127 | -123 | 65 | 80 | 114 | 56 | 1115 |
| ქვემო ქართლი | -695 | 228 | 134 | 164 | 166 | 114 | 149 | 29 | 122 | 168 | -159 | 81 | -264 | 22 | 92 | 40 | 63 | 454 |
| სამცხე-ჯავახეთი | -444 | 88 | 83 | 68 | 110 | 64 | 80 | 22 | 117 | -28 | -61 | 63 | -137 | 28 | 61 | 52 | 42 | 206 |
| აჭარა | -676 | 372 | 2 | 142 | 149 | 100 | 161 | 49 | 140 | 347 | -82 | 127 | -214 | 77 | 83 | 79 | 52 | 908 |
| გურია | -217 | 122 | 2 | 69 | 54 | 50 | 47 | 25 | 44 | 72 | -6 | 72 | -54 | 38 | 46 | 30 | 26 | 419 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | -812 | 440 | 15 | 288 | 166 | 128 | 154 | 45 | 159 | 286 | -36 | 185 | -126 | 86 | 119 | 104 | 136 | 1335 |
| იმერეთი | -985 | 664 | 31 | 358 | 259 | 185 | 215 | 13 | 204 | 446 | -39 | 314 | -226 | 124 | 180 | 200 | 173 | 2114 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | -301 | 95 | 3 | 33 | 42 | 32 | 37 | 9 | 33 | 26 | -22 | 41 | -78 | 22 | 35 | 34 | 15 | 56 |
| მცხეთა მთიანეთი | -187 | 58 | 1 | 38 | 26 | 21 | 29 | 11 | 31 | -1 | -11 | 29 | -23 | 18 | 21 | 23 | 14 | 98 |
| სულ | -6010 | 3489 | 305 | 1757 | 1479 | 1077 | 1310 | 201 | 1122 | 3144 | -683 | 1414 | -1918 | 665 | 879 | 784 | 772 | 9786 |

ცხრილი №6. არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობა საგნებში, რეგიონების მიხედვით
(მეორე ვარიანტი)

| რეგიონი | ზოგადი დაწყებითი | ქართული | სხვა მშობლიური ენა | მათემატიკა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | გეოგრაფია | ისტორია | უცხო ენა | მუსიკა | სახვითი ხელოვნება | ფიზიკური აღზრდა | სამოქალაქო განათლება | ხაზვა | შრომითი სწავლება | ბუნებისმეტყველება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | -282 | 288 | 29 | 149 | 48 | 3 | 23 | -1 | 114 | 268 | -44 | 9 | -117 | -42 | -109 | 22 | 46 | 401 |
| თბილისი | -1095 | 763 | -4 | 216 | 132 | 100 | 98 | -120 | 12 | 1262 | -249 | 77 | -538 | -45 | -155 | -85 | 149 | 518 |
| შიდა ქართლი | -315 | 292 | 8 | 102 | 17 | -30 | 6 | -22 | 86 | 198 | -76 | -12 | -111 | -66 | -96 | 22 | 56 | 59 |
| ქვემო ქართლი | -695 | 182 | 104 | 88 | 11 | -41 | -6 | -60 | 90 | 107 | -197 | -112 | -242 | -164 | -169 | -101 | 63 | -1142 |
| სამცხე-ჯავახეთი | -444 | 62 | 48 | -7 | -24 | -69 | -53 | -60 | 87 | -93 | -102 | -91 | -106 | -123 | -132 | -71 | 42 | -1137 |
| აჭარა | -676 | 315 | 2 | 63 | 9 | -40 | 21 | -34 | 112 | 276 | -119 | -39 | -188 | -84 | -139 | -47 | 52 | -514 |
| გურია | -217 | 105 | 2 | 41 | -7 | -12 | -15 | -12 | 33 | 48 | -22 | 1 | -49 | -33 | -46 | -26 | 26 | -181 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | -812 | 378 | 15 | 194 | -6 | -44 | -18 | -56 | 127 | 204 | -81 | -18 | -88 | -111 | -141 | -52 | 136 | -375 |
| იმერეთი | -985 | 582 | 31 | 232 | 22 | -52 | -22 | -124 | 147 | 343 | -114 | 27 | -180 | -152 | -185 | -16 | 173 | -275 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | -301 | 66 | 1 | -5 | -25 | -35 | -30 | -35 | 13 | -5 | -41 | -36 | -68 | -56 | -62 | -27 | 15 | -631 |
| მცხეთა მთიანეთი | -187 | 37 | 1 | 10 | -22 | -26 | -18 | -23 | 13 | -26 | -30 | -24 | -14 | -34 | -40 | -22 | 14 | -392 |
| სულ | -6010 | 3068 | 236 | 1084 | 156 | -246 | -14 | -548 | 833 | 2582 | -1074 | -217 | -1704 | -912 | -1275 | -401 | 772 | -3669 |

ცხრილი №7. არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობა საგნებში რეგიონების მიხედვით
(მესამე ვარიანტი)

| რეგიონი | ზოგადი დაწყებითი | ქართული | სხვა მშობლიური ენა | მათემატიკა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | გეოგრაფია | ისტორია | უცხო ენა | მუსიკა | სახვითი ხელოვნება | ფიზიკური აღზრდა | სამოქალაქო განათლება | ხაზვა | შრომითი სწავლება | ინფორმაციული ტექნოლოგიები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | -282 | 290 | 29 | 152 | 65 | 20 | 40 | 2 | 114 | 272 | -36 | 35 | -115 | -18 | -74 | 35 | 46 | 574 |
| თბილისი | -1095 | 790 | -2 | 256 | 229 | 197 | 194 | -70 | 36 | 1284 | -212 | 225 | -540 | 91 | 88 | -7 | 149 | 1611 |
| შიდა ქართლი | -315 | 291 | 8 | 103 | 29 | -18 | 18 | -20 | 85 | 199 | -68 | 13 | -111 | -45 | -62 | 31 | 56 | 192 |
| ქვემო ქართლი | -695 | 190 | 105 | 96 | 33 | -19 | 15 | -51 | 93 | 111 | -193 | -77 | -238 | -133 | -113 | -82 | 63 | -893 |
| სამცხე-ჯავახეთი | -444 | 62 | 49 | -1 | -12 | -58 | -41 | -54 | 88 | -89 | -101 | -75 | -108 | -108 | -109 | -61 | 42 | -1019 |
| აჭარა | -676 | 319 | 2 | 68 | 23 | -26 | 35 | -29 | 113 | 279 | -113 | -18 | -188 | -68 | -105 | -38 | 52 | -370 |
| გურია | -217 | 105 | 2 | 43 | -3 | -8 | -11 | -10 | 31 | 49 | -21 | 9 | -48 | -27 | -35 | -23 | 26 | -137 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | -812 | 383 | 15 | 208 | 29 | -9 | 18 | -42 | 131 | 216 | -71 | 32 | -91 | -67 | -76 | -22 | 136 | -22 |
| იმერეთი | -985 | 586 | 31 | 246 | 67 | -6 | 23 | -107 | 158 | 352 | -96 | 97 | -179 | -91 | -89 | 22 | 173 | 203 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | -301 | 68 | 1 | -1 | -19 | -29 | -24 | -32 | 13 | -2 | -40 | -27 | -70 | -47 | -51 | -22 | 15 | -566 |
| მცხეთა მთიანეთი | -187 | 37 | 1 | 11 | -18 | -23 | -15 | -22 | 14 | -24 | -28 | -19 | -15 | -30 | -34 | -19 | 14 | -357 |
| სულ | -6010 | 3122 | 242 | 1182 | 423 | 21 | 253 | -435 | 875 | 2649 | -979 | 193 | -1703 | -544 | -660 | -185 | 772 | -785 |

ცხრილი №8: არსებული და საჭირო მასწავლებლები და მათ შორის სხვაობები სხვადასხვა ვარიანტებში, ქალაქ/სოფლის ჭრილში

| | | ზოგადი დაწყებითი | ქართული | სხვა მშობლიური ენა | მათემატიკა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | გეოგრაფია | ისტორია | უცხო ენა | მუსიკა | სახვითი ხელოვნება | ფიზიკური აღზრდა | სამოქალაქო განათლება | ხაზვა | შრომითი სწავლება | ბუნებისმეტყველება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საჭირო მასწავლებლების რაოდენობა (I ვარიანტი) | ქალაქი | 8889 | 2669 | 107 | 2474 | 526 | 526 | 526 | 1040 | 1692 | 3982 | 1186 | 329 | 2244 | 368 | 87 | 615 | | 27258 |
| | სოფელი | 12874 | 2939 | 355 | 2590 | 619 | 619 | 619 | 1091 | 1747 | 4536 | 1564 | 468 | 2843 | 464 | 109 | 710 | | 34147 |
| საჭირო მასწავლებლების რაოდენობა (II ვარიანტი) | ქალაქი | 8889 | 2723 | 112 | 2572 | 793 | 793 | 793 | 1152 | 1733 | 4048 | 1281 | 740 | 2245 | 735 | 702 | 851 | | 30142 |
| | სოფელი | 12874 | 3306 | 418 | 3165 | 1675 | 1675 | 1675 | 1728 | 1994 | 5031 | 1861 | 1688 | 2628 | 1673 | 1648 | 1679 | | 44718 |
| საჭირო მასწავლებლების რაოდენობა (III ვარიანტი) | ქალაქი | 8889 | 2669 | 107 | 2474 | 526 | 526 | 526 | 1040 | 1692 | 3982 | 1186 | 329 | 2244 | 368 | 87 | 615 | | 27258 |
| | სოფელი | 12874 | 3306 | 418 | 3165 | 1675 | 1675 | 1675 | 1728 | 1994 | 5031 | 1861 | 1688 | 2628 | 1673 | 1648 | 1679 | | 44718 |
| არსებული მასწავლებლების რაოდენობა | ქალაქი | 6810 | 4544 | 154 | 3190 | 1172 | 993 | 1069 | 993 | 1931 | 6701 | 799 | 929 | 1219 | 633 | 351 | 796 | 341 | 32624 |
| | სოფელი | 8943 | 4552 | 612 | 3631 | 1452 | 1229 | 1386 | 1339 | 2630 | 4960 | 1269 | 1282 | 1990 | 863 | 724 | 1313 | 430 | 38567 |
| არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობა (I ვარიანტი) | ქალაქი | -2079 | 1875 | 47 | 716 | 646 | 467 | 543 | -47 | 239 | 2719 | -387 | 600 | -1025 | 266 | 264 | 181 | 341 | 5365 |
| | სოფელი | -3931 | 1613 | 258 | 1041 | 833 | 610 | 767 | 248 | 883 | 425 | -295 | 814 | -893 | 399 | 615 | 603 | 430 | 4420 |
| არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობა (II ვარიანტი) | ქალაქი | -2079 | 1821 | 42 | 618 | 379 | 200 | 276 | -159 | 198 | 2653 | -482 | 189 | -1026 | -102 | -351 | -35 | 341 | 2482 |
| | სოფელი | -3931 | 1246 | 194 | 466 | -223 | -446 | -289 | -389 | 636 | -71 | -592 | -406 | -678 | -810 | -924 | -366 | 430 | -6151 |
| არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობა (III ვარიანტი) | ქალაქი | -2079 | 1875 | 47 | 716 | 646 | 467 | 543 | -47 | 239 | 2719 | -387 | 600 | -1025 | 266 | 264 | 181 | 341 | 5365 |
| | სოფელი | -3931 | 1246 | 194 | 466 | -223 | -446 | -289 | -389 | 636 | -71 | -592 | -406 | -678 | -810 | -924 | -366 | 430 | -6151 |

ცხრილი №9: დღეისათვის მომქმედი მასწავლებლებიდან სკოლაში დამრჩენი მასწავლებლების რაოდენობის პროგნოზი 2008-18 წლებში, რეგიონების მიხედვით

| რეგიონი | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 6336 | 5685 | 5646 | 5557 | 5430 | 5250 | 5053 | 4872 | 4697 | 4539 | 4347 |
| თბილისი | 13898 | 12161 | 12010 | 11834 | 11610 | 11359 | 11074 | 10763 | 10465 | 10165 | 9873 |
| შიდა ქართლი | 5608 | 4970 | 4904 | 4837 | 4728 | 4612 | 4488 | 4364 | 4233 | 4092 | 3958 |
| ქვემო ქართლი | 7783 | 6957 | 6898 | 6817 | 6693 | 6526 | 6332 | 6172 | 5979 | 5787 | 5584 |
| სამცხე-ჯავახეთი | 4497 | 4022 | 4004 | 3969 | 3915 | 3823 | 3744 | 3660 | 3589 | 3503 | 3397 |
| აჭარა | 7252 | 6472 | 6424 | 6357 | 6295 | 6201 | 6104 | 6005 | 5880 | 5770 | 5658 |
| გურია | 2556 | 2269 | 2249 | 2222 | 2184 | 2129 | 2083 | 2024 | 1964 | 1901 | 1841 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 7526 | 6617 | 6549 | 6475 | 6381 | 6246 | 6104 | 5928 | 5761 | 5612 | 5437 |
| იმერეთი | 11197 | 9732 | 9633 | 9506 | 9327 | 9123 | 8876 | 8637 | 8374 | 8118 | 7884 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | 2227 | 1877 | 1858 | 1833 | 1798 | 1753 | 1705 | 1654 | 1604 | 1565 | 1514 |
| მცხეთა მთიანეთი | 1234 | 1013 | 1001 | 980 | 959 | 936 | 913 | 880 | 855 | 836 | 804 |
| სულ | 70114 | 61775 | 61176 | 60386 | 59320 | 57958 | 56476 | 54959 | 53401 | 51888 | 50297 |

ცხრილი №10: 2009-18 წლებში, არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობის პროგნოზი რეგიონების მიხედვით (პირველი ვარიანტი)

| რეგიონი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 743 | 703 | 614 | 488 | 307 | 111 | -71 | -247 | -405 | -596 |
| თბილისი | -217 | -367 | -543 | -768 | -1019 | -1304 | -1616 | -1914 | -2215 | -2507 |
| შიდა ქართლი | 397 | 333 | 265 | 157 | 40 | -83 | -209 | -340 | -480 | -614 |
| ქვემო ქართლი | -464 | -524 | -605 | -728 | -896 | -1090 | -1250 | -1443 | -1635 | -1840 |
| სამცხე-ჯავახეთი | -331 | -348 | -384 | -438 | -529 | -608 | -692 | -762 | -849 | -954 |
| აჭარა | 45 | -5 | -72 | -134 | -228 | -324 | -424 | -548 | -658 | -770 |
| გურია | 86 | 66 | 39 | 1 | -54 | -100 | -158 | -218 | -282 | -341 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | 307 | 239 | 166 | 71 | -63 | -206 | -381 | -548 | -696 | -872 |
| იმერეთი | 469 | 371 | 242 | 65 | -140 | -386 | -624 | -887 | -1143 | -1376 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | -327 | -346 | -372 | -406 | -451 | -499 | -549 | -599 | -637 | -688 |
| მცხეთა მთიანეთი | -146 | -158 | -178 | -200 | -224 | -246 | -280 | -305 | -324 | -357 |
| სულ | 562 | -36 | -828 | -1892 | -3257 | -4735 | -6254 | -7811 | -9324 | -10915 |

ცხრილი №11: 2009-18 წლებში, არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდე-ნობების სხვაობის პროგნოზი რეგიონების მიხედვით (მეორე ვარიანტი)

| რეგიონი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | -141 | -181 | -270 | -397 | -577 | -774 | -954 | -1130 | -1288 | -1480 |
| თბილისი | -1065 | -1215 | -1391 | -1615 | -1866 | -2151 | -2462 | -2760 | -3060 | -3352 |
| შიდა ქართლი | -483 | -551 | -617 | -726 | -842 | -966 | -1093 | -1222 | -1364 | -1497 |
| ქვემო ქართლი | -1797 | -1856 | -1937 | -2060 | -2227 | -2420 | -2580 | -2773 | -2963 | -3168 |
| სამცხე-ჯავახეთი | -1478 | -1495 | -1530 | -1583 | -1675 | -1753 | -1836 | -1906 | -1991 | -2096 |
| აჭარა | -1154 | -1202 | -1269 | -1331 | -1425 | -1521 | -1620 | -1744 | -1854 | -1966 |
| გურია | -424 | -443 | -471 | -509 | -564 | -610 | -669 | -730 | -794 | -853 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | -1145 | -1213 | -1287 | -1382 | -1517 | -1660 | -1836 | -2003 | -2153 | -2328 |
| იმერეთი | -1561 | -1659 | -1788 | -1966 | -2172 | -2419 | -2659 | -2924 | -3182 | -3416 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | -917 | -935 | -961 | -995 | -1039 | -1087 | -1137 | -1187 | -1225 | -1276 |
| მცხეთა მთიანეთი | -574 | -586 | -607 | -628 | -652 | -674 | -707 | -733 | -752 | -784 |
| სულ | -10739 | -11336 | -12128 | -13192 | -14556 | -16035 | -17553 | -19112 | -20626 | -22216 |

ცხრილი №12: 2009-18 წლებში, არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდე-ნობების სხვაობის პროგნოზი რეგიონების მიხედვით (მესამე ვარიანტი)

| რეგიონი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | -1 | -40 | -129 | -256 | -436 | -632 | -812 | -987 | -1144 | -1335 |
| თბილისი | -238 | -390 | -568 | -796 | -1051 | -1341 | -1658 | -1962 | -2269 | -2565 |
| შიდა ქართლი | -384 | -450 | -518 | -625 | -741 | -866 | -992 | -1122 | -1262 | -1396 |
| ქვემო ქართლი | -1601 | -1660 | -1740 | -1863 | -2029 | -2221 | -2380 | -2572 | -2762 | -2965 |
| სამცხე-ჯავახეთი | -1377 | -1394 | -1429 | -1482 | -1572 | -1648 | -1730 | -1798 | -1882 | -1986 |
| აჭარა | -1040 | -1088 | -1154 | -1215 | -1309 | -1403 | -1501 | -1625 | -1732 | -1843 |
| გურია | -389 | -409 | -436 | -474 | -529 | -575 | -633 | -693 | -757 | -816 |
| სამეგრელო, ზემო სვანეთი | -857 | -925 | -999 | -1093 | -1228 | -1371 | -1547 | -1715 | -1864 | -2039 |
| იმერეთი | -1180 | -1278 | -1408 | -1586 | -1792 | -2039 | -2280 | -2545 | -2802 | -3036 |
| რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | -860 | -879 | -904 | -938 | -982 | -1029 | -1078 | -1127 | -1164 | -1215 |
| მცხეთა მთიანეთი | -543 | -555 | -576 | -597 | -620 | -642 | -675 | -700 | -718 | -750 |
| სულ | -8470 | -9068 | -9861 | -10925 | -12289 | -13767 | -15286 | -16846 | -18356 | -19946 |

ცხრილი №13: დღეისათვის მომქმედი მასწავლებლებიდან სკოლაში დამრჩენი მასწავლებლების რაოდენობის პროგნოზი სხვადასხვა წლებში, საგნების მიხედვით

| საგნები | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი დაწყებითი | 15753 | 13546 | 13394 | 13213 | 12991 | 12714 | 12438 | 12160 | 11901 | 11623 | 11324 |
| ქართული | 9097 | 8227 | 8156 | 8071 | 7947 | 7749 | 7516 | 7321 | 7062 | 6821 | 6574 |
| სხვა მშობლიური ენა | 766 | 683 | 675 | 669 | 656 | 637 | 608 | 578 | 552 | 532 | 504 |
| მათემატიკა | 6821 | 5856 | 5773 | 5673 | 5537 | 5389 | 5242 | 5031 | 4853 | 4670 | 4462 |
| ფიზიკა | 2624 | 2318 | 2291 | 2268 | 2211 | 2159 | 2090 | 2039 | 1968 | 1904 | 1849 |
| ქიმია | 2222 | 1993 | 1971 | 1939 | 1903 | 1844 | 1791 | 1729 | 1672 | 1612 | 1554 |
| ბიოლოგია | 2454 | 2084 | 2057 | 2014 | 1969 | 1896 | 1826 | 1764 | 1718 | 1672 | 1606 |
| გეოგრაფია | 2332 | 2081 | 2067 | 2048 | 2011 | 1973 | 1916 | 1852 | 1785 | 1723 | 1666 |
| ისტორია | 4560 | 4044 | 4020 | 3983 | 3928 | 3858 | 3768 | 3675 | 3579 | 3489 | 3397 |
| უცხო ენა | 11661 | 10317 | 10239 | 10099 | 9918 | 9692 | 9479 | 9243 | 8982 | 8731 | 8493 |
| მუსიკა | 2068 | 1981 | 1969 | 1952 | 1927 | 1902 | 1859 | 1822 | 1785 | 1758 | 1713 |
| სახვითი ხელოვნება | 2211 | 2072 | 2054 | 2043 | 2023 | 1992 | 1956 | 1924 | 1888 | 1858 | 1823 |
| ფიზიკური აღზრდა | 3169 | 2794 | 2767 | 2716 | 2667 | 2608 | 2540 | 2475 | 2407 | 2333 | 2266 |
| სამოქალაქო განათლება | 1496 | 1367 | 1359 | 1352 | 1341 | 1322 | 1294 | 1273 | 1253 | 1228 | 1202 |
| შრომითი სწავლება | 2109 | 1737 | 1714 | 1683 | 1641 | 1587 | 1533 | 1472 | 1408 | 1369 | 1306 |
| ბუნებისმეტყველება | 771 | 675 | 670 | 663 | 650 | 636 | 620 | 601 | 588 | 575 | 558 |
| სულ | 70114 | 61775 | 61176 | 60386 | 59320 | 57958 | 56476 | 54959 | 53401 | 51888 | 50297 |

ცხრილი №14: 2009-18 წწ. არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობის პროგნოზი, საგნების მიხედვით (პირველი ვარიანტი)

| საგნები | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი დაწყებითი | -8248 | -8400 | -8581 | -8803 | -9080 | -9356 | -9634 | -9893 | -10171 | -10470 |
| ქართული | 2619 | 2548 | 2463 | 2339 | 2141 | 1908 | 1713 | 1454 | 1213 | 966 |
| სხვა მშობლიური ენა | 227 | 219 | 212 | 200 | 180 | 151 | 121 | 96 | 75 | 47 |
| მათემატიკა | 792 | 708 | 609 | 472 | 324 | 178 | -33 | -212 | -394 | -603 |
| ფიზიკა | 1177 | 1150 | 1127 | 1069 | 1017 | 949 | 897 | 826 | 762 | 708 |
| ქიმია | 852 | 830 | 797 | 762 | 703 | 650 | 588 | 530 | 471 | 413 |
| ბიოლოგია | 942 | 915 | 872 | 828 | 755 | 685 | 623 | 576 | 531 | 465 |
| გეოგრაფია | -48 | -61 | -81 | -117 | -156 | -213 | -277 | -343 | -406 | -463 |
| ისტორია | 606 | 582 | 546 | 490 | 420 | 331 | 237 | 142 | 51 | -40 |
| უცხო ენა | 1796 | 1718 | 1578 | 1397 | 1171 | 958 | 722 | 462 | 211 | -28 |
| მუსიკა | -769 | -781 | -798 | -823 | -848 | -891 | -927 | -965 | -992 | -1037 |
| სახვითი ხელოვნება | 1278 | 1260 | 1249 | 1229 | 1198 | 1162 | 1130 | 1094 | 1065 | 1029 |
| ფიზიკური აღზრდა | -2296 | -2322 | -2374 | -2422 | -2482 | -2549 | -2615 | -2682 | -2757 | -2823 |
| სამოქალაქო განათლება | 539 | 531 | 524 | 513 | 494 | 466 | 445 | 425 | 400 | 374 |
| შრომითი სწავლება | 415 | 392 | 361 | 319 | 265 | 211 | 150 | 86 | 37 | -16 |
| ბუნებისმეტყველება | 680 | 675 | 668 | 655 | 641 | 625 | 606 | 593 | 580 | 563 |
| სულ | 562 | -36 | -828 | -1892 | -3257 | -4735 | -6254 | -7811 | -9324 | -10915 |

ცხრილი №15: 2009-18 წწ. არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობის პროგნოზი, საგნების მიხედვით (მეორე ვარიანტი)

| საგნები | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი დაწყებითი | -8248 | -8400 | -8581 | -8803 | -9080 | -9356 | -9634 | -9893 | -10171 | -10470 |
| ქართული | 2196 | 2127 | 2042 | 1918 | 1719 | 1487 | 1292 | 1033 | 791 | 544 |
| სხვა მშობლიური ენა | 159 | 151 | 145 | 132 | 113 | 83 | 53 | 28 | 8 | -21 |
| მათემატიკა | 119 | 35 | -64 | -201 | -348 | -495 | -706 | -885 | -1067 | -1275 |
| ფიზიკა | -147 | -174 | -197 | -255 | -307 | -375 | -427 | -498 | -562 | -616 |
| ქიმია | -472 | -494 | -527 | -562 | -621 | -674 | -736 | -794 | -853 | -911 |
| ბიოლოგია | -382 | -409 | -452 | -496 | -569 | -639 | -701 | -748 | -793 | -859 |
| გეოგრაფია | -797 | -810 | -830 | -866 | -905 | -961 | -1025 | -1092 | -1155 | -1212 |
| ისტორია | 319 | 295 | 259 | 203 | 133 | 44 | -50 | -145 | -236 | -327 |
| უცხო ენა | 1234 | 1156 | 1016 | 836 | 610 | 397 | 161 | -100 | -351 | -589 |
| მუსიკა | -1159 | -1171 | -1189 | -1213 | -1238 | -1282 | -1318 | -1355 | -1382 | -1427 |
| სახვითი ხელოვნება | -353 | -371 | -382 | -403 | -433 | -470 | -501 | -537 | -567 | -603 |
| ფიზიკური აღზრდა | -2081 | -2107 | -2159 | -2207 | -2267 | -2334 | -2400 | -2467 | -2542 | -2608 |
| სამოქალაქო განათლება | -1039 | -1046 | -1053 | -1064 | -1083 | -1111 | -1132 | -1152 | -1178 | -1204 |
| შრომითი სწავლება | -770 | -793 | -824 | -866 | -921 | -974 | -1035 | -1100 | -1148 | -1201 |
| ბუნებისმეტყველება | 680 | 675 | 668 | 655 | 641 | 625 | 606 | 593 | 580 | 563 |
| სულ | -10739 | -11336 | -12128 | -13192 | -14556 | -16035 | -17553 | -19112 | -20626 | -22216 |

ცხრილი №16: 2009-18 წწ. არსებული და საჭირო მასწავლებლების რაოდენობების სხვაობის პროგნოზი, საგნების მიხედვით (მესამე ვარიანტი)

| რეგიონი | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადი დაწყებითი | -8248 | -8400 | -8581 | -8803 | -9080 | -9356 | -9634 | -9893 | -10171 | -10470 |
| ქართული | 2252 | 2181 | 2096 | 1972 | 1773 | 1541 | 1346 | 1087 | 845 | 599 |
| სხვა მშობლიური ენა | 164 | 156 | 150 | 137 | 118 | 89 | 59 | 33 | 13 | -15 |
| მათემატიკა | 217 | 133 | 33 | -103 | -251 | -397 | -609 | -787 | -969 | -1178 |
| ფიზიკა | 120 | 95 | 70 | 12 | -40 | -108 | -160 | -231 | -295 | -349 |
| ქიმია | -205 | -227 | -260 | -295 | -354 | -407 | -469 | -527 | -586 | -644 |
| ბიოლოგია | -115 | -142 | -185 | -229 | -302 | -372 | -434 | -481 | -526 | -592 |
| გეოგრაფია | -684 | -698 | -717 | -754 | -792 | -849 | -913 | -980 | -1042 | -1099 |
| ისტორია | 361 | 337 | 300 | 244 | 175 | 85 | -8 | -104 | -194 | -286 |
| უცხო ენა | 1301 | 1223 | 1083 | 902 | 676 | 463 | 227 | -34 | -284 | -523 |
| მუსიკა | -1065 | -1076 | -1094 | -1118 | -1143 | -1187 | -1223 | -1260 | -1288 | -1332 |
| სახვითი ხელოვნება | 57 | 39 | 28 | 8 | -23 | -59 | -91 | -127 | -156 | -192 |
| ფიზიკური აღზრდა | -2080 | -2106 | -2158 | -2206 | -2266 | -2333 | -2399 | -2466 | -2541 | -2607 |
| სამოქალაქო განათლება | -671 | -679 | -686 | -697 | -716 | -744 | -765 | -785 | -810 | -836 |
| შრომითი სწავლება | -554 | -577 | -608 | -650 | -705 | -758 | -819 | -884 | -932 | -985 |
| ბუნებისმეტყველება | 680 | 675 | 668 | 655 | 641 | 625 | 606 | 593 | 580 | 563 |
| სულ | -8470 | -9068 | -9861 | -10925 | -12289 | -13767 | -15286 | -16846 | -18356 | -19946 |

## მასწავლებელთა არსებული ნაკადის კვლევა:

## საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო მასწავლებელთა არსებული ნაკადის განწყობების და მოლოდინების კვლევა, რასაც, საბოლოო ჯამში, უნდა განესაზღვრა მასწავლებელთა მობილობის – სკოლაში დარჩენის თუ სკოლიდან გადინების თავისებურებები.

*გამოკვლევის ტიპი:* ეროვნული შერჩევის რაოდენობრივი კვლევა.

*კვლევის მეთოდი:* პირისპირ ინტერვიუ.

*კვლევის ინსტრუმენტი;* კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სახელმწიფო/კერძო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლები.

აღნიშნული ჯგუფი ჩაითვალა, როგორც დამოუკიდებელი გენერალური ერთობლიობა, რომლის მიმართაც აიგო რეპრეზენტატული შერჩევა.

სამიზნე ჯგუფის თავისებურებების შესაბამისად, შემუშავდა კითხვარი, რომელმაც მოიცვა შემდეგი თემები:

• როგორ აფასებენ მასწავლებლები საშუალო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს? (უპირატესობები და ნაკლოვანებები)

• მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას სასერტიფიკაციო გამოცდებში, რომელიც დაიწყება 2010 წლიდან?

• რა არის, მათი აზრით, ზოგადად, საშუალო განათლების სისტემის და, კერძოდ, მათი საკუთარი სკოლების ძირითადი პრობლემები, რომლებიც პირველ რიგში უნდა გადაიჭრას?

• აპირებენ თუ არა, რომ დარჩნენ სკოლებში, თუ დატოვებენ სკოლას უახლოესი 10 წლის განმავლობაში?

• შეიცვლიან თუ არა სამუშაოს იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდება სხვა, უკეთესად ანაზღაურებადი სამსახური?

• რა არის მთავარი მოტივაცია მათთვის, ვისაც სურს სკოლის დატოვება? რა შემთხვევაში შეიცვლიდნენ გადაწყვეტილებას?

• რა არის სკოლაში მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები და რა ალტერნატივები აქვს მას.

## შერჩევა

გენერალური ერთობლიობა: საქართველოს სკოლების მასწავლებლები.

შერჩევის ბაზა: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სკოლების ბაზა, მასწავლებელთა რაოდენობების მითითებით.

შერჩევის მოცულობა: 4000 დასრულებული ინტერვიუ.

შერჩევის დიზაინი: ორსაფეხურიანი სტრატიფიცირებული შერჩევა.

თავდაპირველად შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა რეგიონებზე ისე, რომ თითოეული რეგიონისათვის შერჩევითი ცდომილება არ ყოფილიყო 5%-ზე მეტი 95%-იანი საიმედოობით. მთელი ქვეყნის მასშტაბით, შერჩევის მოდელი უზრუნველყოფს შეფასების მაქსიმუმ 2%-იან ცდომილებას (იხ. ცხრილი №1ა):

ცხრილი №1ა

| | რეგიონი | სასწავლებლების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | კახეთი | 370 |
| 2. | იმერეთი | 390 |
| 3. | შიდა ქართლი | 370 |
| 4. | ქვემო ქართლი | 380 |
| 5. | სამცხე-ჯავახეთი | 370 |
| 6. | აჭარა | 380 |
| 7. | გურია | 340 |
| 8. | სამეგრელო, ზემო სვანეთი | 380 |
| 9. | თბილისი | 380 |
| 10. | მცხეთა-მთიანეთი | 340 |
| 11. | რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი | 300 |
| | სულ | 4000 |

სტრატიფიკაცია განხორციელდა ორი ნიშნის მიხედვით:

1. **სკოლის საფეხური:**
   - **დაწყებითი;**
   - **საბაზო;**
   - **საშუალო.**

2. **სკოლის ტიპი:**
   - **სახელმწიფო;**
   - **არასახელმწიფო.**

სტრატებში ინტერვიუების რაოდენობა გადანაწილდა მათში მასწავლებლების რაოდენობის პროპორციულად.

შერჩევის პირველად ერთეულს წარმოადგენდა სკოლა. ყოველ შერჩეულ სკოლაში უნდა ჩატარებულიყო 10 ინტერვიუ (გარდა დაწყებითი სკოლებისა, სადაც ტარდება 6 ინტერვიუ)

სკოლების შერჩევა განხორციელდა PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით.

სულ შერჩევაში მოხვდა 403 საშუალო სკოლა, საქართველოს 11 რეგიონში (იხ. ცხრილი №1ბ):

ცხრილი №1ბ

| № | რეგიონი | სკოლების რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 30 |
| 2. | მცხეთა-მთიანეთი | 34 |
| 3. | იმერეთი | 38 |
| 4. | სამეგრელო/ზემო სვანეთი | 38 |
| 5. | სამცხე-ჯავახეთი | 37 |
| 6. | გურია | 34 |
| 7. | აჭარა | 38 |
| 8. | ქვემო ქართლი | 38 |
| 9. | შიდა ქართლი | 38 |
| 10. | თბილისი | 40 |
| 11. | კახეთი | 38 |
| | სულ | 403 |

ყოველ შერჩეულ სკოლაში ინტერვიუერს განესაზღვრა, რომელი საგნის მასწავლებლები გამოეკითხა. სკოლების (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) შერჩევა განხორციელდა ისე, რომ ყველა სკოლაში გამოიკითხა თითქმის ყველა არსებული საგნის ერთი მასწავლებელი მაინც.

თუ სკოლაში რომელიმე საგანს რამდენიმე მასწავლებელი ასწავლიდა, მათგან რესპონდენტი შეირჩა დაბადების თარიღის პრინციპით.

## I. საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შეფასება

მასწავლებელთა გამოკვეთილი უმრავლესობა (73.2%) საკუთარი ინფორმირებულობის ხარისხს, საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ, აფასებს, როგორც „საკმარისს“. სრული ინფორმაციის ფლობაზე პრეტენზიას მხოლოდ 17.4% აცხადებს. მასწავლებელთა შორის ყოველი მეათე აღიარებს, რომ მწირი ინფორმაცია გააჩნია მიმდინარე რეფორმებზე *(იხ. დიაგრამა №1):*

დიაგრამა №1




პედაგოგთა ასევე გამოკვეთილი უმრავლესობის (70.7%) განწყობა, საერთო ჯამში, გატარებული რეფორმების მიმართ დადებითია: მათი აზრით, ამ რეფორმებმა ხელი შეუწყო საშუალო განათლების სისტემის განვითარებას საქართველოში. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ პედაგოგთა ამ ნაწილის უმცირესობას შეადგენენ ისინი, ვინც ერთმნიშვნელოვნად დადებითად აფასებს საშუალო განათლების რეფორმას, ანუ ფიქრობს, რომ გატარებულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ სფეროს განვითარებას საქართველოში. საერთო პოზიტიური შეფასების ფონზე, საყურადღებოა ისიც, რომ ყოველი მეოთხე გამოკითხული პედაგოგი თვლის, რომ გატარებული რეფორმები ხელს უშლის საშუალო განათლების სისტემის განვითარებას. *(იხ. დიაგრამა №2):*

ცხრილი №2

| როგორ ფიქრობთ, განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო თუ პირიქით, ხელი შეუშალა საშუალო განათლების სისტემის განვითარებას საქართველოში? | % |
|---|---|
| მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი | 17.0 |
| უფრო ხელი შეუწყო, ვიდრე შეუშალა | 53.7 |
| უფრო ხელი შეუშალა, ვიდრე შეუწყო | 22.4 |
| მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი | 2.2 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 4.6 |

მასწავლებლებს საშუალება ჰქონდათ, შეეფასებინათ საშუალო განათლების სფეროში გატარებული ესა თუ ის კონკრეტული ცვლილება ან ღონისძიება. როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, პედაგოგთა განსკუთრებულ მხარდაჭერას იმსახურებს შემდეგი ცვლილებები თუ ღონისძიებები:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება;
- ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ტრენინგები;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები;
- მოსწავლეთა ქცევის კოდექსის შექმნა;
- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შემოღება.

დადებითი შეფასების ველში ექცევა, აგრეთვე:
- სამეურვეო საბჭოების შექმნა;
- ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების დანერგვა;
- მოსწავლეთა შეფასების წესი.

პედაგოგთა გამოკვეთილად უარყოფით შეფასებას იმსახურებს მხოლოდ ერთი ცვლილება: 12 წლიანი საშუალო განათლების შემოღება.

უარყოფითი შეფასების ველში ექცევა, აგრეთვე, საგნების ტრიმესტრული სწავლება.

პედაგოგთა შეფასებები გაიყო (თუმცა, რამდენადმე უარყოფითი აქცენტით) ისეთ ცვლილებებთან დაკავშირებით, როგორიცაა სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესი და დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა.

შედეგები დეტალურად მოცემულია *ცხრილში №3:*

ცხრილი №3

| რამდენად დადებითად ან უარყოფითად აფასებთ ბოლო წლებში განათლების სფეროში გატარებულ ცვლილებებს? | დადებითად/ უფრო დადებითად % | არც დადებითად არც უარყოფითად % | უარყოფითად/ უფრო უარყოფითად % | მიჭირს პასუხის გაცემა % |
|---|---|---|---|---|
| ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება | 82.6 | 6.5 | 9.6 | 1.3 |
| ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ტრენინგები[1] | 77.6 | 10.8 | 4.9 | 2.7 |
| სკოლის ბაზაზე მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგები[2] | 74.4 | 7.7 | 4.7 | 1.6 |
| მასწავლებელთა ქცევის კოდექსი | 73.8 | 11.4 | 13.4 | 1.5 |
| ახალი ეროვნული სასწავლო გეგმები | 61.8 | 18.9 | 17.4 | 2.0 |
| სამეურვეო საბჭოების შექმნა | 58.9 | 23.6 | 16.2 | 1.3 |
| ახალი სახელმძღვანელოები | 54.4 | 16.4 | 27.2 | 3.0 |
| მასწავლებელთა შეფასების წესი | 52.5 | 14.9 | 31.2 | 1.2 |
| დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა | 38.0 | 15.1 | 44.7 | 2.2 |
| სკოლის დირექტორის შერჩევის ახალი წესი | 33.9 | 15.4 | 49.1 | 1.7 |
| სკოლების ტრანსპორტირებული სწავლება | 32.6 | 13.3 | 52.4 | 1.7 |
| 12 წლიანი საშუალო განათლება | 13.9 | 9.4 | 73.2 | 3.5 |

რეფორმების მიმართ პედაგოგთა პოზიტიური დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ვლინდება იმ კონკრეტული ცვლილებების შეფასებისას, რომელთა გატარებაც ახლო მომავალში იგეგმება. კერძოდ, ლაპარაკია ორ მნიშვნელოვან ცვლილებაზე:

I ცვლილება: არა ზოგადად ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის, არამედ მხოლოდ განათლების ბაკალავრიატის და განათლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება;

II ცვლილება: განათლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეეძლება ასწავლოს მხოლოდ დაწყებით კლასებში (I-VI კლასი), ხოლო ძირითად და დამამთავრებელ კლასებში – მხოლოდ განათლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, მასწავლებელთა უმრავლესობას ორივე ცვლილების გატარება გამართლებულად მიაჩნია. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ, სულ მცირე, ყოველი მესამე მასწავლებელი მეტ-ნაკლებად გაუმართლებლად მიიჩნევს მასწავლებელთა კატეგორიულ დაყოფას დაწყებითი და არადაწყებითი კლასების პედაგოგებად.

1 პედაგოგთა 4.0% აცხადებს, რომ აღნიშნული ტრენინგები არ გაუვლია.
2 პედაგოგთა 11.7% აცხადებს, რომ აღნიშნული ტრენინგები არ გაუვლია.

შედეგები დეტალურად მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4

| რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ შემდეგი ცვლილებების შეტანა? | სრულიად/უფრო გამართლებულია % | სრულიად/უფრო არ არის გამართლებული % | მიჭირს პასუხის გაცემა % |
|---|---|---|---|
| პირველი ცვლილება | 63.9 | 27.3 | 8.8 |
| მეორე ცვლილება | 55.0 | 35.1 | 9.8 |

**<u>რეგიონული ჭრილი</u>**

**საშუალო განათლების სფეროში გატარებული რეფორმების მიმართ, საერთო დადებითი განწყობის ფონზე, დისონანსს ქმნის რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში გამოკითხული პედაგოგები. ამ რეგიონის მასწავლებელთა უმრავლესობა (54.7%) იმის აზრისაა, რომ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუშალა (მეტ-ნაკლებად) საშუალო განათლების სისტემის განვითარებას საქართველოში.**

**ცალკეულ რეფორმისტულ ცვლილებებთან დაკავშირებით, როგორც საერთო შერჩევასთან, ისე ზოგიერთი რეგიონის მიმართ, მკვეთრი სხვაობები ფიქსირდება:**

- **დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლას განსაკუთრებით აპროტესტებენ რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის პედაგოგები (შესაბამისად, 82.6% და 74.4%); პირიქით, გამორჩეულად პოზიტიური შეფასება აღნიშნულ ცვლილებას წილად ხვდა აჭარაში (დადებითად აფასებს 56.1%);**
- **სკოლის დირექტორის შერჩევის ახალ წესს დადებითად აფასებენ სამცხე-ჯავახეთის პედაგოგები (51%), რაც დისონანსს ქმნის საერთო შეფასების ფონზე;**
- **მასწავლებელთა შეფასების წესს, ყველა სხვა რეგიონისაგან განსხვავებით, უარყოფითად აფასებს რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის პედაგოგთა უმრავლესობა (54.9%);**
- **რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის პედაგოგთა ყველაზე დიდ ნაწილს (45.0%) არც ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები მოსწონს. რესპონდენტების საერთო შერჩევის დადებითი შეფასებისაგან, სახელმძღვანელოების მიმართ, განსხვავდებიან თბილისელი პედაგოგებიც – შეფასებები წინააღმდეგობრივია.**

# II. დამოკიდებულება მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ

## 2.1. სერტიფიცირების ზოგადი შეფასება და ინფორმირებულობის ხარისხი

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებელთა 2010 წლისთვის დაგეგმილი სერტიფიცირების[3], როგორც საშუალო განათლების მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი ეტაპის, მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. თუ პედაგოგთა თვალსაზრისს მთლიანობაში შევაფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (თითქმის 80%-მდე), ზოგადად, სერტიფიცირების მომხრეა. თუმცა, პედაგოგთა ამ ნაწილში განწყობა, ძირითადად, ორ განსხვავებულ პოზიციას შორის ნაწილდება: ერთი პოზიციის თანახმად, მასწავლებელთა სერტიფიცირება 2010 წლისთვის დროული და აუცილებელია, ხოლო, პედაგოგთა მეორე, უფრო დიდი ნაწილის აზრით, სერტიფიცირება საჭიროა, ოღონდ, არა ამ ეტაპზე.

სერტიფიცირების მიმართ კატეგორიულად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს თითქმის ყოველი მეხუთე გამოკითხული პედაგოგი.

შედეგები დეტალურად *იხ. დიაგრამა ზე №2:*

დიაგრამა №2




3 როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წელს იწყებს მასწავლებელთა სერტიფიცირებას. 2010-დან 2014 წლის ჩათვლით, სერტიფიცირება იქნება ნებაყოფლობითი, ხოლო შემდეგ – სავალდებულო. ამასთან, მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, რამდენჯერმე გავიდნენ გამოცდებზე.

პედაგოგთა პოზიციები ერთმანეთს დაშორდა იმ საკითხშიც, თუ რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ ისინი სერტიფიცირებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა სერტიფიცირების ვადები, კრიტერიუმების და ა.შ. გამოკითხვის შედეგებში ორი ურიერთგამომრიცხავი შეფასება პრევალირებს: ა) „მაქვს მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია“ და ბ) „მაქვს მწირი ინფორმაცია“

*(იხ. დიაგრამა №3):*

დიაგრამა №2




## 2.2. სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა

აპირებენ თუ არა მასწავლებლები სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობას? გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ პედაგოგთა დიდი უმრავლესობის (86.3%)მონაწილეობისთვის არის განწყობილი, თუმცა, მათგან მხოლოდ დაახლოებით ნახევარს აქვს მყარად გადაწყვეტილი, მიიღოს მონაწილეობა („აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას“). აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა მთელ კორპუსში მხოლოდ 1.0% აღმოჩნდა ისეთი, ვინც უარი განაცხადა სერტიფიცირებაში მონაწილეობაზე. დამატებით კიდევ 6.4% არმონაწილეობისაკენ იხრება.

შედეგები დეტალურად *იხ. დიაგრამაზე №4:*

დიაგრამა №4




მასწავლებელთა ის მცირე ნაწილი (7.4%), რომელმაც უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობაზე, ძირითად მიზეზად იმას ასახელებს, რომ გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა მათთვის შეურაცხმყოფელია. დასახელებულია სხვა ობიექტური (მაგ. „ისედაც ვაპირებ სკოლის დატოვებას") თუ სუბიექტური (მაგ. „არ მაქვს იმედი, რომ გამოცდები სამართლიანად ჩატარდება") მიზეზებიც. თუმცა, ამ აზრს იმდენად ცოტა პედაგოგი იზიარებს, რომ მისი გენერალიზება შეუძლებელია (იხ. ცხრილი №5):

ცხრილი №5

| რა განაპირობებს იმას, რომ იქნებ არ მიიღებთ, ან, შესაძლოა, არ მიიღოთ მონაწილეობა სერტიფიცირების გამოცდებში? | % |
|---|---|
| ჩემთვის გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა შეურაცხმყოფელია | 2.8 |
| ისედაც ვაპირებ სკოლის დატოვებას | 1.6 |
| არ მაქვს იმედი, რომ სერტიფიცირების გამოცდები სამართლიანად ჩატარდება | 1.2 |
| სერტიფიცირების სტანდარტებს საერთოდ არ ვიცნობ | 1.2 |
| გამოცდები ჩატარდება ისეთი ტესტებით, რომლებიც შინაარსში ჩემს [illegible] [illegible] | 0.5 |
| ვფიქრობ, რომ, დაბალი პედაგოგიურობის გამო, გამოცდებში საჭირო ქულას ვერ დავაგროვებ | 0.0 |
| მიზეზის მითითების გარეშე | *0.5* |

*შენიშვნა: ცხრილში მონაცემები დათვლილია პედაგოგთა მთელი შერჩევიდან; ამასთან, რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ერთზე მეტი მიზეზი (ამიტომ, პასუხთა ჯამი 7.4%-ს აჭარბებს).*

რამდენად მყარია პედაგოგთა ერთი ნაწილის უარი სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებით? გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებელთა იმ ჯგუფიდან (7.4%), რომელიც უარყოფითადაა განწყობილი სერტიფიცირებისადმი, ყოველი მესამე აღიარებს, რომ მოსალოდნელია, შეიცვალოს პოზიცია და გავიდეს სასერტიფიკაციო გამოცდებზე. ამ შესაძლებლობას არ მიესალმება აღნიშნული კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობა (56.0%, რაც მთელი შერჩევისათვის 4.1%-ია), თუმცა, მათ შორისაც კი უფრო მცირე ნაწილს შეადგენენ ისინი, ვინც გადაწყვეტილად პასუხობს, რომ პოზიციას არ შეიცვლის და არ მიიღებს მონაწილეობას სერტიფიცირების პროცესში. ეს ნაწილი პედაგოგთა საერთო შერჩევისათვის 1.6%-ს შეადგენს. ამდენად, გამოკითხვის მონაცემებით ირკვევა, რომ დღეს დასაქმებულ პედაგოგთა მხოლოდ 1.6% ამბობს უარს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაზე და, უარეს შემთხვევაში, ეს რიცხვი შეიძლება 4.2%-მდე გაიზარდოს
*(იხ. დიაგრამა №5):*

დიაგრამა №5



*შენიშვნა: ამ შეკითხვას პასუხობს პედაგოგთა 7.4%, ვინც უარყოფითადაა განწყობილი სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობისათვის.*

სერტიფიცირების მიმართ ნეგატიურად განწყობილ პედაგოგთა ის ნაწილი (5.2%), რომელიც არ გამორიცხავს, რომ შეიძლება პოზიცია შეიცვალოს, სერტიფიცირებაში მონაწილეობის მთავარ პირობად აყენებს იმას, რომ გამოცდები ჩატარდეს ისეთი ტესტებით, რომელთა შინაარსი განისაზღვრება იმ საგნითა და კლასით, რომელსაც ასწავლიან. რამდენადმე გასათვალისწინებელ პირობას წარმოადგენს, აგრეთვე, სერტიფიცირების გავლის შემდეგ რეალური პრივილეგიების მინიჭება. დანარჩენი პირობების ხვედრითი წილი უმნიშვნელოა (იხ. ცხრილი №6):

ცხრილი №6

| რა შემთხვევაში შეიცვლიდით პოზიციას და მიიღებდით გადაწყვეტილებას, ჩააბაროთ სასერტიფიკაციო გამოცდები? | % |
|---|---|
| თუ გამოცდები ჩატარდება ისეთი ტესტებით, რომელთა შინაარსი განისაზღვრება იმ საგნით და კლასით, რომელსაც ვასწავლი | 2.3 |
| თუ შევიტყობ, რომ სერტიფიცირების გავლა რეალურ პრივილეგიებს მომანიჭებს | 1.5 |
| თუ სერტიფიცირების მოთხოვნები იქნება სავალდებულო | 0.7 |
| თუ დავრწმუნდები, რომ გამოცდები ობიექტურად ჩატარდება | 0.7 |
| თუ სერტიფიცირების მოთხოვნები იქნება გამჭვირვალე | 0.4 |
| თუ შევძლებ ისეთ დონეზე მომზადებას, რომ გავხდე კონკურენტუნარიანი | 0.4 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 0.6 |

*შენიშვნა: ამ შეკითხვას პასუხობს პედაგოგთა 5.2%, ვინც არ გამორიცხავს, რომ შეიძლება შეიცვალოს პოზიცია და მიიღოს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში. ამასთან, რესპონდენტებს შეეძლოთ, დაესახელებინათ ერთზე მეტი პირობა (ამიტომ, პასუხთა ჯამი 5.2%-ს აჭარბებს).*

პედაგოგთა იმ დიდი უმრავლესობიდან (86.3%), ვინც სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას აპირებს, ძირითადი ნაწილი (44.6%) ამას 2010 წლისთვის გეგმავს. საინტერესოა, რომ საკმაოდ დიდ რაოდენობას (30%-მდე) უჭირს დაასახელოს ის წელი, როდესაც სასერტიფიკაციო გამოცდებზე გავა *(იხ. დიაგრამა №6):*

დიაგრამა №6




*შენიშვნა: პირველ სვეტში შედეგები დათვლილია მასწავლებელთა იმ რაოდენობიდან, რომელიც აპირებს („აუცილებლად“ ან „ალბათ“) ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები (ასეთია 86.3%); ხოლო, მეორე სვეტში მონაცემები დათვლილია პედაგოგთა მთელი შერჩევიდან.*

ის, რომ საქართველოს მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი განწყობილია სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობისათვის, იმითაც დასტურდება, რომ ისინი აპირებენ ხელმეორედ გავიდნენ გამოცდებზე, თუ მათი პირველი და შემდეგი მცდელობაც წარუმატებლად დამთავრდა *(იხ. დიაგრამები №№7,8):*

დიაგრამა №7




*შენიშვნა: შედეგები დათვლილია მასწავლებელთა მთელი შერჩევის იმ რაოდენობიდან, რომელიც აპირებს, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები (ასეთია 86.3%).*

დიაგრამა №8




*შენიშვნა: შედეგები დათვლილია მასწავლებელთა იმ რაოდენობიდან, რომელიც აპირებს, ხელმეორედ გავიდეს სასერტიფიკაციო გამოცდებზე იმ შემთხვევაში, თუ მისი პირველი მცდელობა წარუმატებლად დასრულდა (ასეთია 83.1% მასწავლებელთა მთელი შერჩევის იმ რაოდენობიდან, რომელიც, საერთოდ, აპირებს, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები).*

როგორ აფასებენ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის *საკუთარ შესაძლებლობებს* მასწავლებლები (იმის გათვალისწინებით, რომ მათი შესაძლებლობები ობიექტურად შეფასდება)? როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, გამოცდების ვერჩაბარების (ანუ, კონკურსში ვერგასვლის) შიში პედაგოგთა ძალზე მცირე რაოდენობას აწუხებს. სერტიფიცირებაში მონაწილეობის მსურველი პედაგოგები ძირითადად ორ, თითქმის

თანაბარ კატეგორიად იყოფიან: ა) ისინი,ვინც ფიქრობენ,რომ გამოცდებს უპრობლემოდ ჩააბარებენ, რადგან მათი კვალიფიკაცია მაღალია და ბ) ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ გამოცდებს იმ შემთხვევაში ჩააბარებენ, თუ ამისათვის დამატებით სერიოზულად მოემზადებიან.

შედეგები დეტალურად *იხ. ცხრილში №7:*

ცხრილი №7

| [illegible] წარმატებით ჩააბარებთ თუ არა სასერტიფიკაციო გამოცდებს? | % | % [illegible] |
|---|---|---|
| ფიქრობს, რომ, ჩემი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, გამოცდებს უპრობლემოდ ჩავაბარებ | 45.0 | 38.8 |
| მხოლოდ სერიოზული დამატებითი მომზადების შედეგად მაქვს შანსი, გამოცდები ჩავაბარო | 40.2 | 34.7 |
| [illegible] | 3.7 | 3.2 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 11.1 | 9.6 |

*შენიშვნა:* პირველ სვეტში შედეგები დათვლილია მასწავლებელთა მთელი შერჩევის იმ რაოდენობიდან, ვინც აპირებს, ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდები (ასეთია 86.3%).

როგორც გამოკითხვის სხვა შედეგები აჩვენებს, მასწავლებელთა მიერ საკუთარი შანსების შეფასება პრაქტიკულად ემთხვევა მათივე სკოლის მასწავლებელთა საერთო შესაძლებლობების შეფასებას, სასერთიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებასთან დაკავშირებით. კერძოდ, რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი სკოლის მასწავლებელთა არსებული შემადგენლობის თითქმის 73.0% შეძლებს სერტიფიცირების წარმატებით გავლას *(იხ. ცხრილი №8):*

ცხრილი №8

| თუ თქვენი სკოლის მასწავლებლები [illegible] რამდენი პროცენტი შეძლებს სასერტიფიკაციო გამოცდების წარმატებით ჩაბარებას? | % |
|---|---|
| საშუალო მაჩვენებელი | 72.9 ([illegible] 75.3%) |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 24.7 |

ის, რომ პედაგოგებს საკმაოდ მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარი კოლეგების კვალიფიკაციაზე, გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც დასტურდება. რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (60%-ზე მეტი) მათი სკოლის მასწავლებელთა კვალიფიკაციას აფასებს, როგორც „საშუალოზე მაღალს“, 15% კი – როგორც „ძალზე მაღალს“. პრაქტიკულად არავინ მიუთითებს პედაგოგთა თუნდაც საშუალოზე დაბალ კვალიფიკაციაზე *(იხ. დიაგრამა №9):*

დიაგრამა №9




რაც შეეხება პედაგოგთა მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სამართლიანად ჩატარდება სასერტიფიკაციო გამოცდები, გამოკითხვა საკმაოდ ოპტიმისტურ შედეგებს აჩვენებს: სერტიფიცირების მეტ-ნაკლებად სამართლიანად ჩატარების მოლოდინი აქვს მასწავლებელთა გამოკვეთილ უმრავლესობას (64.8%). მეტ-ნაკლებ უსამართლობას, ამ მიმართულებით, რესპონდენტთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა – 16.0% – ელოდება. ამასთან, თითქმის ყოველ მეხუთე პედაგოგს უჭირს, შეაფასოს სერტიფიცირების სამართლიანობის ხარისხი *(იხ. დიაგრამა №10):*

დიაგრამა №10




პედაგოგთა პოზიციები რამდენიმე ნაწილად გაიყო იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა ჩაატაროს სასერტიფიკაციო გამოცდები. ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს პოზიციას, რომ გამოცდების ჩატარება უზრუნველყოს თავად სკოლის დირექციამ. გამოკვეთილი მხარდამჭერები ჰყავს სხვა ინსტიტუციებსაც: განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრები და გამოცდების ეროვნული ცენტრი. როგორც ჩანს, ეს საკითხი მასწავლებელთა არსებული კორპუსის სეგრეგაციას იწვევს *(იხ. დიაგრამა №11):*

დიაგრამა №11




<u>სერტიფიცირებასთან დაკავშირებული მოსაზრებები</u>

გამოკითხვამ გამოკვეთა პედაგოგთა პოზიციები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

- სერტიფიცირება – სავალდებულო მოთხოვნა, თუ პედაგოგის ნებაყოფლობითი არჩევანი?
- სერტიფიცირების გავლა, როგორც მასწავლებლის სკოლაში დარჩენის მთავარი პირობა თუ ალტერნატიული მიდგომების შესაძლებლობა?
- სერტიფიცირება, როგორც მასწავლებლებისთვის რეალური პრივილეგიების მინიჭების საფუძველი, თუ – მისი პროფესიონალიზმის სიმბოლური დემონსტრირება?

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით,მასწავლებელთა გამოკვეთილი უმრავლესობა შემდეგ მიდგომას ემხრობა: ა) სერტიფიცირება უნდა იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი; ბ) იმ პედაგოგებს, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდებს, უნდა შეეძლოთ სკოლაში დარჩენა შესაბამისი ვაკანსიის შეუვსებლობის შემთხვევაში; გ) სერტიფიცირებულ მასწავლებლებს უნდა მიენიჭოთ გარკვეული პრივილეგიები (მაგ. გაეზარდოთ ხელფასი).

გამოკითხვის შედეგები უფრო დეტალურად მოცემულია *ცხრილში №9:*

ცხრილი №9

| ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით? | % |
|---|---|
| მიაჩნია, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მასწავლებლისთვის | 36.7 |
| მიაჩნია, რომ სერტიფიცირება მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს | 60.2 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *3.0* |
| | |
| იმ მასწავლებლებს, რომლებიც [illegible] ვადაში, ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უარი უნდა ეთქვათ სკოლაში მასწავლებლად მუშაობაზე | 13.9 |
| იმ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უნდა შეეძლოთ დარჩნენ სკოლაში იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო | 74.8 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *11.3* |
| | |
| სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს უნდა მიეცეთ პრივილეგიები, მაგალითად, გაეზარდოთ ხელფასი და სხვ. | 73.7 |
| სერტიფიცირების გავლა უნდა იყოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის დემონსტრირება, რომელიც არ უნდა გამოიხატოს რაიმე პრივილეგიებში (ხელფასის ზრდა და სხვ.). ხელფასები და სხვა პრივილეგიები ყველა მასწავლებელზე თანაბრად უნდა განაწილდეს | 22.2 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *4.1* |

**რეგიონული ჭრილი**

მასწავლებელთა სერტიფიცირების ვადების, კრიტერიუმების და ა.შ. შესახებ ინფორმაციის დეფიციტს განსაკუთრებით უჩივიან რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (61.7%), მცხეთა-მთიანეთის (55.1%) და ქვემო ქართლის (54.1%) პედაგოგები. აღსანიშნავია, რომ თბილისის სკოლების პედაგოგთა 15.3% აცხადებს, რომ საერთოდ არა აქვს ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ.

სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისათვის განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენენ („აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას") შიდა ქართლის (62.6%), აჭარისა (57.0%) და იმერეთის (55.2%) პედაგოგები.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა ყველაზე შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა თბილისელი პედაგოგებისათვის (52.2% იმათგან, ვინც დარწმუნებით არ ამბობს, რომ მონაწილეობას მიიღებს გამოცდების პროცესში – ასეთია თბილისელ პედაგოგთა თითქმის 60%).

ყველაზე დარწმუნებულნი საკუთარ კვალიფიკაციაში იმაში, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებს უპრობლემოდ ჩააბარებენ, არიან სამცხე-ჯავახეთის (69.3%) და მცხეთა-მთიანეთის (60.7%) მასწავლებლები. ყველაზე სკეპტიკურად განწყობილნი ქვემო ქართლის პედაგოგები არიან – 15.6% შიშობს, რომ კონკურსში ვერ გავა. ამ მონაცემებს შეესაბამება გამოკითხვის სხვა შედეგებიც: სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მასწავლებელთა უმრავლესობას (53.1%), საერთო შედეგებისგან და ყველა სხვა ცალკეული რეგიონისგან განსხვავებით, მიაჩნია, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს. პირიქით, სერტიფიცირების ნებაყოფლობითობას ყველაზე მეტად ეთანხმებიან ქვემო ქართლის მასწავლებლები (74.5%). სამცხე-ჯავახეთის მასწავლებლებს ისიც გამოარჩევს, რომ ისინი ყველაზე მეტად ეთანხმებიან იმ მასწავლებელთა სკოლიდან გაშვებას, რომლებიც სერტიფიცირებას ვერ გაივლიან – ამ პოზიციას იზიარებს 35.1%.

სასერტიფიკაციო გამოცდების სამართლიანობაში პედაგოგები უფრო მეტად დარწმუნებულნი არიან შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში (შესაბამისად, 81.2% და 78.4%), ხოლო უფრო ნაკლებად – მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში (შესაბამისად, 23.2% და 21.0%).

საერთო შედეგებისგან და ყველა სხვა რეგიონისგან განსხვავებით, სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას გამორჩეულად ანდობენ გამოცდების ეროვნულ ცენტრს ორ რეგიონში – [illegible] გურია და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი (შესაბამისად, 40.2% და 39.3%). იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში, ამ მიმართულებით, უფრო მეტ ნდობას უცხადებენ განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრებს (შესაბამისად, 37.0% და 36.5%), რაც ამ რეგიონებს სხვებისგან გამოარჩევს.

# III. მასწავლებლობის უპირატესობები და სკოლაში მუშაობის ალტერნატივა

## სკოლაში მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები

პედაგოგებმა სკოლაში მუშაობის ყველაზე დიდ უპირატესობად ჩათვალეს ბავშვებთან/ახალგაზრდებთან მუშაობის შესაძლებლობა. მნიშვნელოვან უპირატესობებად ჩაითვალა, აგრეთვე, სტაბილური სამუშაოს და მეტი თავისუფალი დროის ქონა ოჯახისათვის.

დეტალურად შედეგები *იხ. ცხრილში №10:*

ცხრილი №10

| რა არის სკოლაში მუშაობის ის უპირატესობები, რომელიც [illegible] მასწავლებლობას? | % |
|---|---|
| ბავშვებთან, ახალგაზრდებთან მუშაობა | 72.1 |
| სტაბილური ხელფასი | 44.3 |
| მეტი თავისუფალი დრო ოჯახისთვის | 38.7 |
| სკოლაში სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა | 20.5 |
| პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობა საზოგადოებაში | 19.7 |
| კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა | 17.4 |
| კოლეგებთან პროფესიული მუშაობის გამოცდილება | 15.9 |
| ნორმალური ანაზღაურება | 14.5 |
| სკოლაში მასწავლებლებად მუშაობას არანაირი უპირატესობა არა აქვს | 3.3 |
| მასწავლებლად ყოფნის [illegible] | 3.1 |
| მასწავლებლად ყოფნის [illegible] | 1.9 |
| [illegible] | 0.7 |

გამოკითხვა აჩვენებს, რომ მასწავლებლები, ერთი მხრივ, საკუთარი პროფესიის პრესტიჟს იცავენ, ხოლო, მეორე მხრივ, არ ისურვებდნენ მათი ოჯახის წევრისთვის სკოლაში მუშაობას. კერძოდ, მასწავლებელთა გამოკვეთილი უმრავლესობა (60.1%) მიიჩნევს, რომ მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა, რომელსაც ადამიანები შეგნებულად ირჩევენ; ყოველი მეორე გამოკითხული მასწავლებელი იმასაც ეთანხმება, რომ მასწავლებლად მუშაობას სწავლაში წარჩინებული სტუდენტები იწყებენ. თუმცა, როდესაც საქმე არჩევანზე მიდგება, პედაგოგები თავიანთი ახლობლებისათვის სხვა სამსახურში დასაქმებას ისურვებენ. ცხადია, ასეთ დისონანსს რესპონდენტთა მოსაზრებებსა და პრაქტიკულ რეკომენდაციებს შორის თავისი მიზეზები მოეძებნება, რომლებიც, შესაძლოა, საშუალო განათლების წინაშე მდგარი პრობლემებით იყოს გამოწვეული (ამაზე ცოტა ქვემოთ იქნება საუბარი).

უფრო დეტალურად მასწავლებელთა განწყობები პედაგოგის პრო-ფესიის თავისებურებების შესახებ *იხ. ცხრილში №:11:*

ცხრილი №11

| [illegible] | % |
|---|---|
| [illegible] | 23.6 |
| [illegible] | 49.9 |
| [illegible] | *26.5* |
| | |
| [illegible] | 28.0 |
| [illegible] | 60.1 |
| [illegible] | *11.9* |
| | |
| [illegible] | 20.6 |
| [illegible] | 68.0 |
| [illegible] | *11.3* |

<u>სკოლაში მასწავლებლად მუშაობის ალტერნატივა</u>

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, *ანაზღაურების ფაქტორი* ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ალტერნა-ტიულ სამსახურზე (სამსახურის გამოცვლაზე) იფიქრონ. იგივე ანაზ-ღაურებით სხვა სამსახურის შეთავაზების შემთხვევაში,მასწავლებელთა უმრავლესობა მყარად იცავს თავის სტატუსს და არ აპირებს შეელიოს მასწავლებლობას. პედაგოგთა მხოლოდ ძალზე მცირე რაოდენობა გამ-ოიცვლიდა სიამოვნებით სამსახურს იმავე ანაზღაურების პირობებშიც კი. ვითარება არსებითად იცვლება მაშინ, როდესაც რესპონდენტებს სთავაზობენ უკეთესად ანაზღაურებად სხვა ისეთ სამსახურს,რომელიც მათ ინტერესებსაც პასუხობს. ამ შემთხვევაში,ყოველი მეოთხე პედაგოგი (24.4%) სამსახურის გამოცვლას უპირობოდ თანხმდება, ხოლო, დამატე-ბით, ყოველი მესამე (32.5%) – სამსახურის შეცვლისაკენ იხრება.

გამოკითხვამ გამოავლინა ერთგულ პედაგოგთა ის ნაწილი, რომელიც მასწავლებლობას არცერთ სხვა სამსახურში არ გაცვლიდა, თუნდაც უკეთესი ანაზღაურების შეთავაზების სანაცვლოდ. ასეთია პედაგოგთა მთელი შერჩევის მეოთხედი (24.8%).

აღნიშნულ საკითხზე გამოკითხვის შედეგები დეტალურად მოცემულია დიაგრამებზე №№12,13:



დიაგრამა №13




დიაგრამათა მონაცემები კიდევ ერთ საინტერესო შედეგს იძლევა: *ჯამში, იმ მასწავლებელთა ხვედრითი წილი, რომლებიც სხვა სამსახურში გადასვლას (იმავე, ან უკეთესი ანაზღაურების პირობებში), სულ ცოტა, არ გამორიცხავენ მაინც, 47.4%-ია, როდესაც ლაპარაკია იმავე ანაზღაურებით სხვა სამსახურის დაწყებაზე, და – 75.2%, როდესაც ლაპარაკია უკეთეს ანაზღაურებაზე.*

მასწავლებელთა ამ ნაწილმა, გამოკითხვის პროცესში, განსაზღვრა:

ა) ის მინიმალური ანაზღაურება, რომელიც მათთვის იქნებოდა სკოლაში მასწავლებლად დარჩენის საკმარისი პირობა;
ბ) ანაზღაურების ის რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც დათანხმდებოდნენ სკოლის დატოვებას და სხვა სამსახურში გადასვლას.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, მინიმალური ანაზღაურება, რომლებსაც მასწავლებლები სკოლაში დარჩენისთვის ასახელებენ, თვეში საშუალოდ 690 ლარია (მინიმალური ანაზღაურების ეს მოცულობა დაახლოებით ოთხჯერ მეტია, ვიდრე დღეს არსებული მინიმალური ხელფასი – 170 ლარი თვეში). სხვა სამსახურში გადასვლის „საფასური“ გაცილებით ძვირია – თვეში საშუალოდ 1100 ლარი.

გამოკითხვის ზუსტი შედეგები მოცემულია ცხრილებში №№12; 13; 14:

ცხრილი №12

| | |
|---|---|
| რა არის ის მინიმალური ანაზღაურება, რომელიც [illegible] [illegible] სკოლაში მასწავლებლად დარჩენის საკითხს [illegible]? | |
| საშუალო თანხა | 686.7 ლარი |
| [illegible] პასუხის [illegible] | 19.3% |

*შენიშვნა: მონაცემები დათვლილია მასწავლებელთა იმ რაოდენობიდან, რომელმაც შეკითხვაზე: „დათანხმდებოდით თუ არა სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით?“ გასცა ნებისმიერი პასუხი, გარდა ერთისა: „არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი“.*

ცხრილი №13

| | |
|---|---|
| რა ანაზღაურების შემთხვევაში დათანხმდებოდით სხვა სამსახურში გადასვლას? | |
| საშუალო თანხა | 1008.6 ლარი |
| [illegible] პასუხის [illegible] | 16.9% |

*შენიშვნა: მონაცემები დათვლილია მასწავლებელთა იმ რაოდენობიდან, რომელმაც შეკითხვაზე: „დათანხმდებოდით თუ არა სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით?“ გასცა ნებისმიერი პასუხი, გარდა ერთისა: „არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი“.*

აღნიშნული მონაცემებით ირკვევა, რომ, *700 ლარიანი მინიმალური ანაზღაურება საკმარისია იმისათვის, რომ დღეს მომუშავე მასწავლებელთა 60.7%-მა, ვინც, სულ ცოტა, არ გამორიცხავს, რომ, შეთავაზების შემთხვევაში, სხვა სამსახურში გადავა, საკუთარი შრომის უკუგება ადეკვატურად ჩათვალოს და გაუჩნდეს მოტივაცია სკოლაში დარჩენისთვის.*

სკოლაში დარჩენისთვის მინიმალური ანაზღაურების, ისევე როგორც სხვა სამსახურში გადასვლისთვის საკმარისი ანაზღაურების მონაცემები, შესაძლებელია, წარმოვადგინოთ *ფინანსური ინტერვალების* სახით – იმაზე მითითებით, თუ მასწავლებელთა რა ნაწილისთვისაა საკმარისი ესა თუ ის ფინანსური ანაზღაურება სკოლაში დასარჩენად, ან სხვა სამსახურში გადასასვლელად *(იხ. დიაგრამები №№14;15):*

დიაგრამა №14



*შენიშვნები:*

*1. წითელ სვეტებში მოცემულია იმ მასწავლებელთა პროცენტუ-ლი რაოდენობები,რომლებმაც შეკითხვაზე: „რა არის ის მინიმალური ანაზღაურება, რომელიც თქვენთვის სკოლაში მასწავლებლად დარ-ჩენის საკმარისი პირობა იქნებოდა?“ – დაასახელეს განსაზღვრული თანხა (ასეთია მასწავლებელთა საერთო შერჩევის 60.7%).*

*2. ლურჯ სვეტებში იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებ-მაც განსაზღვრული თანხა დაასახელეს სკოლაში დარჩენისთვის, წარმოდგენილია,როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.*

*3. რუხ სვეტებზე აღნიშნული პროცენტები აღწერს მასწავლე-ბელთა იმ ჯამურ მოცულობას, რომელიც სკოლაში დარჩება, შესა-ბამისი ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში.*

დიაგრამა №15



*შენიშვნები:*

*1. წითელ სვეტებში მოცემულია იმ მასწავლებელთა პროცენტული რაოდენობები, რომლებმაც შეკითხვაზე: „რა ანაზღაურების შემთხვევაში დათანხმდებოდით სხვა სამსახურში გადასვლას?“ – განსაზღვრული თანხა დაასახელეს (ასეთია მასწავლებელთა საერთო შერჩევის 62.5%).*

*2. ლურჯ სვეტებში იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც განსაზღვრული თანხა დაასახელეს სხვა სამსახურში გადასვლისთვის, წარმოდგენილია, როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.*

*3. რუხ სვეტებზე აღნიშნული პროცენტები აღწერს მასწავლებელთა იმ ჯამურ მოცულობას, რომელიც, შესაბამისი ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში, სხვა სამსახურში წამსვლელია.*

მინიმალური ანაზღაურების შესახებ მასწავლებელთა თვალსაზრისი კორელაციაშია რესპონდენტთა მთელი შერჩევის მიერ მასწავლებლის საშუალო ანაზღაურების განსაზღვრასთან – ესაა, სრული განაკვეთისათვის დაახლოებით 760 ლარი თვეში. როგორც ჩანს, მინიმალურ და საშუალო ხელფასს შორის სხვაობა დაახლოებით 70 ლარია *(იხ. ცხრილი №14):*

ცხრილი №14

| თქვენი აზრით, რამდენი უნდა იყოს მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება სრული განაკვეთისათვის? | % |
|---|---|
| საშუალო თანხა | 757.4 ლარი |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 5.1 |

საშუალო ანაზღაურების შესახებ მასწავლებელთა მოსაზრებები შესაძლებელია, აგრეთვე, წარმოვადგინოთ ფინანსური ინტერვალების სახით – იმაზე მითითებით, თუ მასწავლებელთა რა ჯამური ნაწილისთვისაა საკმარისი საშუალო ანაზღაურების ესა თუ ის ფინანსური მოცულობა *(იხ. დიაგრამა №16):*




*შენიშვნები:*

1. *წითელ სვეტებში მოცემულია იმ მასწავლებელთა პროცენტული რაოდენობები, რომლებმაც შეკითხვაზე: „რამდენი უნდა იყოს მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება სრული განაკვეთისათვის?“ – დაასახელეს განსაზღვრული თანხა (ასეთია მასწავლებელთა საერთო შერჩევის 94.9%).*

2. *ლურჯ სვეტებში იმ მასწავლებელთა რაოდენობა, რომლებმაც განსაზღვრული თანხა დაასახელეს, წარმოდგენილია, როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.*

3. *რუხ სვეტებზე აღნიშნული პროცენტები აღწერს მასწავლებელთა იმ საერთო მოცულობას, რომლის წარმოდგენაც საშუალო ანაზღაურების შესახებ თავსდება შესაბამის ფინანსურ ინტერვალში.*

<u>სკოლაში დარჩენის სურვილი</u>

დღეს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას სურს სკოლაში დარჩენა. საქართველოში არსებული უმუშევრობის მასშტაბების გათვალისწინებით, ეს შედეგი სავსებით ბუნებრივია *(იხ. დიაგრამა №17):*

დიაგრამა №17




პედაგოგთა 70%-ს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს იმასთან დაკავშირებითაც, თუ რამდენ ხანში დაანებებს თავს მასწავლებლობას. როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, უახლოეს 10 წელიწადში მასწავლებელთა დაახლოებით მეოთხედი (25.3%) აპირებს სკოლიდან წასვლას. ამასთან, 10 წლიან პერიოდში, სკოლიდან წამსვლელთა პროპორციები ცალკეულ წლებს შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება. ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში, მასწავლებელთა

კადრების გადინების თვალსაზრისით, რაიმე კოლიზიებს არ უნდა ველოდოთ.

პედაგოგთა ძირითადი ნაწილი (45.5%) სკოლიდან წასვლას 10 წელზე უფრო გვიან გეგმავს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რესპონდენტთა საკმაოდ დიდ რაოდენობას გაუჭირდა იმის განსაზღვრა, თუ როდის წავა სკოლიდან *(იხ. დიაგრამა №18)*:

დიაგრამა №18




კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი მიზეზები, რის გამოც პედაგოგები, უახლოეს 10 წლიან პერიოდში, სკოლიდან წასვლას აპირებენ:

ა) პენსიაში გასვლა;
ბ) დაბალი ანაზღაურება.

მიზეზების ჩამონათვალი დეტალურად მოცემულია ცხრილში №15:

ცხრილი №15

| ძირითადი მიზეზები, რის გამოც მასწავლებლები სკოლიდან თავის დანებებას უახლოეს 10 წელიწადში აპირებენ | % |
|---|---|
| პენსიაში გასვლა | 43.2 |
| დაბალი ანაზღაურება | 34.7 |
| სკოლაში მუშაობით გადაღლა | 16.6 |
| პედაგოგის პროფესიის დაუფასებლობა | 15.4 |
| ოჯახური პირობები | 13.6 |
| სხვა სამსახურის დაწყება | 10.5 |
| საშუალო განათლების სფეროს არასწორი განვითარება | 3.1 |
| სკოლაში არსებული არაჯანსაღი სიტუაცია | 2.5 |
| ჯანმრთელობის მდგომარეობა | 0.1 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 2.7 |

რეგიონების ჭრილში განხილული მონაცემები აჩვენებს,რომ უახლოეს 10 წელიწადში სკოლის დატოვებას გურიისა და კახეთის რეგიონების ყოველი მესამე მასწავლებელი აპირებს. სკოლიდან წამსვლელ პედაგოგთა ხვედრითი წილი, სხვა რეგიონებთან შედარებით, მნიშვნელოვნად კლებულობს რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მასწავლებელთა შორის *(იხ. დიაგრამა №19):*

დიაგრამა №19



როგორც მოსალოდნელი იყო, მომავალი 10 წლის განმავლობაში სკოლიდან წამსვლელ პედაგოგთა შორის ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენენ 56 წლის და უფროსი ასაკის მასწავლებლები, ხოლო ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს – 36 წლამდე პედაგოგები *(იხ. დიაგრამა №20):*

დიაგრამა №20



რაც შეეხება იმას, თუ რომელი საგნის მასწავლებლები აპირებენ უფრო მეტად სკოლის დატოვებას 10 წლის პერიოდში, კვლევამ აჩვენა, რომ ყოველი მეორე ხაზვის მასწავლებელი ამას აპირებს (თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხაზვის მასწავლებელთა ხვედრითი წილი საერთო შერჩევაში ძალზე მცირეა – 0.1%). სხვა საგნების მასწავლებელთა შორის გამოირჩევიან, აგრეთვე, ფიზიკისა და ხატვის მასწავლებლები: თითქმის ყოველი მესამე სკოლიდან წასვლას გეგმავს (იხ. დიაგრამა №21):

დიაგრამა №21



## რეგიონული ჭრილი

„თავდადებული" პედაგოგები (ანუ ისინი, რომლებიც აცხადებენ, რომ სკოლას იმ შემთხვევაშიც კი არ დატოვებენ, თუ მათ სხვა სამსახური შესთავაზებს უკეთესი ანაზღაურებით) უფრო მეტია იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და აჭარის რეგიონების სკოლებში. პირიქით, იმ მასწავლებელთა ხვედრითი წილი, რომლებიც უყოყმანოდ დათანხმდებიან სამსახურის გამოცვლას უკეთესი ანაზღაურებით, საერთო შერჩევისგან განსხვავებით, გაცილებით მაღალია რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის, აგრეთვე კახეთის სკოლებში *(იხ. ცხრილი №16)*.

**ცხრილი №16**

| | დათანხმდებოდით თუ არა სხვა, შემოთავაზებულ სამსახურს, სამსახურის უკეთესი ანაზღაურებით? | უყოყმანოდ დათანხმდებოდნენ (%) | არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდნენ (%) |
|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 26.7 | 13.9 |
| 2. | კახეთი | 32.7 | 17.0 |
| 3. | შიდა ქართლი | 19.4 | 32.2 |
| 4. | ქვემო ქართლი | 27.7 | 29.4 |
| 5. | სამეგრელო/ზემო სვანეთი | 16.5 | 21.2 |
| 6. | აჭარა | 29.0 | 30.4 |
| 7. | გურია | 22.1 | 23.9 |
| 8. | იმერეთი | 17.3 | 37.3 |
| 9. | რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 53.8 | 23.4 |
| 10. | სამცხე-ჯავახეთი | 21.5 | 20.5 |
| 11. | მცხეთა-მთიანეთი | 21.4 | 34.3 |
| | ***მთელი შერჩევა*** | ***26.4*** | ***24.8*** |

სხვადასხვა რეგიონის ის პედაგოგები, რომლებიც სხვა სამსახურში გადასვლას (თუნდაც არ უკეთესი ანაზღაურებით), სულ ცოტა არ განიხილავენ მაინც, სკოლაში დარჩენის საკმარის პირობად მინიმალური ანაზღაურების განსხვავებულ რაოდენობას ასახელებენ. ყველაზე მეტი „ფინანსური წახალისება" შეთავაზებული უნდა იყოს რეგიონის მასწავლებლებისთვის, ხოლო ყველაზე ნაკლები – თბილისის სკოლის პედაგოგებს.

საერთო შერჩევასთან და სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის პედაგოგებს გაუჭირდათ მინიმალური ანაზღაურების დასახელება, რომელიც მათთვის საკმარისი იქნებოდა სკოლაში დასარჩენად. მასწავლებელთა ეს კატეგორია სჭარბობს, ასევე, აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონებშიც *(იხ. ცხრილი №17)*.

**ცხრილი №17**

| | რა არის ის მინიმალური ანაზღაურება, რომელიც თქვენთვის სკოლაში მასწავლებლად დარჩენის საკმარისი პირობა იქნებოდა? | მინიმალური ანაზღაურების ოდენობა (ლარი) | [illegible] (%) |
|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 833 | 9.3 |
| 2. | კახეთი | 645 | 19.9 |
| 3. | შიდა ქართლი | 542 | 3.1 |
| 4. | ქვემო ქართლი | 732 | 35.9 |
| 5. | სამეგრელო/ზემო სვანეთი | 671 | 17.2 |
| 6. | აჭარა | 705 | 38.2 |
| 7. | გურია | 487 | 7.1 |
| 8. | იმერეთი | 571 | 27.4 |
| 9. | რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 590 | 51.1 |
| 10. | სამცხე-ჯავახეთი | 574 | 12.3 |
| 11. | მცხეთა-მთიანეთი | 667 | 3.4 |
| | ***მთელი შერჩევა*** | ***687*** | ***18.3*** |

**რეგიონული ჭრილი**

სხვა სამსახურში გადასვლის ყველაზე მეტ ფინანსურ „წონას“ ადებენ ისევ თბილისელი მასწავლებლები, ხოლო ნაკლებს – რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის მასწავლებლები *(იხ. ცხრილი №18)*

ცხრილი №18

| | რა ანაზღაურების შემთხვევაში დათანხმდებოდით სხვა სამსახურში გადასვლას? | სასურველი ანაზღაურება თვეში (ლარი) | უარის პასუხის გაცემა (%) |
|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 1219 | 20.4 |
| 2. | კახეთი | 976 | 12.7 |
| 3. | შიდა ქართლი | 1017 | 8.5 |
| 4. | ქვემო ქართლი | 1001 | 18.1 |
| 5. | სამეგრელო/ზემო სვანეთი | 1077 | 41.0 |
| 6. | აჭარა | 982 | 12.3 |
| 7. | გურია | 792 | 16.0 |
| 8. | იმერეთი | 811 | 7.6 |
| 9. | რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 701 | 12.3 |
| 10. | სამცხე-ჯავახეთი | 863 | 7.0 |
| 11. | მცხეთა-მთიანეთი | 1010 | 8.7 |
| | *მთელი ქვეყანა* | *1039* | *16.9* |

რაც შეეხება მასწავლებლის საშუალო ანაზღაურების განსაზღვრას, ყველაზე მეტი თანხა ისევ და ისევ თბილისში დასახელებულია, ხოლო ყველაზე ნაკლები – გურიაში *(იხ. ცხრილი №19)*

ცხრილი №19

| | რამდენი უნდა იყოს მასწავლებლის საშუალო ანაზღაურება სრული განაკვეთისათვის? | საშუალო ანაზღაურება თვეში (ლარი) | უარის პასუხის გაცემა (%) |
|---|---|---|---|
| 1. | თბილისი | 965 | 6.4 |
| 2. | კახეთი | 824 | 1.9 |
| 3. | შიდა ქართლი | 672 | 0.7 |
| 4. | ქვემო ქართლი | 753 | 3.8 |
| 5. | სამეგრელო/ზემო სვანეთი | 702 | 15.3 |
| 6. | აჭარა | 704 | 6.4 |
| 7. | გურია | 609 | 6.3 |
| 8. | იმერეთი | 618 | 2.5 |
| 9. | რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 795 | 2.2 |
| 10. | სამცხე-ჯავახეთი | 615 | 2.3 |
| 11. | მცხეთა-მთიანეთი | 747 | 1.8 |
| | *მთელი ქვეყანა* | *737* | *5.1* |

# IV. საშუალო განათლების სფეროში არსებული პრობლემები

იმ პრობლემებს შორის, რომლებიც, როგორც ზოგადად საშუალო განათლების სფეროს, ისე კონკრეტულად საშუალო სკოლების წინაშე დგას, პედაგოგები ერთმნიშვნელოვნად და უპირატესად მიუთითებენ *დაბალი ხელფასების* არსებობაზე. ეს პრობლემა დიდი შუალედით აღემატება დანარჩენი პრობლემების რეიტინგს.

სკოლების წინაშე არსებულ პრობლემებს შორის იკვეთება მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა. საგულისხმოა, რომ ამ პრობლემაზე, როგორც ზოგადად საშუალო განათლების სფეროს ნაკლზე, პედაგოგთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა მიუთითებს. აქ უთუოდ იგრძნობა PR კამპანიის კვალი: ხშირად ხდება აპელირება იმაზე, რომ საშუალო სკოლების მატერიალურ-ტენიკური ბაზა საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. შესაბამისად, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ აღნიშნული ბაზის სიმწირე არის არა ტიპური პრობლემა, არამედ – მხოლოდ ცალკეული სკოლების და, მათ შორის, მათი სკოლისაც.

აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, რესპონდენტთა მიერ ისეთი პრობლემების წინ წამოწევა, როგორიცაა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის, სკოლებში დისციპლინის მოშლა და სხვ.

პრობლემათა რეიტინგები მოცემულია *ცხრილში №20:*

ცხრილი №20

| | საშუალო განათლების სკოლისათვის % | ძირითადი სკოლისათვის % |
|---|---|---|
| მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია | 7.9 | 2.9 |
| საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების არაეფექტურობა | 16.6 | 7.7 |
| კორუფცია სკოლებში | 2.4 | 0.9 |
| უხარისხო სასწავლო გეგმები | 11.2 | 6.0 |
| მასწავლებელთა დაბალი ხელფასები | 82.5 | 74.9 |
| პედაგოგის პროფესიის არაპრესტიჟულობა | 25.1 | 14.7 |
| სკოლების არაეფექტური მართვა | 4.8 | 4.5 |
| მასწავლებლად გახდომის პროცესის სირთულე | 3.3 | 3.2 |
| სკოლებში დისციპლინის მოშლა | 27.8 | 17.0 |
| არსებული სახელმძღვანელოების დაბალი დონე | 17.6 | 13.7 |
| არასწორად გადანაწილებული საათობრივი ბადე | 10.5 | 10.7 |
| მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა | 29.5 | 54.4 |
| მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის | 24.1 | 30.2 |
| არასაკმარისი სატრენინგო პროგრამები მასწავლებლებისათვის | 16.0 | 20.0 |
| სხვა ([illegible], [illegible], მოსწავლეთა [illegible], სკოლის შენობის მდგომარეობა, ტრანსპორტი სკოლამდე და სხვა) | 0.1 | 0.7 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *1.3* | *3.0* |

მასწავლებლების გამოკვეთილ უმრავლესობას სჯერა,რომ უახლოეს წლებში დასახელებული პროლემების ნაწილი გადაიჭრება. უკიდურესად ოპტიმისტური („ყველა პრობლემა გადაიჭრება"), ისევე როგორც პესიმისტური პროგნოზების („ვითარება არ შეიცვლება" და „ვითარება გაუარესდება") ხვედრითი წილი საკმაოდ დაბალია

*(იხ. დიაგრამა №22):*

*დიაგრამა №22*




არის თუ არა ზემოაღნიშნული პრობლემები უფრო მეტად საჯარო, თუ კერძო სკოლებისთვის დამახასიათებელი და იწვევს თუ არა ეს პრობლემები მათ შორის, სწავლების ხარისხის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან განსხვავებას? როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, მასწავლებელთა თვალსაზრისი ამ საკითხის გარშემო ერთმანეთს შორდება: შედარებით უფრო დიდი ნაწილი (37.8%) თვლის, რომ სწავლების ხარისხი დაახლოებით თანაბარია ორივე ტიპის სკოლებში. განსხვავებულ პოზიციაზეა პედაგოგთა ორი სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც უპირატესობას ან საჯარო სკოლას აძლევენ, ან – კერძოს *(იხ. დიაგრამა №23)*:

*დიაგრამა №23*




**რეგიონული ჭრილი**

**სკოლების წინაშე არსებულ პრობლემებს შორის, დაბალი ხელფასებისა და მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, როგორც ყველა რეგიონის სკოლებისთვის საერთო ყველაზე მწვავე პრობლემების ფონზე, რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდებიან აღნიშნული პრობლემების სიმწვავის ხარისხით. კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა განსაკუთრებით აწუხებთ სამცხე-ჯავახეთის სკოლების (75.2%) პედაგოგებს, აგრეთვე, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (66.3%), გურიის (64.9%) სკოლებს, ხოლო შედარებით ნაკლებად – აჭარის (38.4%) და კახეთის (44.3%) სკოლებს. ხელფასების სიმცირეზე ყველაზე მეტად წუხან რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (95.8%) პედაგოგები.**

# ძირითადი შედეგები და დასკვნები

საშუალო განათლების სფეროში გატარებული რეფორმების მიმართ პედაგოგთა გამოკვეთილი უმრავლესობა (70.7%) დადებითადაა განწყობილი და მიიჩნევს, რომ ამ რეფორმებმა, საერთო ჯამში, ხელი შეუწყო საშუალო განათლების სისტემის განვითარებას საქართველოში.

მასწავლებელთა განსაკუთრებულ მხარდაჭერას იმსახურებს შემდეგი რეფორმისტული ცვლილებები: ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება; ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვის ტრენინგები; სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგები; მოსწავლეთა ქცევის კოდექსის შექმნა; ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შემოღება.

პედაგოგთა გამოკვეთილად უარყოფით შეფასებას იმსახურებს მხოლოდ ერთი ცვლილება: 12 წლიანი საშუალო განათლების შემოღება. უარყოფითი შეფასების ველში ექცევა საგნების ტრიმესტრული სწავლებაც.

პედაგოგთა შეფასებები ერთმანეთს დაშორდა (გაიყო) ისეთ ცვლილებებთან დაკავშირებით, როგორიცაა სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესი და დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა.

პედაგოგები, ძირითადად, გამართლებულად მიიჩნევენ მომავალში დაგეგმილ ცვლილებებს, რომელთა თანახმადაც: ა) სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება შეეძლებათ მხოლოდ განათლების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს და ბ) ბაკალავრს შეეძლება ასწავლოს მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხოლო მაგისტრს – მხოლოდ ძირითად და დამამთავრებელ კლასებში. თუმცა, ამ უკანასკნელ (ბ) მოთხოვნას პედაგოგთა მესამედზე მეტი არ მიესალმება.

2010 წლისთვის დაგეგმილი სერტიფიცირების მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. შეფასებები გაიყო არა სერტიფიცირების პრინციპულ საჭიროებასთან, არამედ იმასთან დაკავშირებით, თუ როდისაა მიზანშეწონილი მისი ჩატარება: პედაგოგთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება 2010 წლისთვის დროული და აუცილებელია, ხოლო, მეორე, უფრო დიდი ნაწილის აზრით, მასწავლებელთა სერტიფიცირება საჭიროა, ოღონდ, არა ამ ეტაპზე, არამედ უფრო გვიან.

საგულისხმოა, რომ სერტიფიცირების მიმართ კატეგორიულად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს თითქმის ყოველი მეხუთე გამოკითხული პედაგოგი.

პედაგოგთა პოზიციები ერთმანეთს დაშორდა იმ საკითხშიც, თუ რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ფლობენ ისინი სერტიფიცირების ვადების, კრიტერიუმების და ა.შ. შესახებ. აქ ორი საპირისპირო შეფასება იკვეთება: ა) *„მაქვს მეტ-ნაკლებად სრული ინფორმაცია“* და ბ) *„მაქვს მწირი ინფორმაცია“.*

მყარი გადაწყვეტილება სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისთვის მიღებული აქვს პედაგოგთა 45.7%-ს. თუმცა, კიდევ 40.6% განწყობილია მონაწილეობისათვის *(„ალბათ მივიღებ მონაწილეობას“).* როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს,დღეს დასაქმებულ პედაგოგთა მხოლოდ 1.6% ამბობს უარს სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარებაზე და, უარეს შემთხვევაში, ეს რიცხვი შეიძლება 4.1%-მდე გაიზარდოს.

სერტიფიცირებაში მონაწილეობაზე უარის ძირითად მიზეზად პედაგოგები იმას ასახელებენ, რომ გამოცდების ჩაბარების მოთხოვნა მათთვის შეურაცხმყოფელია.

სერტიფიცირების მიმართ ნეგატიურად განწყობილ პედაგოგთა ის ნაწილი (5.2%), რომელიც არ გამორიცხავს, რომ შეიძლება პოზიცია შეიცვალოს, მთავარ პირობად აყენებს იმას, რომ გამოცდები ჩატარდეს ისეთი ტესტებით, რომელთა შინაარსი განისაზღვრება იმ საგნითა და კლასით, რომელსაც ისინი ასწავლიან.

პედაგოგთა ძირითადი ნაწილი (38.4%) სერტიფიცირების გამოცდებზე გასვლას 2010 წლისთვის გეგმავს. ყოველ მეოთხე პედაგოგს უჭირს, დაასახელოს ის წელი, როდესაც გამოცდებს ჩააბარებს. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა სერტიფიცირებაში მონაწილეობას იმ შემთხვევაშიც გეგმავს, თუ პირველი და მეორე მცდელობაც წარუმატებლად დამთავრდა.

სერტიფიცირების მეტ-ნაკლებად სამართლიანად ჩატარების მოლოდინი აქვს მასწავლებელთა გამოკვეთილ უმრავლესობას (64.8%). მეტ-ნაკლებ უსამართლობას, ამ მიმართულებით, რესპონდენტთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა – 16.0% ელოდება. ამასთან, თითქმის ყოველ მეხუთე პედაგოგს უჭირს, შეაფასოს სერტიფიცირების სამართლიანობის ხარისხი.

სასერტიფიკაციო გამოცდების ვერჩაბარების შიში პედაგოგთა ძალზე მცირე რაოდენობას აწუხებს (3.2%). სერტიფიცირებაში მონაწილეობის მსურველი პედაგოგები ძირითადად ორ, თითქმის თანაბარ კატეგორიად იყოფიან: ა) ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ გამოცდებს უპრობლემოდ ჩააბარებენ, რადგან მათი კვალიფიკაცია მაღალია და ბ) ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ გამოცდებს იმ შემთხვევაში ჩააბარებენ, თუ ამისათვის დამატებით მოემზადებიან.

პედაგოგთა პოზიციები რამდენიმე ნაწილად გაიყო იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა ჩაატაროს სასერტიფიკაციო გამოცდები. ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს პოზიციას, რომ გამოცდების ჩატარება უზრუნველყოს თავად სკოლის დირექციამ. გამოკვეთილი მხარდამჭერები ჰყავს სხვა ინსტიტუციებსაც: განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრები და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

გამოიკვეთა პედაგოგთა მიდგომა სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის მიმართ: ა) სერტიფიცირება უნდა იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი; ბ) იმ პედაგოგებს, რომლებიც ვერ ჩააბარებენ გამოცდებს, უნდა შეეძლოთ სკოლაში დარჩენა შესაბამისი ვაკანსიის შეუვსებლობის შემთხვევაში; გ) სერტიფიცირებულ მასწავლებლებს უნდა მიენიჭოთ გარკვეული პრივილეგიები (მაგ. გაეზარდოთ ხელფასი).

სკოლაში მუშაობის მთავარ უპირატესობად მასწავლებლები ბავშვებთან/ახალგაზრდებთან მუშაობის შესაძლებლობას მიიჩნევენ. მნიშვნელოვან უპირატესობებად ჩაითვალა, აგრეთვე, სტაბილური სამუშაოს და მეტი თავისუფალი დროის ქონა ოჯახისათვის.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლის პროფესის „იდეალური“ (არაემპირიული) ტიპი ეწინააღმდეგება რესპონდენტთა წარმოდგენას ამ პროფესიის ემპირიული ღირებულების შესახებ. რესპონდენტები, ერთი მხრივ, თვლიან, რომ პედაგოგობა საპატიო პროფესიაა და მას არა ხელმოცარული, არამედ წარმატებული ადამიანები ირჩევენ. თუმცა, მეორე მხრივ, პედაგოგებს არ სურთ, რომ მათი ოჯახის წევრმა მუშაობა სკოლის მასწავლებლად დაიწყოს. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ პრობლემებში, რაც დღეს საშუალო განათლების სისტემის და, კონკრეტულად, სკოლების წინაშე დგას. ამ პრობლემებს შორის, გამოკითხვის შედეგებით, უმწვავესია დაბალი ხელფასების პრობლემა. იკვეთება, აგრეთვე, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე. აღნიშვნის ღირსია რესპონდენტთა მიერ ისეთი პრობლემების წინ წამოწევაც, როგორიცაა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის, სკოლებში დისციპლინის მოშლა და სხვ.

მასწავლებლების გამოკვეთილ უმრავლესობას სჯერა, რომ უახლოეს წლებში დასახელებული პროლემების ნაწილი გადაიჭრება. უკიდურესად ოპტიმისტური, ისევე როგორც პესიმისტური პროგნოზების ხვედრითი წილი საკმაოდ დაბალია.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, ანაზღაურების ფაქტორი ძალზე მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ალტერნატიულ სამსახურზე (სამსახურის გამოცვლაზე) იფიქრონ. იგივე ანაზღაურებით სხვა სამსახურის შეთავაზების შემთხვევაში, მასწავლებელთა უმრავლესობა (სულ მცირე, 52.6%) არ აპირებს სკოლის დათმობას. ვითარება არსებითად იცვლება მაშინ, როდესაც რესპონდენტებს სთავაზობენ უკეთესად ანაზღაურებად სხვა ისეთ სამსახურს, რომელიც მათ ინტერესებსაც პასუხობს. ამ შემთხვევაში, ყოველი მეოთხე პედაგოგი (24.4%) სამსახურის გამოცვლას უპირობოდ თანხმდება, ხოლო დამატებით, ყოველი მესამე (32.5%) – სამსახურის შეცვლისაკენ იხრება.

ჯამში, იმ მასწავლებელთა ხვედრითი წილი, რომლებიც სხვა სამსახურში გადასვლას (იმავე, ან უკეთესი ანაზღაურების პირობებში), სულ ცოტა, არ გამორიცხავენ მაინც, 47.4%-ია, როდესაც ლაპარაკია იმავე ანაზღაურებით სხვა სამსახურის დაწყებაზე, და – 75.2%, როდესაც ლაპარაკია უკეთეს ანაზღაურებაზე.

გამოკითხვამ გამოავლინა ერთგულ პედაგოგთა ის ნაწილი – თითქმის 25%, ანუ ყოველი მეოთხე პედაგოგი – რომელიც მასწავლებლობას არცერთ სხვა სამსახურში არ გაცვლიდა, თუნდაც უკეთესი ანაზღაურების შეთავაზების სანაცვლოდ.

ის მასწავლებლები, რომლებიც, სულ ცოტა, არ გამორიცხავენ, რომ უკეთესი ანაზღაურების პირობებში სკოლას დატოვებენ (ასეთია, როგორც ითქვა, 75.2%), ასახელებენ მინიმალურ ანაზღაურებას სკოლაში დარჩენისთვის – ესაა, დაახლოებით, 690 ლარი თვეში. სხვა სამსახურში გადასვლისთვის ფინანსური პირობა გაცილებით ძვირია – საშუალოდ 1100 ლარი თვეში.

<u>ამრიგად, 700 ლარიანი მინიმალური ანაზღაურება საკმარისია იმისათვის, რომ დღეს მომუშავე მასწავლებელთა 60.7%-მა, ვინც, სულ ცოტა, არ გამორიცხავს, რომ შეთავაზების შემთხვევაში სხვა სამსახურში გადავა, საკუთარი შრომის უკუგება ადეკვატურად ჩათვალოს და გაუჩნდეს მოტივაცია სკოლაში დარჩენისთვის</u> (ყოველ შემთხვევაში, დარჩება მანამ, ვიდრე არ გამოუჩნდება სხვა, მინიმუმ 1100 ლარიანი სამსახური თვეში).

მასწავლებლის სასურველი მინიმალური ხელფასი კორელაციაშია მასწავლებლის სასურველ *საშუალო ანაზღაურებასთან* – ესაა დაახლოებით 760 ლარი თვეში სრული განაკვეთისათვის (როგორც ჩანს, მინიმალურ და საშუალო ხელფასს შორის სხვაობა დაახლოებით 70 ლარია).

დღეს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა 86.4%-ს სურს სკოლაში დარჩენა. პედაგოგთა 70%-ს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს იმასთან დაკავშირებითაც, თუ რამდენ ხანში დაანებებს თავს მასწავლებლობას. პედაგოგთა ძირითადი ნაწილი (45.5%) სკოლიდან წასვლას 10 წელზე უფრო გვიან გეგმავს. უახლოეს 10 წელიწადში მასწავლებელთა დაახლოებით მეოთხედი (25.3%) აპირებს სკოლის დატოვებას. ამასთან, 10 წლიან პერიოდში, სკოლიდან წამსვლელთა პროპორციები ცალკეულ წლებს შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება (წელიწადში საშუალოდ 2.5%). ეს ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში, მასწავლებელთა კადრების გადინების თვალსაზრისით, რაიმე კოლიზიებს არ უნდა ველოდოთ.

<u>პენსიაში გასვლა</u> და <u>დაბალი ანაზღაურება</u> დასახელებულია იმ ძირითად მიზეზებად, რის გამოც პედაგოგები, უახლოეს ათწლიან პერიოდში, სკოლიდან წასვლას აპირებენ.

# მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის კვლევა:

## საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები

### კვლევის მეთოდოლოგია

გამოკვლევის ძირითადი *მიზანი* იყო მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის კვლევა პოტენციურ სამიზნე ჯგუფებში, ანუ უმაღლესი სასწავლებლების რამდენი სტუდენტისა და კურსდამთავრებულის მოზიდვაა მოსალოდნელი სკოლაში მასწავლებლად.

*გამოკვლევის ტიპი:* ეროვნული შერჩევის რაოდენობრივი კვლევა.

*კვლევის მეთოდი:* პირისპირ ინტერვიუ.

*კვლევის ინსტრუმენტი* – კითხვარი, რომელიც მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ შეკითხვებს.

კვლევა მიმართული იყო ორ სამიზნე ჯგუფზე:

1. უმაღლესი სასწავლებლების (როგორც პედაგოგიური, ისე არაპედაგოგიური პროფილის) სტუდენტები;
2. უმაღლესი სასწავლებლების (როგორც პედაგოგიური, ისე არაპედაგოგიური პროფილის) კურსდამთავრებულები.

აღნიშნული ჯგუფები ჩაითვალა, როგორც დამოუკიდებელი გენერალური ერთობლიობები. ამდენად, რეპრეზენტატული შერჩევა აიგო თითოეულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში.

კვლევის ძირითადი *თემებია:*

• საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შეფასება;
• დამოკიდებულება მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ;
• პრობლემები საშუალო განათლების სისტემაში;
• მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები;
• სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი; მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები; მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა;
• განათლების მაგისტრატურის თავისებურებების შეფასება; განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების სურვილი.

შერჩევა:

ა) სტუდენტებისათვის

შერჩევითი ერთობლიობა: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ის სტუდენტები, რომლებიც:

S1. ამთავრებენ III კურსს და 2008-09 წლებში იქნებიან ბაკალავრიატის დამამთავრე-ბელი (მე-IV) კურსის სტუდენტები.

და

S2. სწავლობენ ისეთ სპეციალობებზე, რომ პოტენციურად (სურვილისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში) შანსი აქვთ, გახდნენ მასწავლე-ბლები.

ასეთი სპეციალობებად მიჩნეულ იქნა:

• საბუნებისმეტყველო სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია;
• ჰუმანიტარული სპეციალობები: ფილოლოგია (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, აზერბაიჯანული, სომხური), ისტორია;
• ფიზიკური აღზრდა;
• მუსიკა და სახვითი ხელოვნება.

შერჩევის ბაზა: მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული სტუდენტების ბაზა (უმაღლესი სასწავლებლებისა და სპეციალობების მითითებით).

შერჩევის მოცულობა: 600 დასრულებული ინტერვიუ.

შერჩევის დიზაინი: ორსაფეხურიანი სტრატიფიცირებული შერჩევა.

ბაზის მიხედვით, სამიზნე (გენერალური) ერთობლიობა შეადგენდა 3464 სტუდენტს.

სტრატიფიკაცია განხორციელდა სპეციალობების მიხედვით. სულ გამოიყო 13 სტრატა.

სტუდენტების რაოდენობა, სტრატების მიხედვით, ასე გამოიყურება *(იხ. ცხრილი №1ა):*

ცხრილი №1ა

| სტრატა | სპეციალობა | სტუდენტთა რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. | პედაგოგიკა, დაწყებითი განათლება | 250 |
| 2. | ქართული ენა და ლიტერატურა | 385 |
| 3. | მათემატიკა | 308 |
| 4. | რუსული ენა და ლიტერატურა | 103 |
| 5. | სხვა უცხო ენა | 1112 |
| 6. | ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა | 362 |
| 7. | მუსიკა | 12 |
| 8. | გეოგრაფია | 105 |
| 9. | ფიზიკა | 166 |
| 10. | ფიზიკური აღზრდა | 313 |
| 11. | ბიოლოგია | 167 |
| 12. | ქიმია | 135 |
| 13. | სახვითი ხელოვნება | 46 |
| | სულ: | *3464* |

თავდაპირველად შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა სტრატებში, მათში სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად.

შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმოადგენს ფაკულტე-ტი. თითოეულ შერჩეულ ფაკულტეტზე გამოიკითხება 5 სტუდენტი (გარ-და მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტებისა, სადაც, შესა-ბამისად, გამოიკითხება 2 და 3 სტუდენტი). შესარჩევი ფაკულტეტების

რაოდენობა განისაზღვრა სტრატაში ჩასატარებელი ინტერვიუების 5-ზე გაყოფით.

ფაკულტეტების შერჩევა განხორციელდა PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით.

შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენს სტუდენტი.

სტუდენტების შერჩევა განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საშუალებით. შედგა დამატებითი სია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე შერჩეულ სტუდენტთან ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა (კონტაქტი არ შედგა ან უარი განაცხადა ინტერვიუზე), მაშინ მას ჩაენაცვლა იმავე კლასტერის სტუდენტი დამატებითი სიიდან.

*ბ) უმაღლესი სასწვლებლის კურსდამთავრებულთათვის*

შერჩევითი ერთობლიობა: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ის კურსდამთავრებულები, რომლებმაც:

S1. დაამთავრეს ბაკალავრიატი 2007 ან 2008 წელს.

და

S2. სწავლობდნენ ისეთ სპეციალობებზე, რომ პოტენციურად (სურვილისა და შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში) შანსი აქვთ, გახდნენ მასწავლებლები, მაგრამ ჯერ არ მუშაობენ მასწავლებლად.

ასეთ სპეციალობებად მიჩნეულ იქნა:

- საბუნებისმეტყველო სპეციალობები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია;
- ჰუმანიტარული სპეციალობები: ფილოლოგია (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, აზერბაიჯანული, სომხური), ისტორია;
- ფიზიკური აღზრდა;
- მუსიკა და სახვითი ხელოვნება.

შერჩევის ბაზა: მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებული სტუდენტების ბაზა (უმაღლესი სასწავლებლებისა და სპეციალობის მითითებით).

შერჩევის მოცულობა: 400 დასრულებული ინტერვიუ: 200 ინტერვიუ 2007 წელს კურსდამთავრებულებთან და 200 ინტერვიუ 2008 წელს კურსდამთავრებულებთან.

შერჩევის დიზაინი: ორსაფეხურიანი სტრატიფიცირებული შერჩევა.

ბაზის მიხედვით სამიზნე ერთობლიობა შეადგენდა 19122 კურსდამთავრებულს.

სტრატიფიკაცია განხორციელდა სპეციალობების მიხედვით. კურსდამთავრებულთა რაოდენობა სტრატების მიხედვით შემდეგია
*(იხ. ცხრილი №1ბ):*

ცხრილი №1ბ

| სტრატა | სპეციალობა | 2007 წლის კურსდამთავრებულები | 2008 წლის კურსდამთავრებულები |
|---|---|---|---|
| 1. | პედაგოგიკა, დაწყებითი განათლება | 1728 | 1543 |
| 2. | ქართული ენა და ლიტერატურა | 1082 | 966 |
| 3. | მათემატიკა | 432 | 508 |
| 4. | რუსული ენა და ლიტერატურა | 228 | 260 |
| 5. | სხვა უცხო ენა | 2180 | 2673 |
| 6. | ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა | 1286 | 1241 |
| 7. | მუსიკა | 156 | 18 |
| 8. | გეოგრაფია | 398 | 245 |
| 9. | ფიზიკა | 288 | 277 |
| 10. | ფიზიკური აღზრდა | 911 | 1200 |
| 11. | ბიოლოგია | 486 | 493 |
| 12. | ქიმია | 169 | 186 |
| 13. | სახვითი ხელოვნება | 99 | 69 |
| | ჯამი | *9443* | *9679* |

შერჩევა გაკეთდა 2007 და 2008 წლებში კურსდამთავრებულებისათვის ცალ-ცალკე.

თავდაპირველად შერჩევის მთელი მოცულობა გადანაწილდა სტრატებში, მათში სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად.

შერჩევის პირველად ერთეულს (კლასტერს) წარმოადგენს ფაკულტეტი. თითოეულ შერჩეულ ფაკულტეტზე გამოიკითხა 5 კურსდამთავრებული (გარდა მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტებისა, სადაც

გამოიკითხა 2 ან 3 რესპონდენტი).

შესარჩევი ფაკულტეტების რაოდენობა განისაზღვრა სტრატაში ჩასატარებელი ინტერვიუების 5-ზე გაყოფით.

ფაკულტეტების შერჩევა განხორციელდა PPS (Probability Proportional to Size) მეთოდით.

შერჩევის მეორად ერთეულს წარმოადგენს სტუდენტი.

რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საშუალებით.

შედგა დამატებითი სია. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე შერჩეულ რესპონდენტთან ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა (კონტაქტი არ შედგა ან უარი განაცხადა ინტერვიუზე), მაშინ მას ჩაენაცვლა იმავე კლასტერის რესპონდენტი დამატებითი სიიდან.

საბოლოოდ, შერჩევის მოცულობები სტრატებში შემდეგნაირად გადანაწილდა *(იხ. ცხრილი №1გ):*

ცხრილი №1გ

| სპეციალობა | ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტები | 2007 წლის კურსდამთავრებულები | 2008 წლის კურსდამთავრებულები |
|---|---|---|---|
| პედაგოგიკა, დაწყებითი განათლება | 40 | 30 | 35 |
| ქართული ენა და ლიტერატურა | 85 | 20 | 25 |
| ჟურნალისტიკა | 55 | 10 | 10 |
| რუსული ენა და ლიტერატურა | 15 | 5 | 5 |
| სხვა უცხო ენა | 190 | 55 | 45 |
| ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა | 85 | 25 | 25 |
| მუსიკა | 2 | 2 | 3 |
| გეოგრაფია | 20 | 5 | 10 |
| ფიზიკა | 30 | 5 | 5 |
| ფიზიკური აღზრდა | 55 | 25 | 20 |
| ბიოლოგია | 30 | 10 | 10 |
| ქიმია | 25 | 5 | 5 |
| სახვითი ხელოვნება | 8 | 3 | 2 |
| სულ | 600 | 200 | 200 |

შერჩევის დიზაინი მოცემულია ცხრილებში: №№2ა,2ბ, რეგიონებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით:

ცხრილი №2ა

| | რეგიონი | უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა | სახელმწიფო | არასახელმწიფო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | სამეგრელო | 2 | 10 | 10 | 20 |
| 2. | იმერეთი | 3 | 50 | 70 | 120 |
| 3. | თბილისი | 11 | 420 | 212 | 632 |
| 4. | კახეთი | 2 | 15 | 10 | 25 |
| 5. | სამცხე-ჯავახეთი | 1 | 20 | 15 | 35 |
| 6. | აჭარა | 1 | 65 | 38 | 103 |
| 7. | შიდა ქართლი | 2 | 15 | 40 | 55 |
| 8. | რუსთავი | 1 | 5 | 5 | 10 |
| | *სულ* | *23* | *600* | *400* | *1000* |

ცხრილი №2ბ

| | უმაღლესი სასწავლებელი | სახელმწიფო | არასახელმწიფო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. | სსიპ: აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 45 | 65 | 110 |
| 2. | სსიპ: ახალციხის ინსტიტუტი | 20 | 15 | 35 |
| 3. | სსიპ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 65 | 38 | 103 |
| 4. | სსიპ: გორის უნივერსიტეტი (ცხინვალის განყოფილება) | | 30 | 30 |
| 5. | სსიპ: გორის უნივერსიტეტი | 15 | 10 | 25 |
| 6. | შპს: წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი | 5 | - | 5 |
| 7. | სსიპ: ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 85 | 45 | 130 |
| 8. | ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი | - | 5 | 5 |
| 9. | სსიპ: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | 2 | 2 | 4 |
| 10. | შპს: ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი | 5 | – | 5 |
| 11. | შპს: ქუთაისის [illegible] [illegible] სახელობის უნივერსიტეტი | - | 5 | 5 |
| 12. | შპს: რუსთავის [illegible] ინსტიტუტი | 5 | 5 | 10 |
| 13. | სსიპ: აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია | 4 | – | 4 |
| 14. | შპს: საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი | 5 | 5 | 10 |
| 15. | სსიპ: სოხუმის უნივერსიტეტი | 65 | 50 | 115 |
| 16. | სსიპ: სპორტის აკადემია (შეერთდა ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტს) | 45 | 25 | 70 |
| 17. | სსიპ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 50 | 15 | 65 |
| 18. | სსიპ: შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი | 5 | 5 | 10 |
| 19. | სსიპ: თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 10 | 10 | 20 |
| 20. | სსიპ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 154 | 60 | 214 |
| 21. | სსიპ: წნორის კოლეჯი | 5 | – | 5 |
| 22. | შპს: ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი | 5 | – | 5 |
| 23. | სსიპ: ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება | 5 | 10 | 15 |
| | *სულ* | *600* | *400* | *1000* |

# I. საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შეფასება

საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებულობის ხარისხი, მათივე სუბიექტური თვითშეფასებით, პრაქტიკულად ერთნაირია – ორივე ჯგუფის უმრავლესობა (60%-მდე) აცხადებს, რომ საკმარის ინფორმაციას ფლობს რეფორმების შესახებ. საერთო ჯამში, კარგად ინფორმირებულთა (მათივე თვითშეფასებიდან გამომდინარე) ხვედრითი წილი, ორივე ჯგუფში, მნიშვნელოვნად (ორჯერ და უფრო მეტად) სჭარბობს ცუდად ინფორმირებულთა ხვედრით წილს *(იხ. დიაგრამა №1):*

დიაგრამა №1




ორივე სამიზნე ჯგუფის დიდი უმრავლესობა აღიარებს, რომ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო საშუალო განათლების სისტემის განვითარებას საქართველოში. უარყოფითად რესპონდენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობა აფასებს
*(იხ. დიაგრამა №2):*

დიაგრამა №2




რაც შეეხება ბოლო წლებში განათლების სფეროში გატარებული *კონკრეტული რეფორმისტული ცვლილებების* შეფასებას, რესპონდენტთა აშკარა მხარდაჭერას (ორივე სამიზნე ჯგუფში) იმსახურებს შემდეგი ცვლილებები:

- ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება *(ამ ცვლილებას ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს);*
- სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნა;
- სკოლების დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა.

უფრო დადებითი შეფასების ველში ექცევა, აგრეთვე, სკოლებისათვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა.

რესპონდენტთა გამოკვეთილად უარყოფითი შეფასება (ორივე სამიზნე ჯგუფში) წილად ხვდა 12 წლიანი საშუალო განათლების შემოღებას. უარყოფითი შეფასების ველში ექცევა სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესიც.

როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების აზრი გაიყო ახალი სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასებასთან დაკავშირებით: ერთ ნაწილს ეს სახელმძღვანელოები მოსწონს, ხოლო მეორე, შედარებით მცირე ნაწილს – არა.

შედეგები უფრო დეტალურად მოცემულია *ცხრილში №3:*

ცხრილი №3

| რამდენად დადებითად ან უარყოფითად აფასებთ ბოლო წლებში განათლების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს? | დადებითად/ უფრო დადებითად (%) | | არც დადებითად, არც უარყოფითად (%) | | უარყოფითად/ უფრო უარყოფითად (%) | | მიჭირს პასუხის გაცემა (%) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუდ. | კურს. | სტუდ. | კურს. | სტუდ. | კურს. | სტუდ. | კურს. |
| სკოლების დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა | 60.4 | **54.3** | 19.5 | **17.4** | 8.6 | **14.4** | 11.5 | **13.9** |
| სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესი | 30.4 | **30.7** | 13.7 | **12.9** | 52.1 | **51.6** | 3.7 | **4.7** |
| სკოლებში სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა | 70.0 | **69.5** | 15.1 | **14.1** | 6.7 | **9.0** | 8.2 | **7.4** |
| სკოლებისთვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა | 50.9 | **56.9** | 21.9 | **14.9** | 11.4 | **12.4** | 15.7 | **15.9** |
| ახალი სახელმძღვანელოები სკოლებში | 38.9 | **41.4** | 17.9 | **18.6** | 34.3 | **30.8** | 8.9 | **9.2** |
| 12 წლიანი საშუალო განათლების შემოღება | 12.6 | **16.3** | 9.2 | **12.4** | 74.7 | **68.0** | 3.5 | **3.2** |
| ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება | 84.0 | **82.9** | 8.9 | **7.9** | 5.4 | **7.7** | 1.8 | **1.5** |

ორივე ჯგუფის რესპონდენტებს ერთმანეთისთვის უნდა შეედარებინათ საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროებში ჩატარებული ცვლილებები და აღენიშნათ, რომელი სფეროს რეფორმირება აღმოჩნდა უფრო წარმატებული. ამ საკითხზე რესპონდენტთა პოზიციები (ორივე ჯგუფში) არაერთგვაროვანია. შეიმჩნევა ჯგუფების თვალსაზრისებს შორის განსხვავებაც. კერძოდ, ყოველი მესამე გამოკითხული სტუდენტი

მიიჩნევს, რომ უფრო წარმატებული აღმოჩნდა უმაღლესი განათლების სფეროში გატარებული ცვლილებები. ეს პოზიცია ამ ჯგუფში უფრო გამოკვეთილია. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, ამ პოზიციას იმდენივე მომხრე ჰყავს, რამდენიც ალტერნატიულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ორივე სფეროში გატარებული ცვლილებები ერთნაირად წარმატებულია. ორივე სფეროში ცვლილებების წარუმატებლობაზე გამოკითხულთა მხოლოდ მცირე რაოდენობა მიუთითებს *(იხ. ცხრილი №4):*

ცხრილი №4

| რომელ სფეროში გატარებული ცვლილებები აღმოჩნდა უფრო წარმატებული? | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| უფრო წარმატებული აღმოჩნდა საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები | 17.8 | 19.6 |
| უფრო წარმატებული აღმოჩნდა უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებები | 33.8 | 31.5 |
| ორივე სფეროში გატარებული ცვლილებები ერთნაირად წარმატებულია | 27.1 | 31.5 |
| ორივე სფეროში გატარებული ცვლილებები ერთნაირად წარუმატებელია | 10.6 | 7.4 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 10.7 | 9.9 |

## II. დამოკიდებულება მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირება[1] ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტები საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის აუცილებელ ეტაპად მიიჩნევენ. მეტიც: გამოკითხულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა თვლის, რომ 2010 წლისთვის სერტიფიცირების დაგეგმვა დაგვიანებულიც კია. ამ პროცესის გადადებას ან საერთოდ მის არჩატარებას გამოკითხულთა მცირე ნაწილი უჭერს მხარს *(იხ. დიაგრამა №3):*

დიაგრამა №3




მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართ რესპონდენტთა აშკარა მხარდაჭერა დადასტურდა გამოკითხვის სხვა მონაცემებითაც:

• როგორც სტუდენტთა, ისე კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს მასწავლებლებისთვის;

• რესპონდენტთა უმრავლესობაში ერთსულოვნებაა იმასთან დაკავშირებითაც, რომ სერტიფიცირებაგავლილ მასწავლებლებს მიეცეთ პრივილეგიები (მაგ. გაეზარდოთ ხელფასი და სხვ.).

---

1 როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2010 წელს იწყებს მასწავლებელთა სერტიფიცირებას. 2010-დან 2014 წლის ჩათვლით, სერტიფიცირება იქნება ნებაყოფლობითი, ხოლო შემდეგ – სავალდებულო. ამასთან, მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, რამდენჯერმე გავიდნენ გამოცდებზე.

ის,რასაც გამოკითხულთა უმრავლესობა (ორივე ჯგუფში) არ ეთანხმება, ესაა მასწავლებელთათვის, თუ ისინი სერტიფიცირებას ვერ გაივლიან, სკოლაში მუშაობის აკრძალვა (თუმცა, ასეთ სიმკაცრეს მაინც ყოველი მესამე გამოკითხული იზიარებს). რესპონდენტები უფრო მეტად იხრებიან იმისკენ, რომ სერტიფიცირებაგაუვლელ მასწავლებლებს მიეცეთ სკოლაში მუშაობის უფლება, თუ მოცემულ საგანში პედაგოგის ვაკანსია სკოლაში ვერ შეივსო.

უფრო დეტალურად შედეგები *იხ. ცხრილში №5:*

ცხრილი №5

| ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით? | სტუდენტები % | [illegible] % |
|---|---|---|
| მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს ყველა მასწავლებლისთვის | 70.7 | 67.2 |
| მიმაჩნია, რომ სერტიფიცირება მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს | 26.6 | 27.8 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | *2.7* | *5.0* |
| | | |
| იმ მასწავლებლებს, რომლებიც, სამჯერ ზედიზედ, ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უარი უნდა ეთქვას სკოლაში მასწავლებლად მუშაობაზე | 35.8 | 33.5 |
| იმ მასწავლებლებს, რომლებიც ვერ (ან არ) გაივლიან სერტიფიცირებას, უნდა შეეძლოთ დარჩნენ სკოლაში იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის ვაკანსია ვერ შეივსო | 55.1 | 59.1 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | *9.0* | *7.4* |
| | | |
| სერტიფიცირებაგაუვლელ მასწავლებლებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მაგალითად, ტრენინგები, სემინარები და სხვ. | 66.0 | 65.0 |
| სერტიფიცირების გავლა უნდა იყოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის დემონსტრირება, რომელიც არ უნდა გამოიხატოს რაიმე პროგრამებში (სემინარის გავლა და სხვ.). სემინარები და სხვა პროგრამები უნდა განაწილდეს ყველა მასწავლებელზე თანაბრად | 29.1 | 30.0 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | *4.9* | *5.0* |

# III. საშუალო განათლების სისტემის პრობლემები; მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები

## 3.1. საშუალო განათლების სისტემის პრობლემები

საშუალო განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს შორის პირველი ადგილი უჭირავს მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურების პრობლემას. ამაზე, როგორც სტუდენტთა, ისე კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა მიუთითებს.

სხვა პრობლემათა შორის მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა:

- სკოლებში დისციპლინის მოშლა;
- მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია;
- მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის;
- მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საინტერესოა, რომ კურსდამთავრებულთა ჯგუფში (სტუდენტებისაგან განსხვავებით) სკოლებში კორუფციის პრობლემის არსებობაზეც გაამახვილეს ყურადღება.

პრობლემათა სრული ჩამონათვალი მოცემულია *ცხრილში №6:*

ცხრილი №6

| საშუალო განათლების პრობლემებიდან, პირველ რიგში, რომელი უნდა გადაიჭრას? | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია | 26.0 | 22.8 |
| საშუალო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების არაეფექტურობა | 12.4 | 8.2 |
| კორუფცია სკოლებში | 16.8 | 22.1 |
| უხარისხო სასწავლო გეგმები | 17.4 | 15.6 |
| მასწავლებელთა დაბალი ხელფასები | 66.3 | 69.5 |
| პედაგოგის პროფესიის არაპრესტიჟულობა | 19.4 | 22.6 |
| სკოლების არაეფექტური მართვა | 6.2 | 5.7 |
| მასწავლებლად გახდომის პროცესის სირთულე | 3.2 | 4.7 |
| სკოლებში დისციპლინის მოშლა | 36.9 | 35.7 |
| არსებული სახელმძღვანელოების დაბალი დონე | 12.1 | 9.9 |
| მასწავლებელთა გადატვირთული საათობრივი ბადე | 2.7 | 3.2 |
| მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა | 22.9 | 19.6 |
| მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის | 25.8 | 21.1 |
| უხარისხო სატრენინგო პროგრამები მასწავლებლებისათვის | 5.2 | 5.2 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *1.5* | *2.5* |

*შენიშვნა:* რესპონდენტებს მიეწოდათ პრობლემების ჩამონათვალი, საიდანაც მათ შეეძლოთ ამოერჩიათ სამი, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. სწორედ ამიტომ, პასუხთა პროცენტული ჯამი 100%-ს აჭარბებს.

რესპონდენტები (ორივე ჯგუფში) *საკმარის ოპტიმიზმს* ამჟღავნებენ იმასთან დაკავშირებით,მოხდება თუ არა საშუალო განათლების წინაშე მდგარი ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა უახლოეს წლებში. დომინანტური პოზიცია ამ შემთხვევაში ისაა, რომ უახლოეს წლებში პრობლემების მხოლოდ ნაწილის გადაჭრა მოხერხდება. უკიდურესად ოპტიმისტურ („უახლოეს წლებში ყველა პრობლემა გადაიჭრება“) და, განსაკუთრებით, პესიმისტურ პროგნოზებს („ვითარება არ შეიცვლება“, ან „ვითარება გაუარესდება“) რესპონდენტები ნაკლებად აკეთებენ.
*(იხ. დიაგრამა №4):*

დიაგრამა №4



## 3.2. მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები

ორივე სამიზნე ჯგუფმა სკოლაში მასწავლებლად მუშაობის ძირითად უპირატესობებად (რომელთა გამოც ვინმემ, შესაძლოა, ეს პროფესია აირჩიოს) დაასახელა:

- ბავშვებთან/ახალგაზრდებთან მუშაობა;
- სტაბილური სამუშაო;
- მეტი თავისუფალი დრო ოჯახისათვის.

აღსანიშნავია, რომ ძალზე მცირეა რესპონდენტთა ის ნაწილი (ორივე სამიზნე ჯგუფში), რომელიც ფიქრობს, რომ სკოლაში მასწავლებლად მუშაობას არანაირი უპირატესობა არა აქვს.

დეტალურად შედეგები მოცემულია *ცხრილში №:7*

ცხრილი №7

| რა არის სკოლაში მასწავლებლად მუშაობის უპირატესობები? | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| სტაბილური სამუშაო | 30.0 | 35.7 |
| პედაგოგის პროფესიის პრესტიჟულობა საზოგადოებაში | 8.4 | 12.4 |
| ნორმალური ანაზღაურება | 13.2 | 10.2 |
| მეტი თავისუფალი დრო ოჯახისთვის | 29.5 | 32.0 |
| კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა | 11.6 | 15.1 |
| მასწავლებლად გახდომის პროცესის გამარტივებულობა | 3.5 | 2.2 |
| ბავშვებთან, ახალგაზრდებთან მუშაობა (მათ აღზრდაში მონაწილეობა) | 43.0 | 37.7 |
| კოლეგებთან პროფესიული მუშაობის გამოცდილება | 8.7 | 6.7 |
| სკოლაში სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა | 9.0 | 7.2 |
| მასწავლებლად გახდომის მარტივი გზა | 1.5 | 1.7 |
| სკოლაში მასწავლებლად მუშაობას არანაირი უპირატესობა არა აქვს | *4.7* | *4.2* |
| მიჭირს პასუხის გაცემა | *7.4* | *5.5* |

*შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ორი უპირატესობა; აქედან გამომდინარე, პასუხთა პროცენტული ჯამი 100%-ს აჭარბებს.*

*გამოკითხვამ აჩვენა, რომ სკოლის პედაგოგობა, რესპონდენტთა უმრავლესობისათვის, არ არის სწავლაში და საქმეში ხელმოცარულთა „თავშესაფარი“. პირიქით, მათი აზრით, სკოლაში მასწავლებლობას უფრო ის კურსდამთავრებულები იწყებენ, ვინც უმაღლეს სასწავლებელში გამორჩეული სტუდენტი იყო და რომ მასწავლებლობა წარმატებული ადამიანების შეგნებული არჩევანია (იხ. ცხრილი №8):*

ცხრილი №:8

| ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით? | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან სკოლაში მასწავლებლად მუშაობას უფრო ისინი იწყებენ, ვინც სტუდენტობისას არ გამოირჩეოდა სწავლით და მაღალი აკადემიური მიღწევებით | 24.8 | 22.3 |
| სკოლაში მასწავლებლად უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა ის ნაწილი უფრო მიდის, ვინც გამორჩეული სტუდენტი იყო და მაღალი აკადემიური მიღწევები აქვს | 57.0 | 55.6 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *18.3* | *22.1* |
| | | |
| სკოლაში მასწავლებლობას ძირითადად ისინი იწყებენ, ვინც სხვა საინტერესო ვერ იპოვა ან სხვა საქმეში წარმატებას ვერ მიაღწია | 34.2 | 30.3 |
| სკოლის პედაგოგობა ისეთი პროფესიაა, რომელსაც წარმატებული ადამიანები შეგნებულად ირჩევენ | 53.1 | 55.6 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *12.7* | *14.1* |

ისმის კითხვა: არის თუ არა პედაგოგობის ყველა ის ზემოაღნიშნული ხიბლი, რაზეც რესპონდენტები მიუთითებენ, საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ მათ საკუთარი ოჯახის წევრისათვის მასწავლებლობა ისურვონ, სხვა საქმიანობის დაწყების სანაცვლოდ? როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს – არა. აქ საქმე გვაქვს ერთგვარ კოგნიტურ დისონანსთან, რომელიც შეიძლება ასე აღიწეროს: მასწავლებლობა კარგი პროფესიაა, მაგრამ არც იმდენად, რომ ის სასურველ საქმიანობად მივიჩნიოთ. ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტებისთვის სკოლის პედაგოგობა პოზიტიური სიმბოლური ხატია, თუმცა, როგორც კი ეს ხატი რეალობას (ანუ, საკუთარ გამოცდილებას) „ეხება“, მისი დადებითი შინაარსი ფერმკრთალდება (იხ. ცხრილი №9):

ცხრილი №9

| ქვემოთ ჩამოთვლილი ალტერნატიული მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით? | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| მიმაჩნია, რომ ჩემი ოჯახის წევრმა (მეუღლემ, შვილმა, დამ/ძმამ და ა.შ.) სკოლაში მასწავლებლად დაიწყოს მუშაობა | 25.8 | 22.8 |
| მიმაჩნია, რომ ჩემი ოჯახის წევრმა სხვა სამსახური მონახოს, ვიდრე სკოლაში მასწავლებლად წავიდეს | 57.6 | 54.6 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *16.6* | *22.6* |

ის, რომ რესპონდენტები რეალურად მასწავლებლის პროფესიას არ აღიქვამენ, როგორც კონკურენტურნარიანს, სხვა პროფესიებთან შედარებით, დასტურდება გამოკითხვის იმ მონაცემებით, რომლებიც, რესპონდენტთა თვალსაზრისით, სხვადასხვა პროფესიათა პრესტიჟულობას განსაზღვრავს.

ყველაზე პრესტიჟულ პროფესიათა სია, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აზრით, ასე გამოიყურება:

- ექიმი;
- ბიზნესის ადმინისტრატორი;
- ჟურნალისტი;
- მოსამართლე;
- უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი.

ყველაზე არაპრესტიჟულ პროფესიებად რესპონდენტებმა მიიჩნიეს ხელოსნობა და ბაღის მასწავლებლობა[2].

რაც შეეხება სკოლის მასწავლებლობას, ეს პროფესია, ორივე ჯგუფის რესპონდენტთა შეფასებით, პრესტიჟულობის ველში მოხვდა. თუმცა, მისი რეიტინგი 15 ჩამოთვლილ პროფესიას შორის მე-10 ადგილს იკავებს და უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე, მაგალითად, ისეთი პროფესიების, როგორიცაა, სპორტსმენობა და მსახიობობა.

შედეგები დეტალურად მოცემულია ცხრილში №10:

ცხრილი №10

| რამდენად პრესტიჟულია ქვემოთ ჩამოთვლილი პროფესიები ამჟამად თქვენთვის? | ქულა (საშუალო შეფასება) | | გაუჭირდა პასუხის გაცემა (%) | |
|---|---|---|---|---|
| | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. |
| ექიმი | 4.43 | **4.59** | 0.7 | **1.5** |
| ბიზნესის ადმინისტრატორი | 4.43 | **4.47** | 1.0 | **3.0** |
| ჟურნალისტი | 4.21 | **4.39** | 0.8 | **1.0** |
| მოსამართლე | 4.09 | **4.31** | 1.8 | **2.0** |
| უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი | 4.03 | **4.24** | 0.8 | **1.2** |
| სპორტსმენი | 3.63 | **3.80** | 2.5 | **2.7** |
| მეცნიერ-მუშაკი | 3.57 | **3.76** | 3.5 | **2.5** |
| დიზაინერი | 3.55 | **3.66** | 2.3 | **3.7** |
| მსახიობი | 3.54 | **3.76** | 1.8 | **3.5** |
| სკოლის მასწავლებელი | 3.35 | **3.51** | 0.8 | **1.0** |
| მუსიკოსი | 3.18 | **3.31** | 3.2 | **3.7** |
| ინჟინერი | 3.12 | **3.41** | 1.3 | **3.5** |
| პოლიციელი | 3.09 | **3.36** | 2.8 | **2.7** |
| ბაღის მასწავლებელი | 2.62 | **2.90** | 1.8 | **2.2** |
| ხელოსანი | 2.46 | **2.68** | 2.5 | **4.2** |

*შენიშვნა: პროფესიათა პრესტიჟულობა შეფასებულია 5 ქულიან სკალაზე, სადაც ციფრი 1 აღნიშნავს „ყველაზე არაპრესტიჟულს“, ხოლო 5 – „ყველაზე პრესტიჟულს“. სკალის ნეიტრალური პუნქტია 3. პროფესიები, რომელთა რეიტინგი <3-ზე, არაპრესტიჟულობის ველში თავსდება, ხოლო, რომელთა რეიტინგი >3-ზე – პრესტიჟულობის ველში.*

2 რესპონდენტებმა, მოცემული ჩამონათვალის მიხედვით, განსაზღვრეს პროფესიათა პრესტიჟულობის დონე. პროფესიათა სია შედგა იმის გათვალისწინებით, რომ მას მოეცვა საქმიანობის სხვადასხვა სფერო და ტიპი.

# IV. სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი; მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები; მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა

## 4.1. მასწავლებლად მუშაობის დაწყების სურვილი

შეკითხვაზე: „გსურთ თუ არა სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება?“ – სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განსხვავებულად უპასუხეს. სტუდენტების უმრავლესობა სკოლაში მუშაობის სურვილს არ გამოხატავს, ხოლო კურსდამთავრებულთა სურვილები, ამ მიმართულებით, გაყოფილია. ასეთი სხვაობა უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ სტუდენტები, ჯერჯერობით, არ დამდგარან სამუშაო ადგილების შოვნის სირთულეების წინაშე. ამდენად, მათი სურვილები ამ მიმართულებით უფრო „თავისუფალია“. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, ისინი უფრო მეტად აცნობიერებენ უმუშევრობის საშიშროებას და, შესაბამისად, უფრო მეტად „უფრთხილდებიან“ შესაძლო სამუშაო ადგილებს (მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა შორის 80%-ზე მეტი უმუშევარია).

კონკრეტული შედეგები მოცემულია *დიაგრამაზე №5*

დიაგრამა №5




3 დამწყები მასწავლებლის სრული განაკვეთი მოიცავს 18 საათიან დატვირთვას კვირაში.

არის თუ არა საკმარისი მასწავლებლად მუშაობის სურვილი იმისათვის, რომ *რესპონდენტები დათანხმდნენ მუშაობის დაწყებას იმ ხელფასით (170 ლარი),* რაც დამწყები მასწავლებლის თვიურ ანაზღაურებას შეადგენს სრულ განაკვეთზე[3]?

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისთვის ამ შემთხვევაში კიდევ უფრო იკლებს და ორივე ჯგუფის უმრავლესობა უარს აცხადებს ამ ხელფასით მუშაობის დაწყებაზე (ეს უარი ზოგჯერ პრინციპულია („არ დავთანხმდებოდი“), ხოლო ზოგჯერ – ნაკლებად პრინციპული („ალბათ არ დავთანხმდებოდი“). სამიზნე ჯგუფებს შორის მცირე განსხვავება მაინც შეიმჩნევა: მათი ხვედრითი წილი, ვინც ზემოაღნიშნული ანაზღაურებით მასწავლებლობას ემხრობა , კურსდამთავრებულთა შორის უფრო მეტია, ვიდრე სტუდენტთა შორის. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაშიც იგივე მიზეზი მოქმედებს, რაზეც ზემოთ იყო საუბარი *(იხ. დიაგრამ №6):*

დიაგრამა №6



* * *

საინტერესოა ერთი გარემოება: სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მთელ შერჩევაში არსებულ განაწილებასთან შედარებით, იცვლება თუ არა იმ რესპონდენტთა *სოციალურ-დემოგრაფიული სურათი,* რომლებიც თანახმა არიან სკოლაში მუშაობა 170 ლარიანი ხელფასით დაიწყონ?

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები, რომლებიც საყურადღებო განსხვავებას იწვევენ, შემდეგია: სქესი, უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალობა, აკადემიური მოსწრება და დასაქმების სტატუსი. კერძოდ:

- 170 ლარიანი ხელფასით სკოლაში მუშაობის მსურველთა შორის ქალების რაოდენობა მატულობს, ხოლო მამაკაცების, პირიქით, მცირდება (მთელ შერჩევაში არსებულ განაწილებასთან შედარებით);
- ამ ხელფასით მასწავლებლობის დაწყების მსურველთა შორის იზრდება პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების (ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახლაციხის ინსტიტუტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი) რესპონდენტთა (ძირითადად, სტუდენტთა) ხვედრითი წილი; პირიქით, ამ ხელფასით მასწავლებლობის მსურველთა შორის მცირდება თსუ-ს როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების, სტუ-სა და სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტების ხვედრითი წილი.
- აღნიშნული ანაზღაურებით მასწავლებლობის მსურველებში აშკარად იზრდება დაწყებითი განათლების სპეციალობის რესპონდენტთა რაოდენობა. მატულობს, აგრეთვე, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის რესპონდენტთა რიცხვიც, რასაც ვერ ვიტყვით, ვთქვათ, საბუნებისმეტყველო სპეციალობების რესპონდენტებზე.
- ამ ანაზღაურებით მასწავლებლობის დაწყების მსურველთა შორის საშუალო განათლების რესპონდენტებს შედარებით ნაკლებად ვხვდებით.
- ცხადია, ამ ანაზღაურებით პედაგოგობის მსურველთა შორის უმუშევარ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, საერთო განაწილებასთან შედარებით, აშკარად მატულობს.

შედეგები დეტალურად *იხ. ცხრილში №11:*

ცხრილი №11

| დათანხმდებიან სამუშაოზე მუშაობას 170 ლარიანი ხელფასით | სტუდ. (%) | კურსდ. (%) | სტუდ. (მთელი შერჩევა) (%) | კურსდ. (მთელი შერჩევა) (%) |
|---|---|---|---|---|
| სქესი | | | | |
| მდედრობითი | 86.5 | **88.3** | 76.7 | **79.4** |
| მამრობითი | 13.4 | **11.6** | 23.3 | **20.6** |
| უმაღლესი სასწავლებელი (რომელშიც სწავლობს ან დაამთავრა) | | | | |
| ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 16.2 | **9.1** | 25.6 | **15.1** |
| აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი | 10.4 | **25.5** | 7.5 | **16.1** |
| ახალციხის [illegible] | 6.7 | **3.6** | 3.4 | **3.7** |
| ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 18.2 | **8.0** | 14.4 | **11.2** |
| სოხუმის უნივერსიტეტი | 8.2 | **7.1** | 10.7 | **12.2** |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 1.8 | **2.4** | 8.2 | **3.7** |
| თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4.2 | **3.6** | 1.7 | **2.5** |
| სპეციალობა | | | | |
| დაწყებითი განათლება | 13.4 | **30.6** | 9.7 | **21.1** |
| ქართული ენა და ლიტერატურა | 15.1 | **18.3** | 12.4 | **12.7** |
| მათემატიკა | 6.7 | **3.7** | 8.4 | **5.5** |
| უცხო ენა | 30.8 | **18.8** | 28.1 | **25.6** |
| ფიზიკა | 2.2 | **0.7** | 5.5 | **2.5** |
| ბიოლოგია | 3.8 | **1.8** | 5.4 | **4.0** |
| აკადემიური მოსწრება | | | | |
| უმაღლესი | 23.4 | **25.4** | 21.4 | **22.8** |
| ძალიან კარგი | 33.7 | **24.4** | 27.6 | **25.8** |
| კარგი | 32.7 | **38.6** | 32.0 | **35.5** |
| საშუალო | 9.6 | **11.1** | 17.1 | **14.9** |
| დამაკმაყოფილებელი | 0.5 | **0.5** | 1.8 | **1.0** |
| ხართ თუ არა დასაქმებული? | | | | |
| არა ვარ | 94.9 | 91.8 | 87.8 | 81.6 |
| ვარ | 5.0 | 8.2 | 12.2 | 18.4 |

*შენიშვნები:*

*• ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია საერთო შერჩევაში არსებულ განაწილებასთან განსხვავების თვალსაზრისით. ამდენად, გარკვეულ მახასიათებლებთან (უმაღლესი სასწავლებელი, სპეციალობა) დაკავშირებით, პასუხთა პროცენტული ჯამი 100%-ს არ შეადგენს.*

*• მოცემულ ცხრილში ერთმანეთთან შესადარებლად აღებულია ორი ერთობლიობა: ა) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მთელი შერჩევა (600 სტუდენტი და 400 სტუდენტი) და ბ) ისინი, ვინც 170 ლარიანი ხელფასით სკოლაში მუშაობაზე თანახმანი არიან. ასე რომ, ვთქვათ, ცხრილში მოცემული მონაცემი, რომ (ბ) კატეგორიის სტუდენტთა შორის 30.8% უცხო ენის პედაგოგები არიან, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ უცხო ენის სპეციალობის სტუდენტთა 30.8% ამ ხელფასით სკოლაში წამსვლელია. თუ ამ რაოდენობას მთელი შერჩევისთვის დავითვლით, უცხო ენის სპეციალობის მქონე სტუდენტთა ხვედრითი წილი იქნება 5.2%.*

## 4.2. მასწავლებლად მუშაობის დაწყების დამატებითი პირობები

ორივე ჯგუფის იმ რესპონდენტებს, რომლებსაც არ გამოუთქვამთ პრინციპული თანხმობა სკოლაში 170 ლარად მასწავლებლად მუშაობის დაწყებაზე (ანუ, მათ, ვინც უპასუხეს: *„ალბათ დავთანხმდებოდი", „ალბათ არ დავთანხმდებოდი" და „არ დავთანხმდებოდი"),* შესაძლებლობა ჰქონდათ, ღია შეკითხვაში გამოეხატათ თავიანთი პოზიცია იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა ის მინიმალური ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც სკოლაში მასწავლებლად მუშაობას დაიწყებდნენ. რესპონდენტთა თვალსაზრისები ასე განაწილდა *(იხ. ცხრილი №12):*

ცხრილი №12

| რა არის ის მინიმალური ანაზღაურება, რომლის შემთხვევაშიც, შესაძლოა, დაიწყოთ სკოლაში მასწავლებლად მუშაობა? | სტუდენტები | კურსდამთავრებულები |
|---|---|---|
| საშუალო თანხა | 458.8 ლარი | 470.3 ლარი |
| | % | % |
| არანაირ ანაზღაურებაზე არ დავთანხმდებოდი | 13.5 | 10.7 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 10.3 | 12.6 |

*შენიშვნა: ცხრილში მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან[4], არამედ რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, რომელმაც შეკითხვაზე: „დათანხმდებოდით თუ არა დამწყები მასწავლებლის ხელფასით (170 ლარი) სკოლაში მუშაობაზე?" – არ უპასუხა „დავთანხმდებოდი".*

რესპონდენტთა მზაობა გაზრდილი ანაზღაურების პირობებში სკოლაში მუშაობის დასაწყებად, სხვადასხვა ფინანსური ინტერვალის მიხედვით, ასე განაწილდა *(იხ. დიაგრამები №№7,8)*:

დიაგრამა №7




4 მთელი შერჩევა, ანუ ა) 600 სტუდენტი და ბ) 400 კურსდამთავრებული.

დიაგრამა №8




*შენიშვნები დიაგრამებისთვის №№7,8:*

*1. წითელ სვეტებში მოცემულია რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც შეკითხვაზე: „დაიწყებდით თუ არა სკოლაში მუშაობას დამწყები მასწავლებლის ხელფასით (170 ლარი) ?" – დაასახელა განსაზღვრული თანხა (ასეთია სტუდენტების მთელი შერჩევის 63.2%, ხოლო კურსდამთავრებულების მთელი შერჩევის 53.4%).*

*2. ლურჯ სვეტებში რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც განსაზღვრული თანხა დაასახელა, წარ-მოდგენილია, როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.*

*3. რუხ სვეტებზე გამოხატული პროცენტები აღწერს რესპონ-დენტთა იმ ჯამურ ხვედრით წილს, რომელიც, შესაბამისი ფინ-ანსური ანაზღაურების შემთხვევაში, მასწავლებლად მუშაობაზე დათანხმდება.*

გამოკითხვის შედეგები მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით:

- მინიმალური ანაზღაურება (რომლის შემთხვევაშიც რესპონდენტები, შესაძლოა, დათანხმდნენ მასწავლებლად მუშაობის დაწყებას), სულ მცირე, 2.7-ჯერ მეტია დამწყები მასწავლებლის დღეს არსებულ მინიმალურ ხელფასზე;
- ანაზღაურების გაზრდის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზრდება მასწავლებლობის პოტენციური კანდიდატთა ხვედრითი წილი;
- თუმცა, სტუდენტების მხოლოდ 16.8%-ია ისეთი, რომელიც თანახმა, არსებული ანაზღაურების პირობებში იმუშაოს სკოლაში (თვეში 170 ლარი), ხოლო, დაახლოებით, 63.5% - ისთვის სკოლაში მუშაობა ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ მინიმალური ხელფასი 460 ლარი მაინც იქნება.
- რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, მათ შორის 23.3%-ია ისეთი, რომელიც თანახმა სკოლაში წავიდეს 170 ლარიანი ანაზღაურების პირობებში, ხოლო, დაახლოებით, 58.7% სკოლაში მუშაობას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს შესაძლებლად, თუ მინიმალური ხელფასი, 470 ლარი მაინც იქნება.
- სტუდენტთა შორის 11.2%-ია ისეთი, რომელიც სკოლაში მასწავლებლად მუშაობას გამორიცხავს, ნებისმიერი ანაზღაურების პირობებშიც კი; კურსდამთავრებულთა შორის, ასეთი კატეგორიული პოზიცია უკავია 8.3%-ს.
- სტუდენტთა ჯგუფში მათი ხვედრითი წილი, რომელთაც უჭირთ იმის განსაზღვრა, წავლენ თუ არა სკოლაში სამუშაოდ განსაზღვრული ანაზღაურების პირობებში, 8.5%-ია; ეს პროცენტული მაჩვენებელი კურსდამთავრებულთა შორის 9.7%-მდე იზრდება.

## 4.3. მასწავლებლობა ვერსუს სხვა საქმიანობა

ისმის კითხვა: *რამდენად ორიენტირებულია სკოლაში მუშაობაზე სამიზნე ჯგუფების ის ნაწილი, რომელიც, არსებული თუ უკეთესი ანაზღაურების პირობებში, არ გამორიცხავს სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას* (ანუ, ეს ის ნაწილია, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: *„არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას “)?* როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ პოზიციაზეა სტუდენტების 11.2% და კურსდამთავრებულების - 8.3%.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ამ კატეგორიის სტუდენტების 40.4%–ისთვის, ხოლო კურსდამთავრებულთა 38.9%-ისთვის მასწავლებლობა არ არის პრიორიტეტული საქმიანობა და მას სიამოვნებით ან უმტკივნეულოდ ჩაანაცვლებდნენ სხვა, იმავე რანგის და ანაზღაურების სამსახურით.

მასწავლებლობას, იმავე რანგის და ანაზღაურების სხვა სამსახურთან შედარებით, მეტ-ნაკლებად პრიორიტეტულად თვლის მასწავლებლობის მიმართ ლოიალურად განწყობილი სტუდენტების 44.3%, ხოლო კურსდამთავრებულთა 48.6% *(იხ. დიაგრამა №9):*

დიაგრამა №9




*შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას“.*

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ მონაცემებიდან (იგულისხმება დიაგრამა №9)?

შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლობის კანდიდატთა ხვედრითი წილი, ორივე სამიზნე ჯგუფში, კიდევ უფრო გამოიკვეთა: სტუდენტთა შორის (მთელი შერჩევის გათვალისწინებით) 39.3%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 44.5% შეიძლება განვიხილოთ, როგორც მასწავლებლობის პოტენციურ კანდიდატთა ბაზა.

მეორე მხრივ, როგორც მონაცემები აჩვენებს, სტუდენტთა ამ ნაწილიდან მხოლოდ 17.6% გამოხატავს მასწავლებლად დასაქმების პრინციპულ სურვილს (ეს პრაქტიკულად ის რაოდენობაა, რომელიც პედაგოგობაზე არსებული ანაზღაურების პირობებშიც თანხმდება). სტუდენტთა დარჩენილი ნაწილი (21.7%) მასწავლებლობას სხვა საქმიანობასთან შედარებით პრიორიტეტულად მიიჩნევს, თუმცა, არა უალტერნატივოდ. (როგორც ირკვევა, ეს ის ნაწილია, რომელიც მასწავლებლობაზე მხოლოდ გაზრდილი ანაზღაურების პირობებში თანხმდება).

რაც შეეხება კურსდამთავრებულებს (რომლებიც მასწავლებლობის მეტ-ნაკლებად რეალურ კანდიდატებად მოაზრებიან), მათგან მხოლოდ 19.7%-ია მასწავლებლობაზე პრინციპულად ორიენტირებული, ხოლო 24.8% მასწავლებლობას პრიორიტეტულად მიიჩნევს, თუმცა, არა უალტერნატივო საქმიანობად (მათ შორის აბსოლუტურ უმრავლესობას ისინი შეადგენენ, ვინც მასწავლებლად მუშაობას მხოლოდ გაზრდილი ანაზღაურების პირობებში დათანხმდება).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების და კურსდამთავრებულების დღეს არსებულ ნაკადში მასწავლებლად დასაქმებისთვის ყველაზე რეალური რაოდენობა სტუდენტებს შორის არის თითქმის 18%, ხოლო კურსდამთავრებულებს შორის – თითქმის 20%. ეს მაჩვენებლები ორივე ჯგუფისათვის შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს (მაქსიმალური თეორიული ზღვარი სტუდენტთა შორის 40%-მდეა, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 45%-მდე). ამის მთავარ პირობას, როგორც ითქვა, მინიმალური ხელფასის 300%-მდე გაზრდა წარმოადგენს.

გამოკითხვის შედეგად შესაძლებელი გახდა რესპონდენტთა იმ ნაწილის გამოვლენა, ვისთვისაც მასწავლებლობა *უპირველესი პრიორიტეტია* და მას სხვა პროფესიაში არ გაცვლიან. ინდიკატორად გამოყენებულ იქნა რესპონდენტების გადაწყვეტილება, თუ რას აირჩევენ ისინი – მასწავლებლობას თუ მეტ-ნაკლებად საინტერსო *სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით.*

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ არჩევანის წინაშე დადგნენ ის რესპონდენტები, რომლებიც არ გამორიცხავენ სკოლაში მასწავლებლად მუშაობას? (ანუ, ეს ის ნაწილია, რომელიც არ იზიარებს პოზიციას: *„არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას.“).*

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლობის მიმართ ლოიალურად განწყობილი რესპონდენტების – როგორც სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების – მხოლოდ მცირე ნაწილი ამჟღავნებს პრინციპულ ერთგულებას სკოლის პედაგოგის საქმიანობის მიმართ. სტუდენტებს შორის პოზიციას – *„არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით“* – ირჩევს 4.5%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის 3.5.%. მასწავლებლობის ასეთ „უპირობო სიყვარულთან“ სიახლოვეს ამჟღავნებს დამატებით რესპონდენტთა ის ნაწილი, ვინც ირჩევს პოზიციას: „ალბათ არ დავთანხმდებოდი *სხვა სამსახურს უკეთესი ანაზღაურებით“ (იხ. დიაგრამა №10):*

დიაგრამა №10




*შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას.“.*

თუ დიაგრამაზე მოცემულ მაჩვენებლებს სამიზნე ჯგუფების *მთელი შერჩევისთვის* დავითვლით, აღმოჩნდება, რომ მასწავლებლობის „თავგადაკლული“ მსურველები სტუდენტთა არსებულ ნაკადში მხოლოდ 4.0%-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 3.2%. მეტ-ნაკლებად ასეთივე განწყობისაა დამატებით სტუდენტების 5.6% და კურსდამთავრებულების 5.5%.

## 4.4. მასწავლებლობა არაკომფორტულ (ან „ექსტრემალურ“) პირობებში

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ორივე ჯგუფის იმ რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (65%-ზე მეტი), რომლებიც გადაჭრით არ ეწინააღმდეგებიან სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებას (ანუ, არ ირჩევენ პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას.), მასწავლებლად წასვლაზე არ თანხმდება, თუ ამისთვის *საკუთარი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა* მოუწევს. ასეთ „მსხვერპლს“ უმტკივნეულოდ გაიღებდა სტუდენტთა მხოლოდ 10.6% და კურსდამთავრებულთა 13.8%.

შედეგები დეტალურად *იხ. დიაგრამაზე №11:*

დიაგრამა №11



*შენიშვნა: დიაგრამაზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას“.*

როგორც ირკვევა, *ანაზღაურების ფაქტორმა,* შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვალოს იმ რესპონდენტების განწყობა, რომლებსაც არ სურთ მასწავლებლობისთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. კერძოდ, თვეში 780 ლარამდე მინიმალური ანაზღაურების პირობებში, ასეთ სტუდენტთა 57.4% თანხმდება მასწავლებლად მუშაობის დაწყებას სხვა საცხოვრებელ ადგილას. იგივეს გააკეთებდა ამ კატეგორიის კურსდამთავრებულთა 61.1%, თუ მინიმალური ანაზღაურება თვეში 830 ლარამდე იქნებოდა

დეტალური მონაცემები *იხ. ცხრილში №13:*

ცხრილი №13

| რამდენი უნდა იყოს მინიმალური ანაზღაურება , რომ დაიწყოთ მასწავლებლად მუშაობა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში? | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| საშუალო თანხა | 776.1 ლარი (57.4%) | 825.6 ლარი (61.1%) |
| | | |
| არანაირი ანაზღაურებით არ დავიწყებდი მასწავლებლობას, თუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მომიწევდა | 27.0 | 23.5 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 15.6 | 15.4 |

*შენიშვნა:* ცხრილში მონაცემები დათვლილია სამიზნე ჯგუფების *არა მთელი შერჩევიდან, არამედ იმ რაოდენობიდან, რომელიც:*

*ა) არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არ დავიწყებდი სკოლაში მუშაობას“;*

*ბ) შეკითხვაზე: „დაიწყებდით თუ არა მასწავლებლობას იმ სკოლაში, რომელიც თქვენგან საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ითხოვს?“ - არ პასუხობს „დავიწყებდი“.*

საბოლოოდ ჯამში, ორივე სამიზნე ჯგუფის მიერ შერჩევისთვის მონაცემები ასეთია (იხ. ცხრილი №14):

ცხრილი №14

| დაფინანსებით თუ არა მასწავლებლად მუშაობის ამ სკოლაში, რომელიც თქვენგან საცხოვრებელი ადგილის შეცვლას ითხოვს? | სტუდენტები (მთელი შერჩევა) % | კურსდამთავრებულები (მთელი შერჩევა) % |
|---|---|---|
| დაფინანსების გარეშე შემთხვევაში | 9.5 | 12.9 |
| მისაღებია, რომ დაფინანსდება, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნება – | (≈780 ლ) 45.1 | (≈830 ლ) 48.7 |
| არანაირი ანაზღაურებით არ დავთანხმდები მასწავლებლობას, თუ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა მომიწევს | 21.4 | 18.2 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 12.8 | 12.1 |

საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისათვის, სხვადასხვა ფინანსური ინტერვალის მიხედვით, ასე განაწილდა *(იხ. დიაგრამები №№12,13)*:

დიაგრამა №12



დიაგრამა №13




*შენიშვნები დიაგრამებისთვის №№12,13:*

*1. წითელ სვეტებში მოცემულია რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც შეკითხვაზე: „რამ-დენს უნდა შეადგენდეს მინიმალური ანაზღაურება იმისთვის, რომ დათანხმდეთ მასწავლებლად მუშაობას საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში?“ – დაასახელა განსაზღვრული თანხა (ასეთია სტუდენტების 45.1%, ხოლო კურსდამთავრებულების 48.7%).*

*2. ლურჯ სვეტებში რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც განსაზღვრული თანხა დაასახ-ელა, წარმოდგენილია, როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებუ-ლია ამ ერთობლიობის შიგნით.*

*3. რუხ სვეტებზე გამოხატული პროცენტები აღწერს რესპონდენტთა იმ ჯამურ ხვედრით წილს, რომელიც, გარკვეული ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში, მასწავლებლად მუშაობაზე დათანხმდება.*

კიდევ უფრო მცირეა სტუდენტების და კურსდამთავრებულების მზაობა მასწავლებლად მუშაობისათვის მაშინ, თუ მათ პედაგოგობა რთული კლიმატური პირობების და მოუწყობელი საცხოვრებელი გარემოს (უგზოობა, უგაზობა და ა.შ.) ვითარებაში მოუწევთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, მნიშვნელობა აქვს იმას, რთული საცხოვრებელი გარემო რესპონდენტებს საკუთარ რეგიონში ხვდებათ, თუ – სხვა რეგიონში. საკუთარ რეგიონში რთულ კლიმატურ საცხოვრებელ პირობებში მასწავლებლობის მსურველი ძალიან ცოტაა, ხოლო სხვა რეგიონში, პრაქტიკულად, არ არსებობს.

შედეგები დეტალურად მოცემულია *დიაგრამებზე №№14,15:*

დიაგრამა №14



დიაგრამა №15




*შენიშვნა: დიაგრამებზე მონაცემები დათვლილია არა მთელი შერჩევიდან, არამედ სამიზნე ჯგუფების იმ რაოდენობიდან, რომელიც არ ირჩევს პოზიციას: „არანაირი ანაზღაურების პირობებში არდავიწყებდი სკოლაში მუშაობას".*

იცვლება თუ არა რესპონდენტთა მზაობა მაშინ, როდესაც საქმეში *ანაზღაურების ფაქტორი* ერთვება? გამოკითხვა აჩვენებს, რომ რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ გარემოში მასწავლებლობის მიმართ მეტნაკლებად სკეპტიკურად განწყობილ რესპონდენტთა (ორივე ჯგუფში) შორის:

ა) სულ მცირე, ყოველი მეორე[5] შეიცვლიდა პოზიციას და *საკუთარი რეგიონის* რთულ პირობებში დაიწყებდა მასწავლებლობას, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნებოდა, დაახლოებით, 820 ლარი (სტუდენტების აზრით) ან 900 ლარი (კურსდამთავრებულების აზრით);

ბ) სულ მცირე, ყოველი მესამე[6] დათანხმდებოდა *სხვა რეგიონის* რთულ პირობებში მასწავლებლობას, თუ მინიმალური ანაზღაურება

იქნებოდა დაახლოებით 1230 ლარი (სტუდენტები), ან – 1310 ლარამდე (კურსდამთავრებულები).

საბოლოო ჯამში, ორივე სამიზნე ჯგუფის მიერ შეწყვეტილი მონაცემები ასეთია (იხ. ცხრილი №15):

ცხრილი №15

| დაიწყებდით თუ არა მასწავლებლად მუშაობას რთული კლიმატური და საცხოვრებელი გარემოს პირობებში? | სტუდენტები (მაღალი ზღვარი) % | | კურსდამთავრებულები (მაღალი ზღვარი) % | |
|---|---|---|---|---|
| | საკუთარ რეგიონში | სხვა რეგიონში | საკუთარ რეგიონში | სხვა რეგიონში |
| დავიწყებდი ყველა შემთხვევაში | 3.9 | 1.5 | 4.3 | 2.5 |
| მოსალოდნელია, რომ დავიწყებ, თუ მინიმალური ანაზღაურება იქნება ... | 820 ლ. 46.5 | 1230 ლ. 32.4 | 900 ლ. 46.7 | 1310 ლ. 31.5 |
| არანაირი ანაზღაურებით არ დავიწყებდი მასწავლებლობას რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ პირობებში | 26.5 | 43.7 | 29.1 | 46.9 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 11.9 | 11.2 | 11.7 | 11.0 |

ცხრილში მოტანილი მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ანაზღაურების ფაქტორი გაცილებით ეფექტურად მუშაობს მაშინ, როდესაც საქმე ეხება საკუთარ რეგიონში საცხოვრებლად რთულ პირობებში მუშაობას. ისიც ნათელია, რომ ისინი, ვინც სხვა რეგიონში (თანაც, რთულ პირობებში) წასვლაზე თანხმდებიან, ანაზღაურებას გაცილებით ზრდიან.

საკუთარ ან სხვა რეგიონში რთულის საცხოვრებელი გარემოს პირობებში რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისათვის, სხვადასხვა ფინანსური ინტერვალის მიხედვით, ასე განაწილდა *(იხ. დიაგრამები №№16,17,18,19):*

5 რთულ პირობებში მუშაობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი სტუდენტების 54.8% და კურსდამთავრებულების 53.3%.

6 რთულ პირობებში მუშაობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი სტუდენტების 37.4% და კურსდამთავრებულების 35.0%.

დიაგრამა №16




დიაგრამა №17



დიაგრამა №18




დიაგრამა №19



*შენიშვნები დიაგრამებისთვის №№16,17,18,19:*

*1. წითელ სვეტებში მოცემულია რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც შეკითხვაზე: „რამდენი უნდა იყოს მინიმალური ანაზღაურება, რომ მასწავლებლად დაიწყოთ მუშაობა თქვენს/სხვა რეგიონში რთული საცხოვრებელი გარემოს პირობებში?" – დაასახელა განსაზღვრული თანხა (ასეთია სტუდენტების 46.5% (საკუთარი რეგიონი) და 32.4% (სხვა რეგიონი), ხოლო კურსდამთავრებულების 46.7% (საკუთარი რეგიონი) და 31.5% (სხვა რეგიონი)).*

*2. ლურჯ სვეტებში რესპონდენტთა ის რაოდენობა, რომელმაც განსაზღვრული თანხა დაასახელა, წარმოდგენილია, როგორც ცალკე ერთობლიობა (100%) და პასუხები გადანაწილებულია ამ ერთობლიობის შიგნით.*

*3. რუხ სვეტებზე გამოხატული პროცენტები აღწერს რესპონდენტთა იმ ჯამურ ხვედრით წილს, რომელიც, გარკვეული ფინანსური ანაზღაურების შემთხვევაში, მასწავლებლად მუშაობაზე დათანხმდება.*

# V. განათლების მაგისტრატურის თავისებურებების შეფასება; განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების სურვილი; სასურველი მინიმალური ხელფასები

## 5.1. განათლების მაგისტრატურის თავისებურებების შეფასება

ორივე სამიზნე ჯგუფის რესპონდენტებმა, ძირითადად, მოიწონეს საშუალო განათლების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ახალი ინიციატივები:

I ინიციატივა: არა ზოგადად ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის, არამედ მხოლოდ განათლების ბაკალავრიატისა და განათლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება;

II ინიციატივა: განათლების ბაკალავრს შეეძლება ასწავლოს მხოლოდ დაწყებით კლასებში (I-VI კლასი), ხოლო ძირითად და დამამთავრებელ კლასებში – მხოლოდ განათლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (60-62%) აღნიშნულ ინიციატივებს გამართლებულად (სავსებით ან უფრო) მიიჩნევს
(*იხ. დიაგრამა №20*):

დიაგრამა №20




## 5.2. განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების სურვილი

მას შემდეგ,რაც რესპონდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია განათლების მაგისტრატურის ხანგრძლივობის (2 წელი) და სავარაუდო საფასურის (წელიწადში 1500 ლარი)შესახებ, მათ დაესვათ შეკითხვა, თუ *რამდენად მოსალოდნელია, რომ ისინი, აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ჩააბარებენ განათლების მაგისტრატურაში, რათა შემდეგ დაიწყონ მაღალ კლასებში მასწავლებლად მუშაობა.* სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პასუხები ასე განაწილდა *(იხ. დიაგრამა №21):*

დიაგრამა №21




როგორც დიაგრამაზე მოტანილი მონაცემები აჩვენებს, ორივე სამიზნე ჯგუფში თითქმის თანაბარი რაოდენობა, საშუალოდ 17%, გამოხატავს გამოკვეთილ მზადყოფნას (არსებული პირობებით) განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების შესახებ. რესპონდენტთა უმრავლესობა ამ პერსპექტივას უარყოფითად უყურებს.

იმ რესპონდნეტებმა, რომლებსაც განათლების მაგისტრატურაში ჩასაბარებლად გამოკვეთილი მზადყოფნა არ აღმოაჩნდათ, დაასახელეს საკუთარი *მიზეზები* ამისათვის. ამ მიზეზებს შორის ძირითადად გამოიკვეთა სამი მიზეზი:

1. სწავლა ფასიანია;
2. მასწავლებლობა არ შედის ჩემს გეგმებში (არ ვაპირებ მასწავლებლობას);
3. არ ღირს ჩაბარება იმ ხელფასის ფასად, რასაც მასწავლებლებს უხდიან.

დეტალურად შედეგები *იხ. ცხრილში №16:*

ცხრილი №16

| | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები % |
|---|---|---|
| მასწავლებლობა არ შედის ჩემს გეგმებში | 33.2 | 28.6 |
| სწავლა ფასიანია | 39.9 | 40.5 |
| არ ღირს ჩაბარება ამ ხელფასის ფონზე, რასაც მასწავლებლებს უხდიან | 21.0 | 22.2 |
| მაგისტრატურაში სწავლა დიდხანს გრძელდება | 3.4 | 2.5 |
| ვაპირებ ჩავაბარო სხვა მაგისტრატურაში | 12.5 | 10.6 |
| ვაპირებ სამსახურის დაწყებას | 9.2 | 11.6 |
| ოჯახური მდგომარეობის გამო | 0.2 | 0.3 |
| სხვა მაგისტრატურაში ჩავაბარე | | 0.3 |
| ჩემი კვალიფიკაცია საშუალებას მაძლევს [illegible] | 0.2 | 2.4 |
| *მიჭირს პასუხის გაცემა* | *4.3* | *6.4* |

შენიშვნა: ცხრილში მონაცემები დათვლილია რესპონდენტთა იმ რაოდენობიდან, რომლებმაც შეკითხვაზე – *„რამდენად მოსალოდნელია, რომ ჩააბაროთ განათლების მაგისტრატურაში?“ არ უპასუხეს: „აუცილებლად ჩავაბარებ“.*

გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის გარკვევას, რამდენად იზრდება განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების მოტივაცია სამიზნე ჯგუფებში, თუ მათთვის შეთავაზებული იქნება შემდეგი *შეღავათიანი პირობები:*

- განათლების მაგისტრატურაში სწავლა იქნება უფასო;
- მაგისტრატურის ხანგრძლივობა შემცირდება ერთ წლამდე;
- მაგისტრატურის კურსდამთავრებულ მასწავლებლებს მნიშვნელოვნად გაეზრდებათ ხელფასი.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ *სამივე ეს პირობა* მნიშვნელოვნად ამაღლებს მაგისტრატურაში ჩაბარების მოტივაციას და ზრდის შესაძლო კანდიდატთა რაოდენობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრატურაში სწავლის საფასურის გაუქმებამ განსაკუთრებით იმოქმედა რესპოდენტთა განწყობაზე.

გამოკითხვის შედეგები, სამივე აღნიშნული შეღავათიანი პირობის გათვალისწინებით, სამიზნე ჯგუფების *მთელი შერჩევისთვის,* დეტალურად მოცემულია *ცხრილებში №№:17,18*

ცხრილი №:17 სტუდენტები

| ჩააბარებთ თუ არა განათლების მაგისტრატურაში? | (%) | | |
|---|---|---|---|
| აუცილებლად (ყველა შემთხვევაში) ჩავაბარებ | 17.5 | | |
| არანაირი პირობის შემთხვევაში არ ჩავაბარებ | 27.3 | | |
| | | | |
| *თუ მაგისტრატურაში სწავლა იქნება უფასო?* | + | + | + |
| მოსალოდნელია ჩავაბარო, თუ მაგისტრატურაში სწავლა იქნება უფასო | 42.2 | | |
| უფასო მაგისტრატურა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ჩავაბარო | 9.0 | | |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 5.0 | | |
| *თუ მაგისტრატურის ხანგრძლივობა შემცირდება 1 წლამდე?* | = 100% | | |
| მოსალოდნელია ჩავაბარო, თუ მაგისტრატურის ხანგრძლივობა შემცირდება 1 წლამდე | | 33.0 | |
| მაგისტრატურის ხანგრძლივობის შემცირება არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ მაგისტრატურაში ჩავაბარო | | 15.3 | |
| მიჭირს პასუხის გაცემა | | 7.0 | |
| *თუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს გაეზრდებათ ხელფასი?* | | = 100% | |
| მოსალოდნელია ჩავაბარო, თუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს გაეზრდებათ ხელფასი | | | 35.8 |
| კურსდამთავრებულთათვის ხელფასის გაზრდა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ მაგისტრატურაში ჩავაბარო | | | 11.6 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | | | 7.7 |
| | | | = 100% |

ცხრილი №:18 კურსდამთავრებულები

| ჩააბარებთ თუ არა განათლების მაგისტრატურაში? | (%) | | |
|---|---|---|---|
| აუცილებლად (ყველა შემთხვევაში) ჩავაბარებ | 16.9 | | |
| არანაირი პირობის შემთხვევაში არ ჩავაბარებ | 23.8 | | |
| | | | |
| *თუ მაგისტრატურაში სწავლა უფასო იქნება?* | + | + | + |
| მოსალოდნელია, ჩავაბარო, თუ მაგისტრატურაში სწავლა იქნება უფასო | 48.2 | | |
| უფასო მაგისტრატურა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ ჩავაბარო | 9.3 | | |
| მიჭირს პასუხის გაცემა | 1.9 | | |
| *თუ მაგისტრატურის ხანგრძლივობა შემცირდება 1 წლამდე?* | = 100% | | |
| მოსალოდნელია, ჩავაბარო, თუ მაგისტრატურის ხანგრძლივობა შემცირდება 1 წლამდე | | 33.3 | |
| მაგისტრატურის ხანგრძლივობის შემცირება არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ მაგისტრატურაში ჩავაბარო | | 20.6 | |
| მიჭირს პასუხის გაცემა | | 5.3 | |
| *თუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს გაუზრდებათ ხელფასი?* | | = 100% | |
| მოსალოდნელია, ჩავაბარო, თუ მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს გაუზრდებათ ხელფასი | | | 43.7 |
| კურსდამთავრებულთათვის ხელფასის გაზრდა არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ მაგისტრატურაში ჩავაბარო | | | 11.3 |
| მიჭირს პასუხის გაცემა | | | 4.3 |
| | | | = 100% |

ისმის კითხვა: რამდენია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი,რომელთ-აც:

ა) არც ერთი ზემოთ დასახელებული პირობა (უფასო მაგისტრატურა, ერთწლიანი მაგისტრატურა, ხელფასის მომატება) ცალ-ცალკე არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განათლების მაგისტრატურაში ჩააბაროს?

ბ) ამ პირობებიდან არ აკმაყოფილებს ორი პირობა მაინც იმისათვის, რომ განათლების მაგისტრატურაში ჩააბაროს?

შედეგები,ორივე ჯგუფის *მთელი შერჩევისთვის*,იხილეთ *ცხრილში №19:*

ცხრილი №19

| | სტუდენტები % | კურსდამთავრებულები (%) |
|---|---|---|
| ვისაც არ აკმაყოფილებს არც ერთი დასახელებული პირობა განათლების მაგისტრატურაში ჩასაბარებლად | 9.7 | 6.6 |
| ვისაც ცალ-ცალკე არ აკმაყოფილებს ორი პირობა მაინც განათლების მაგისტრატურაში ჩასაბარებლად, კერძოდ: | 8.5 | 11.3 |
| • არ აკმაყოფილებს ცალკე არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს უფასო და არც ის, რომ მაგისტრატურადამთავრებულ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი | 0.6 | 0.5 |
| • არ აკმაყოფილებს ცალკე არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს ერთწლიანი და არც ის, რომ მაგისტრატურადამთავრებულ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი | 6.2 | 7.2 |
| • არ აკმაყოფილებს ცალკე არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს უფასო და არც ის, რომ გახდეს ერთწლიანი | 1.7 | 3.6 |

როგორც შედეგები აჩვენებს, არც თუ ისე დიდია იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, ვისთვისაც რომელიმე ერთი დასახელებული შეღავათიანი პირობა იყოს სრულიად არასაკმარისი იმისთვის, რომ მაგისტრატურაში ჩაბარებისკენ უბიძგოს.

ახლა საინტერესოა – ისინი, ვისაც არ აკმაყოფილებს არცერთი ცალკე აღებული პირობა მაგისტრატურაში ჩასაბარებლად, შეიცვლიან თუ არა პოზიციას, თუ რომელიმე *ორი პირობა ან სამივე ერთად* (კომბინაციაში) იქნა შეთავაზებული? *(იხ. ცხრილი №20):*

ცხრილი №20

| რესპონდენტები, ვისაც ცალ-ცალკე არ აკმაყოფილებს არც ერთი დასახელებული პირობა განათლების მაგისტრატურაში ჩასაბარებლად | მოსალოდნელია, ჩააბარონ (%) | | არ არის სავარაუდო, რომ ჩააბარონ (%) | | შეიცვლის პოზიციას (%) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. |
| მაგისტრატურადამთავრებულ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი და თანაც მაგისტრატურა იქნება უფასო | 0.0 | 0.5 | 1.7 | 1.7 | 8.0 | 4.4 |
| მაგისტრატურადამთავრებულ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი და თანაც მაგისტრატურა იქნება ერთწლიანი | 0.2 | 0.0 | 1.7 | 1.7 | 7.8 | 4.8 |
| მაგისტრატურა იქნება უფასო და თანაც ერთწლიანი | 0.4 | 0.0 | 1.7 | 1.9 | 7.6 | 4.6 |
| მაგისტრატურა იქნება უფასო, ერთწლიანი და კურსდამთავრებულ მასწავლებლებს ხელფასიც გაეზრდებათ | 2.2 | 1.4 | 4.2 | 3.1 | 3.3 | 2.0 |

როგორც მონაცემები აჩვენებს, რესპონდენტთა ეს კატეგორია (ანუ, ისინი, ვისთვისაც მაგისტრატურაში ჩასაბარებლად საკმარისი მოტივაცია არ აღმოჩნდა არც ერთი შეთავაზებული პირობა) საკმაოდ ძნელი „გადმოსაბირებელი“ აღმოჩნდა და ვერცერთმა შეთავაზებულმა კომბინაციამ, ძირითადად, შედეგი ვერ გამოიღო. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამივე პირობის გაერთიანებული ვარიანტი: ამ ვარიანტმა სკეპტიკოს რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილში მაგისტრატურაში ჩაბარების მიმართ ინტერესი გააჩინა.

რაც შეეხება იმ მცირერიცხოვან რესპონდენტებს (რომლებიც, ცალ-ცალკე აღებულ რომელიმე ორ შეთავაზებულ პირობას არასაკმარისად მიიჩნევენ), თუ შევთავაზებთ მათ მიერ არასაკმარისად გამოცხადებულ პირობათა კომბინაციას, განსაზღვრული ნაწილი იცვლის პოზიციას და მაგისტრატურაში ჩაბარებისკენ იხრება.

შედეგები ორივე ჯგუფის მთელი შერჩევისათვის დეტალურად *იხ. ცხრილში №21:*

ცხრილი №21

| რესპონდენტები, რომლებიც ცალ-ცალკე არ აკმაყოფილებთ არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს უფასო და არც ის, რომ მაგისტრატურადამდელ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი | მოსალოდნელია, ჩავაბარო (%) | | არ არის საკმარისი, რომ ჩავაბარო (%) | | მიჭირს პასუხის გაცემა (%) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. |
| მაგისტრატურადამდელ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი და თანაც მაგისტრატურა იქნება უფასო | 0.2 | **0.0** | 0.1 | **0.0** | 0.3 | **0.5** |
| | | | | | | |
| **რესპონდენტები, რომლებიც ცალ-ცალკე არ აკმაყოფილებთ არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს ერთწლიანი და არც ის, რომ მაგისტრატურადამდელ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი** | **მოსალოდნელია, ჩავაბარო (%)** | | **არ არის საკმარისი, რომ ჩავაბარო (%)** | | **მიჭირს პასუხის გაცემა (%)** | |
| | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. |
| მაგისტრატურადამდელ მასწავლებლებს გაეზრდებათ ხელფასი და თანაც მაგისტრატურა იქნება ერთწლიანი | 2.2 | **1.8** | 1.2 | **2.0** | 2.8 | **3.4** |
| | | | | | | |
| **რესპონდენტები, რომლებიც ცალ-ცალკე არ აკმაყოფილებთ არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს უფასო და არც ის, რომ გახდეს ერთწლიანი** | **მოსალოდნელია, ჩავაბარო (%)** | | **არ არის საკმარისი, რომ ჩავაბარო (%)** | | **მიჭირს პასუხის გაცემა (%)** | |
| | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. |
| მაგისტრატურა იქნება უფასო და თანაც ერთწლიანი | 1.2 | **1.3** | 0.3 | **1.3** | 0.2 | **1.0** |

გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა, აგრეთვე, იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომლებიც არცერთი ზემოაღნიშნული (იხ. ცხრილი №21) ორი პირობის კომბინაციას საკმარისად არ მიიჩნევენ იმისათვის, რომ მაგისტრატურაში ჩაბარებისთვის პოზიტიურად განეწყონ. *ესაა სტუდენტთა 5.0%, ხოლო კურსდამთავრებულთა 8.2%.* საკითხავია, როგორ მოიქცევიან ეს რესპონდენტები, თუ მათ შესთავაზებენ სამივე პირობის გაერთიანებას, ანუ თუ მაგისტრატურა იქნება უფასო, ერთწლიანი და კურსდამთავრებულ მასწავლებელს ხელფასიც გაეზრდება? როგორც გამოკითხვის ქვემოთ მოტანილი შედეგები აჩვენებს, ამ კატეგორიის რესპონდენტთა უმრავლესობაზე ასეთი შეღავათი დადებითად მოქმედებს და მათ მაგისტრატურაში ჩაბარებისთვის განაწყობს *(იხ. ცხრილი №22):*

ცხრილი №22

| რესპონდენტები, რომლებსაც არ აკმაყოფილებთ არც ერთი ორი პირობის კომბინაცია | მოსალოდნელია, ჩავაბარო (%) | | არ არის საკმარისი, რომ ჩავაბარო (%) | | მიჭირს პასუხის გაცემა (%) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. | სტუდ. | კურსდ. |
| მაგისტრატურა იქნება უფასო, ერთწლიანი და თანაც კურსდამთავრებულ მასწავლებელს ხელფასიც გაეზრდება | 3.7 | **5.0** | 0.1 | **0.5** | 1.2 | **2.6** |

## 5.3. სასურველი მინიმალური ხელფასები

ისმის კითხვა: რა იქნებოდა მასწავლებლის სასურველი მინიმალური ხელფასი ყველა იმ რესპონდენტისათვის, რომელიც, ამა თუ იმ პირობით, განათლების მაგისტრატურაში ჩაბარებას პოზიტიურად უყურებს?

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს:

- განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთა მიერ მასწავლებლად მუშაობის დაწყებისთვის მოთხოვნილი მინიმალური ხელფასი 500-დან 600 ლარამდე მერყეობს. ეს რამდენადმე აჭარბებს (100-150 ლარის ფარგლებში) მასწავლებლობის „საფასურს" იმ შემთხვევისთვის, როდესაც პედაგოგად მუშაობის დაწყების პირობას განათლების მაგისტრატურის გავლა არ წარმოადგენს (როგორც ადრე აღინიშნა, საშუალო მინიმალური სასურველი ხელფასი ამ შემთხვევაში 500 ლარამდეა). მაშასადამე, ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის განათლების მაგისტრატურის გავლის აუცილებელობა (სკოლაში მუშაობის დასაწყებად) *რამდენადმე აძვირებს* მასწავლებლის ვაკანსიას.

- მასწავლებლად მუშაობის დაწყებისათვის მინიმალური ხელფასის რაოდენობის განსაზღვრაზე *გავლენას არ ახდენს* განათლების მაგისტრტურაში ჩასაბარებლად შეთავაზებული სხვადასხვა შეღავათიანი პირობა: არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს უფასო; არც ის, რომ მისი ხანგრძლივობა შემცირდეს ერთ წლამდე და არც ის, რომ მაგისტრატურაგავლილ მასწავლებლებს გაეზარდოთ ხელფასი.

- რაც შეეხება მინიმალური ხელფასის განსაზღვრის შესაძლო ცვალებადობებს განათლების მაგისტრატურის სხვადასხვა შეღავათიანი პირობის კომბინაციის შემთხვევაში, გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულება, პრაქტიკულად, არ არსებობს.

უფრო დეტალურად შედეგები იხ. ცხრილში №23:

გამოკითხვის შედეგები, ორივე სამიზნე ჯგუფის *საერთო შერჩევისათვის,* ასეთია *(იხ. ცხრილი №23):*

ცხრილი №23.

| [illegible] | [illegible] (%) | | [illegible] (%) | | [illegible] ([illegible]) | | [illegible] (%) | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| [illegible] | 17.5 | 16.9 | 15.6 | 13.2 | 585 | 538 | 1.9 | 3.7 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | 42.2 | 48.2 | 34.40 | 37.10 | 570 | 591 | 7.8 | 11.1 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | 33.0 | 33.3 | 28.20 | 28.90 | 586 | 600 | 4.7 | 6.4 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | 35.8 | 43.7 | 30.70 | 33.90 | 570 | 579 | 5.1 | 9.8 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | *9.7* | *6.6* | | | | | | |
| [illegible] | 0.0 | 0.5 | 0.0 | 0.0 | – | – | 0.0 | 0.5 |
| [illegible] | 0.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | – | – | 0.2 | 0.0 |
| [illegible] | 0.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | – | – | 0.0 | 0.0 |
| [illegible] | 2.2 | 1.4 | 0.5 | 0.2 | 701 | 459 | 1.7 | 1.2 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | *0.6* | *0.5* | | | | | | |
| [illegible] | 0.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | – | – | 0.2 | 0.0 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | *6.2* | *7.2* | | | | | | |
| [illegible] | 2.2 | 1.8 | 0.6 | 0.5 | 532 | 743 | 1.6 | 1.3 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | *1.7* | *3.6* | | | | | | |
| [illegible] | 1.2 | 1.3 | 0.5 | 0.0 | 487 | – | 0.7 | 1.3 |
| | | | | | | | | |
| [illegible] | *5.0* | *8.2* | | | | | | |
| [illegible] | 3.7 | 5.0 | 1.8 | 2.1 | 504 | 648 | 1.9 | 2.9 |

# ძირითადი შედეგები და დასკვნები

სამიზნე ჯგუფების (სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების) უმრავლესობა დადებითად აფასებს ბოლო წლებში საშუალო განათლების სფეროში გატარებულ რეფორმებს და მიიჩნევს, რომ ამ რეფორმებმა ხელი შეუწყო საშუალო განათლების განვითარებას საქართველოში. ყველაზე დიდი მხარდაჭერა (ორივე ჯგუფში) წილად ხვდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებას. წარმატებულ ცვლილებებად აღიქმება სკოლებში სამეურვეო საბჭოების შექმნა და სკოლების დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა. დადებითი შეფასების ველში ექცევა, აგრეთვე, სკოლებისათვის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნა.

რესპონდენტთა გამოკვეთილად უარყოფითი შეფასება (ორივე სამიზნე ჯგუფში) წილად ხვდა 12 წლიანი საშუალო განათლების შემოღებას. უარყოფითი შეფასების ველში ექცევა სკოლის დირექტორთა შერჩევის ახალი წესიც.

მასწავლებელთა სერტიფიცირების მოთხოვნის მიმართ ორივე ჯგუფის რესპონდენტებში აშკარა მხარდაჭერაა: უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სერტიფიცირება სავალდებულო უნდა იყოს მასწავლებლებისათვის. ამასთან, ვინც სერტიფიცირებას გაივლის, უნდა მიენიჭოს სხვადასხვა პრივილეგია (მაგ. გაეზარდოს ხელფასი). მათი აზრით, სერტიფიცირებაგაუვლელ მასწავლებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიეცეს სკოლაში მუშაობის უფლება, თუ მის საგანში პედაგოგის ვაკანსია შეუვსებელი დარჩება.

საშუალო განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს შორის ყველაზე მწვავე პრობლემად ორივე სამიზნე ჯგუფში მასწავლებელთა დაბალი ანაზღაურება დასახელდა. სხვა პრობლემათა შორის მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა: სკოლებში დისციპლინის მოშლა; მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია; მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია სწავლისათვის; მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ორივე ჯგუფის რესპონდენტებში მასწავლებლის პროფესიის სიმბოლური და რეალური საზრისები საკმაოდ შორდება ერთმანეთს. მასწავლებლის პროფესიის სიმბოლური ხატი (ანუ, მასწავლებლობა, როგორც ასეთი) რეალურზე გაცილებით პოზიტიურია – ამ ხატის მიხედვით, მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა, რომელსაც სწავლაში წარჩინებული და წარმატებული ადამიანები შეგნებულად

ირჩევენ. თუმცა, როდესაც საქმე ეხება ამ პროფესიის საკუთარი ოჯახის წევრთა გამოცდილებაში „შემოტანას“, ეს უკვე აღარ წარმოადგენს სასურველ პერსპექტივას რესპონდენტთათვის და მათი უმრავლესობა სხვა პროფესიის დაუფლებას უჭერს მხარს.

ამის დამადასტურებელია ისიც, რომ რესპონდენტებმა აღიარეს მასწავლებლის პროფესიის ნაკლებკონკურენტულობა სხვა პროფესიებთან შედარებით. 15 ჩამოთვლილ პროფესიას შორის რესპონდენტებმა მასწავლებლობა გაცილებით ნაკლებპრესტიჟულად მიიჩნიეს, ვიდრე ექიმის, ბიზნესის ადმინისტრატორის, ჟურნალისტის, მოსამართლის, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის. სპორტსმენის, მეცნიერ-მუშაკის, მსახიობის და სხვ. პროფესიები. საბოლოო ჯამში, 15 პროფესიის რეიტინგში მასწავლებლობამ მე-10 ადგილი დაიკავა.

სტუდენტთა არსებული კორპუსიდან, 170 ლარიანი ანაზღაურების პირობებში,რეალურად შესაძლებელია დაახლოებით 17%-ის რეკრუტირება მასწავლებლად. კურსდამთავრებულთა შორის ასეთი პოტენციის მატარებელია 23%. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი ორივე სამიზნე ჯგუფში მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ მოხდება მინიმალური ანაზღაურების შეთავაზება 460-470 ლარის ფარგლებში. გაზრდილი ანაზღაურების პირობებში სტუდენტთა დამატებით 63.5%, ხოლო კურსდამთავრებულთა დამატებით 59% ლოალურია მასწავლებლის საქმიანობის მიმართ (ანუ, ეს ნაწილი სკოლას განიხილავს, როგორც მათი დასაქმების შესაძლო ინსტიტუტს).

ის ნაწილი,რომელიც გამორიცხავს სკოლაში მასწავლებლად მუშაობას (და ამ საკითხს ანაზღაურებაზე დამოკიდებულად არ მიიჩნევს) სტუდენტთა შორის 11%-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 8%.

გამოკითხვის შედეგად კიდევ უფრო გამოიკვეთა მასწავლებლობის კანდიდატთა ბაზა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთ შორის – იმ რესპონდენტთა გამოყოფით,რომელთაც მასწავლებლობა, იმავე რანგისა და ანაზღაურების სხვა სამსახურთან შედარებით, მეტ-ნაკლებად პრიორიტეტულად მიაჩნია.

საბოლოო ჯამში, ირკვევა, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დღეს არსებულ ნაკადში მასწავლებლად დასაქმებისთვის ყველაზე რეალური რაოდენობა სტუდენტებს შორის არის თითქმის 18%, ხოლო კურსდამთავრებულებს შორის – თითქმის 20%. ეს მაჩვენებლები ორივე ჯგუფისათვის შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს (მაქსიმალური თეორიული ზღვარი სტუდენტთა შორის 40%-მდეა, ხოლო კურს-

დამთავრებულთა შორის – 45%-მდე). ამის მთავარ პირობას, როგორც ითქვა, მინიმალური ხელფასის 300%-მდე გაზრდა წარმოადგენს.

გამოკითხვამ გამოავლინა მასწავლებლობის ყველაზე ერთგულ რესპონდენტთა ნაწილი, რომელიც ამ საქმიანობას არ გაცვლიდა სხვა, უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ნაწილი, ორივე სამიზნე ჯგუფში, გაცილებით მცირეა, ვიდრე მასწავლებლობის „ჩვეულებრივი" მსურველების: სტუდენტთა შორის ასეთია 4.0% (რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება კიდევ 5.6% დაემატოს) და კურსდამთავრებულთა შორის – 3.2% (რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება კიდევ 5.5% დაემატოს).

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი (შესაბამისად,9.5% და 12.9%) გამოთქვამს მზადყოფნას იმისათვის,რომ მასწავლებლობა, დღეს არსებული ანაზღაურების პირობებში, სხვა საცხოვრებელ ადგილას დაიწყოს. თუმცა, ანაზღაურების გაზრდის შემთხვევაში ვითარება არსებითად იცვლება: თუ მინიმალური ანაზღაურება თვეში დაახლოებით 780 ლარი იქნება, მოსალოდნელია, დამატებით სტუდენტების 45.1% დათანხმდეს მასწავლებლობას სხვა საცხოვრებელ ადგილას. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლას და მასწავლებლობის დაწყებას შესაძლებლად მიიჩნევს კურსდამთავრებულების 48.7%, დაახლოებით, 830 ლარიანი მინიმალური ანაზღაურების პირობებში.

კიდევ უფრო „ძვირი" ჯდება მასწავლებლობა იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტებს მის დაწყებას სთავაზობენ რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ პირობებში, მით უფრო, სხვა რეგიონში გადასვლით. ამ შემთხვევაში რესპონდენტთა მზაობა მასწავლებლობისათვის (არსებული ანაზღაურების პირობებში) უაღრესად დაბალია. თუმცა, ფინანსები ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რესპონდენტთა მოტივაციის ზრდისთვის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე საკუთარ რეგიონში რთულ პირობებში მუშაობას ეხება – ყოველი მეორე სტუდენტი, მინიმუმ 820 ლარიანი ანაზღაურების პირობებში, შესაძლებლად მიიჩნევს მასწავლებლად მუშაობას. ყოველი მეორე კურსდამთავრებულისათვის ასეთ ვითარებაში მასწავლებლობის საფასური ცოტა უფრო მეტი აღმოჩნდა – მინიმუმ 900 ლარამდე.

რაც შეეხება მასწავლებლობის დაწყებას სხვა რეგიონის რთულ კლიმატურ და საცხოვრებელ ვითარებაში – ანაზღაურების ფაქტორი დადებითი მოტივაციის გაჩენისათვის ეფექტური აღმოჩნდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა, საშუალოდ, მესამედისათვის, თუმცა, გაცილებით მაღალი მინიმალური ანაზღაურების ფასად: სტუდენტებისთვის

ეს მინიმუმი 1230 ლარია, ხოლო კურსდამთავრებულებისთვის – 1310 ლარი. ორივე ჯგუფში ყოველი მეორე რესპონდენტი აცხადებს, რომ არანაირი ანაზღაურების ფასად არ დაიწყებდა მუშაობას სხვა რეგიონის საცხოვრებლად რთულ გარემოში.

ორივე ჯგუფის რესპონდენტთა უმრავლესობა იწონებს საშუალო განათლების რეფორმის ფარგლებში დაგეგმილ ახალ ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებს იმას, რომ ა) სკოლაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება შეეძლება მხოლოდ განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს და ბ) განათლების ბაკალავრს შეეძლება ასწავლოს მხოლოდ დაწყებით კლასებში (I-VI კლასი), ხოლო ძირითად და დამამთავრებელ კლასებში – მხოლოდ განათლების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს.

განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების გამოკვეთილ სურვილს, იმ შემთხვევაში, თუ ის იქნება ორწლიანი და ფასიანი (წელიწადში 1500 ლარი), სტუდენტთა შორის თითქმის 18%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 17% გამოთქვამს. რესპონდენტთა დარჩენილი ნაწილი, რომელსაც ასეთი სურვილი არ გამოუთქვამს, ამისათვის სხვადასხვა მიზეზს ასახელებს, რომელთა შორის იკვეთება სამი: ა) სწავლა ფასიანია; ბ) მასწავლებლობა არ შედის ჩემს გეგმებში; გ) არ ღირს მაგისტრატურაში ჩაბარება იმ ხელფასის ფასად, რასაც მასწავლებლებს უხდიან.

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების მიმართ მეტ-ნაკლებად სკეპტიკურად განწყობილ რესპონდენტთა „გადმოსაბირებლად“ ეფექტურია ისეთი შეღავათები, როგორიცაა მაგისტრატურის საფასურის მოხსნა, მისი ხანგრძლივობის ერთ წლამდე შემცირება და მაგისტრატურის გავლის საფასურად მაღალი ანაზღაურების შეთავაზება მასწავლებლად მუშაობის დაწყებისას. დამატებით, ორივე ჯგუფის რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს (მერყეობს 33%-დან 48.0%-მდე), ამა თუ იმ დასახელებული შეღავათის პირობებში, გაუჩნდა მაგისტრატურაში ჩაბარების მიმართ ინტერესი.

იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომელთათვისაც საკმარისი არ აღმოჩნდა არც ერთი, ცალკე აღებული შეღავათიანი პირობა იმისთვის, რომ განათლების მაგისტრატურაში ჩაბარებაზე იფიქროს, სტუდენტთა შორის 9.7%-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 6.6%. ამ ნაწილის გადმობირება, ძირითადად, წარუმატებელი აღმოჩნდა ისეთი „მომხიბვლელი“ შეთავაზებების მიუხედავად, როგორიცაა სამივე ზემოაღნიშნული პირობის (უფასო, ერთწლიანი მაგისტრატურა და მისი დასრულების შემდეგ მაღალი ანაზღაურება), ან მათგან რომელიმე ორის ერთდროუ-

ლად დაკმაყოფილება.

იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილი, რომელთაც მაგისტრატურის მიმართ ინტერესი არ გაუღვიძა აღნიშნული სამი პირობიდან რომელიმე, ცალკე აღებულმა ორმა პირობამ, სტუდენტთა შორის 8.5%-ია, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 11.3%. ამ კატეგორიის რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილში ეფექტურად იმუშავა ორი შეღავათიანი პირობის გაერთიანების შეთავაზებამ: სტუდენტთა შორის დამატებით 3.5%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის – 3.1% დადებითად განეწყო განათლების მაგისტრატურაში ჩაბარების მიმართ.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა რესპონდენტთა კიდევ ერთი მცირერიცხოვანი კატეგორია – ისინი, ვისთვისაც არც ერთი რომელიმე ორი შეღავათიანი პირობის კომბინაცია საკმარისი არ აღმოჩნდა განათლების მაგისტრატურის მიმართ ინტერესის გაჩენისთვის (სტუდენტებში ასეთი 5.0%-ია, ხოლო კურსდამთავრებულებში – 8.2%). თუმცა, აღმოჩნდა, რომ თუ ამ კატეგორიას სამივე ზემოაღიშნულ შეღავათს ერთად შევთავაზებთ, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, მოსალოდნელია, პოზიცია შეიცვალოს და მაგისტრატურაში ჩააბაროს (სტუდენტებს შორის პოზიციის შეცვლის მზაობას გამოხატავს 3.7%, ხოლო კურსდამთავრებულთა შორის 5.0%).

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ განათლების მაგისტრატურის გავლის აუცილებლობა პედაგოგად მუშაობის დაწყების „საფასურს“ რამდენადმე აძვირებს: თუ, განათლების მაგისტრატურის მოთხოვნის გარეშე, სასურველი მინიმალური ხელფასი თვეში 500 ლარამდეა, მაგისტრატურაში ჩაბარების პირობის არსებობის შემთხვევაში მინიმალური ხელფასის რაოდენობა 600 ლარამდე მატულობს. ამასთან, მინიმალური ხელფასის რაოდენობის განსაზღვრაზე გავლენას არ ახდენს განათლების მაგისტრატურაში ჩასაბარებლად შეთავაზებული სხვადასხვა შეღავათიანი პირობა: არც ის, რომ მაგისტრატურა იყოს უფასო; არც ის, რომ მისი ხანგრძლივობა შემცირდეს ერთ წლამდე და არც ის, რომ მაგისტრატურაგავლილ მასწავლებლებს გაეზარდოთ ხელფასი.

# შემაჯამებელი დასკვნა[1]

## 1. მასწავლებელთა არსებული და საჭირო რაოდენობა

ეროვნული სასწავლო გეგმით (2007-2008 სასწავლო წლებისთვის) გათვალისწინებულ აუცილებელ საგნებში[2] დღეს მასწავლებელთა არსებული რაოდენობაა 71,191, ხოლო საჭირო – 71,976, ანუ მასწავლებელთა საჭირო რაოდენობა საქართველოს სკოლებში არსებულზე 785-ით მეტია.

მასწავლებელთა არსებული და საჭირო რაოდენობები, რეგიონებისა და საგნების მიხედვით მოცემულია *ცხრილებში №№1,2:*

ცხრილი №1: მასწავლებელთა არსებული რაოდენობა

| რეგიონი | ზოგადი დაწყებითი | ქართული | სხვა მშობლიური ენა | მათემატიკა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | გეოგრაფია | ისტორია | უცხო ენა | მუსიკა | სახვითი ხელოვნება | ფიზიკური აღზრდა | სამოქალაქო განათლება | ხაზვა | შრომითი სწავლება | ბუნებისმეტყველება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 1454 | 768 | 37 | 612 | 254 | 206 | 227 | 217 | 477 | [illegible] | 209 | 214 | 278 | 163 | 94 | 225 | 45 | 6431 |
| თბილისი | 2984 | 1996 | 45 | 1376 | 467 | 435 | 433 | 400 | 801 | 3893 | 330 | 376 | 483 | 258 | 127 | 272 | 149 | 14025 |
| შიდა ქართლი | 1295 | 740 | 8 | 540 | 209 | 163 | 159 | 191 | 373 | 804 | 165 | 107 | 262 | 127 | 95 | 216 | 55 | 5703 |
| ქვემო ქართლი | 1909 | 945 | 359 | 740 | 301 | 240 | 284 | 270 | 510 | 1160 | 168 | 177 | 333 | 124 | 115 | 195 | 63 | 7898 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1055 | 504 | 259 | 406 | 188 | 144 | 158 | 165 | 345 | 551 | 126 | 118 | 210 | 87 | 74 | 142 | 43 | 4571 |
| აჭარა | 1007 | 911 | 0 | 643 | 265 | 215 | 277 | 259 | 480 | 1195 | 220 | 213 | 337 | 163 | 103 | 212 | 53 | 7355 |
| გურია | 623 | 305 | 0 | 239 | 94 | 89 | 87 | 96 | 159 | 363 | 96 | 103 | 131 | 68 | 53 | 75 | 26 | 2609 |
| სამეგრელო/ზემო სვანეთი | 1548 | 903 | 15 | 792 | 282 | 244 | 272 | 259 | 499 | 1155 | 255 | 271 | 407 | 173 | 139 | 239 | 134 | 7665 |
| იმერეთი | 2262 | 1514 | 32 | 1150 | 435 | 365 | 391 | 340 | 741 | 1775 | 377 | 435 | 547 | 255 | 209 | 405 | 172 | 11406 |
| რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 533 | 282 | 0 | 202 | 81 | 72 | 77 | 81 | 149 | 321 | 79 | 71 | 107 | 52 | 42 | 80 | 15 | 2252 |
| მცხეთა მთიანეთი | 241 | 152 | 0 | 124 | 48 | 42 | 51 | 48 | 88 | 155 | 45 | 46 | 76 | 36 | 25 | 47 | 13 | 1276 |
| სულ | 15751 | 9100 | 755 | 6824 | 2624 | 2226 | 2456 | 2334 | 4562 | 11662 | 2070 | 2211 | 3172 | 1506 | 1076 | 2108 | 768 | 71191 |

*1 შენიშვნა: შემაჯამებელი დასკვნისთვის ვიხელმძღვანელებთ სკოლებში მასწავლებლების საჭირო რაოდენობის განსაზღვრის მესამე ვარიანტით, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო რეალისტურად გამოიყურება.*

*2 ეს საგნებია: ქართული ენა და ლიტერატურა, მშობლიური ენა (არაქართული სკოლებისათვის), მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენა, ხაზვა, შრომითი სწავლება, სამოქალაქო განათლება, მუსიკა, სახვითი ხელოვნება, ფიზიკური აღზრდა*

## ცხრილი №2: მასწავლებელთა საჭირო რაოდენობა

| რეგიონი | ზოგადი დაწყებითი | ქართული | სხვა მშობლიური ენა | მათემატიკა | ფიზიკა | ქიმია | ბიოლოგია | გეოგრაფია | ისტორია | უცხო ენა | მუსიკა | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | ფიზიკური აღზრდა | სამოქალაქო განათლება | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 1736 | 478 | 0 | 460 | 189 | 180 | 187 | 215 | 303 | 738 | 245 | 179 | 393 | 181 | 5857 |
| თბილისი | 4079 | 1206 | 47 | 1120 | 238 | 238 | 239 | 478 | 765 | 1889 | 542 | 351 | 1023 | 167 | 12414 |
| შიდა ქართლი | 1610 | 440 | 0 | 437 | 180 | 181 | 181 | 211 | 288 | 685 | 233 | 174 | 373 | 172 | 5511 |
| ქვემო ქართლი | 2604 | 755 | 254 | 644 | 268 | 268 | 269 | 321 | 417 | 1040 | 361 | 254 | 571 | 257 | 8791 |
| სამცხე-ჯავახეთი | 1499 | 442 | 210 | 407 | 209 | 208 | 199 | 219 | 257 | 640 | 227 | 193 | 318 | 195 | 5590 |
| აჭარა | 2483 | 592 | 0 | 575 | 242 | 241 | 242 | 280 | 367 | 916 | 338 | 231 | 525 | 231 | 7725 |
| გურია | 840 | 200 | 0 | 196 | 97 | 97 | 98 | 106 | 128 | 314 | 117 | 94 | 189 | 95 | 2746 |
| სამეგრელო/ზემო სვანეთი | 2360 | 600 | 0 | 584 | 253 | 253 | 254 | 301 | 368 | 939 | 326 | 239 | 498 | 240 | 7687 |
| იმერეთი | 3247 | 926 | 0 | 904 | 368 | 371 | 368 | 455 | 583 | 1403 | 473 | 338 | 726 | 346 | 11203 |
| რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი | 634 | 234 | 0 | 203 | 100 | 101 | 101 | 113 | 136 | 323 | 119 | 98 | 177 | 99 | 2810 |
| მცხეთა მთიანეთი | 466 | 115 | 0 | 113 | 66 | 66 | 66 | 70 | 74 | 179 | 73 | 65 | 91 | 66 | 1633 |
| სულ | 21761 | 5978 | 519 | 5642 | 2201 | 2205 | 2203 | 2769 | 3687 | 9013 | 3049 | 4311[1] | 4875 | 2050 | 71976 |

3 2009 წლის სასწავლო გეგმით შრომითი სწავლება გაერთიანდა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, ამდენად მათი მონაცემები ერთადაა დათვლილი.

4 სამოქალაქო განათლების მასწავლებელი არ ჰყავს 590 სკოლას.

## 2. მასწავლებელთა ნაკლებობა

მასწავლებლებთა ნაკლებობა ძირითადად მოდის ისეთ საგნებზე, როგორიცაა:

- ფიზიკური აღზრდა (უნდა დაემატოს 1703 პედაგოგი, ანუ არსებულის 53.7%);
- მუსიკა (უნდა დაემატოს 979 პედაგოგი, ანუ არსებულის 47.3%);
- სამართალი-სამოქალაქო განათლება (უნდა დაემატოს 544 პედაგოგი, ანუ არსებულის 36.1%);

აღნიშნულ საგნებში[4] მასწავლებელთა ნაკლებობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ზოგიერთ საგანში (მაგ. მუსიკა) საათების რაოდენობა გაზრდილია.
2. მოითხოვება, რომ დაწყებით კლასებში ცალკე მასწავლებელი ჰყავდეს ფიზიკურ აღზრდას და მუსიკას.

ბევრ სკოლას აღნიშნულ საგნებში საერთოდ არ ჰყავს პედაგოგები. თავის მხრივ, ამის მიზეზები, შესაძლოა, იყოს: ა)სკოლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის (სპორტული დარბაზი, მუსიკის, შრომის ოთახები და სხვ.) არარსებობა; ბ) არსებული სტერეოტიპი, რომ აღნიშნული საგნები არ არის მთავარი; გ) სკოლაში მუშაობის მსურველ შესაბამის სპეციალისტთა ნაკლებობა; დ) ზოგიერთი საგანი (მაგ. სამოქალაქო განათლება) შედარებით ახალია პროგრამისთვის და სხვ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სკოლები განიცდიან დეფიციტურ საგნებში სპეციალისტების სიმცირეს. ამ საგნებს, როგორც წესი, ითავსებენ სხვა დისციპლინების მასწავლებლები. კერძოდ, სამოქალაქო განათლების, მასწავლებლები პარალელურად არიან სხვა საგნების მასწავლებლებიც.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობაა საქართველოს ყველა რეგიონის თითქმის ყველა სკოლაში. ამის მიზეზი ისაა, რომ ტრადიციულად დაწყებით კლასებად ითვლებოდა I-IV კლასები, ხოლო ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით კლასებად ითვლება I-VI კლასები. აქედან გამომდინარე, საჭირო მასწავლებლების რაოდენობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სპეციალურად უნდა აღინიშნოს გეოგრაფიის მასწავლებელთა შეს-

ახებ: ბაზების ანალიზი აჩვენებს, რომ გეოგრაფიის მასწავლებლთა არსებული რაოდენობა საჭიროზე 435-ით ნაკლებია (ანუ დასამატებელია არსებული რაოდენობის 18.6%).

თუ მასწავლებელთა დანაკლისს რეგიონულ ჭრილში განვიხილავთ, თითქმის ყველა რეგიონი იმეორებს საქართველოს მასშტაბით არსებულ ტენდენციებს. თუმცა, არსებობს გარკვეული გადახრები:

• სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა არა თუ დანაკლისი, არამედ სიჭარბეც კია თბილისის სკოლებში (სამოქალაქო განათლების 91 მასწავლებელი ზედმეტია საჭირო რაოდენობაზე);

• დამატებით, სახვითი ხელოვნების მასწავლებლების ნაკლებობა ფიქსირდება ქვემო ქართლის (77 მასწავლებლით), სამცხე-ჯავახეთის (75-ით), აჭარის (18-ით), რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთის (27-ით) და მცხეთა-მთიანეთის (19-ით) სკოლებში;

• სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის და მცხეთა-მთიანთის სკოლებში ბუნებისმეტყველების არსებულ მასწავლებელთა რაოდენობა ვერ აკომპენსირებს პედაგოგთა ნაკლებობას ისეთ საგნებში, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია.

## 3. მასწავლებელთა სიჭარბე

მასწავლებელთა არსებული რაოდენობა საჭირო რაოდენობაზე მეტია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ აუცილებელ საგნებში:

• ქართული ენა და ლიტერატურა (საჭირო რაოდენობა 3,122 პედაგოგით, ანუ 34.3%-ით ნაკლებია არსებულზე);

• მშობლიური ენა არაქართული სკოლებისათვის (საჭირო რაოდენობა 242 პედაგოგით, ანუ 31.5%-ით ნაკლებია არსებულზე);

• მათემატიკა (საჭირო რაოდენობა 1,182 პედაგოგით, ანუ 17.3%-ით ნაკლებია არსებულზე);

• ფიზიკა (საჭირო რაოდენობა 423 პედაგოგით, ანუ 16.1%-ით ნაკლებია არსებულზე);

• ბიოლოგია (საჭირო რაოდენობა 253 პედაგოგით, ანუ 10.3%-ით ნაკლებია არსებულზე);

• ისტორია (საჭირო რაოდენობა 875 პედაგოგით, ანუ 19.2%-ით ნაკლებია არსებულზე);

• უცხო ენა (საჭირო რაოდენობა 2,649 პედაგოგით, ანუ 22.7%-ით ნაკლებია არსებულზე);

თუ მასწავლებელთა სიჭარბეს რეგიონულ ჭრილში განვიხილავთ, თითქმის ყველა რეგიონი იმეორებს საქართველოს მასშტაბით არსებულ ტენდენციებს. თუმცა, არსებობს გარკვეული გადახრები. კერძოდ, საქართველოს მთიან რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთი) უცხო ენის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა ნაკლებობაა:

1. უცხო ენის პედაგოგები საჭიროზე ნაკლებია სამცხე-ჯავახეთში 89-ით, ხოლო მცხეთა-მთიანეთში - 24-ით;
2. ბიოლოგიის პედაგოგები საჭიროზე ნაკლებია სამცხე-ჯავახეთში 41-ით, რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთში - 24-ით, ხოლო მცხეთა-მთიანეთში - 15-ით;
3. ფიზიკის პედაგოგები საჭიროზე ნაკლებია სამცხე-ჯავახეთში 12-ით, რაჭა-ლეჩხუმ/ქვემო სვანეთში - 19-ით, ხოლო მცხეთა-მთიანეთში - 18-ით;

## 4. მომავალი 10 წლის განმავლობაში მასწავლებელთა რაოდენობის ცვლილების პროგნოზი

მასწავლებელთა მომავალში საჭირო რაოდენობის პროგნოზირება ეყრდნობა შემდეგ დაშვებებს:

1. საპენსიო ასაკს მიღწეული მასწავლებელი აუცილებლად გავა პენსიაზე, ხოლო სხვა მიზეზით პედაგოგი სამუშაოს არ დატოვებს;
2. სასწავლო გეგმები არსებითად არ შეიცვლება;
3. კლასების ჯამური რაოდენობა არსებითად არ შეიცვლება.

თუ აღნიშნული დაშვებები დაირღვა (კერძოდ, თუ სასწავლო საგნების საათობრივი ბადე და კლასების ჯამური რაოდენობა არსებითად შეიცვალა, ან თუ უახლოესი 10 წლის მანძილზე მასწავლებელთა სკოლებიდან მასობრივი გადინება მოხდა), მაშინ მასწავლებელთა რაოდენობის პროგნოზირების მაჩვენებლები მოითხოვს შესაბამის კორექტირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგნოზირების მოდელში მიზანშეწონილად არ ჩაითვალა დემოგრაფიული სურათის, კერძოდ, შობადობის მაჩვენებლების გათვალისწინება. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლების საჭირო რაოდენობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია არა მოსწავლეების,

არამედ კლასების რაოდენობაზე. მართალია, მოსწავლეებისა და კლასების რაოდენობათა შორის გარკვეული მიმართება არსებობს, თუმცა, ეს არ არის მჭიდრო კორელაციური კავშირი – მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ განსაზღვრავს კლასების რაოდენობას (მაგალითად, სოფელში როგორც 5, ისე 30 მოსწავლეზე ერთი კლასი გაიხსნება, ხოლო 31 მოსწავლეზე უკვე 2 კლასის გახსნა იქნება საჭირო).

ზემოთ აღნიშნული დაშვებების გათვალისწინებით, მომავალი 10 წლის განმავლობაში მასწავლებელთა რაოდენობის ცვლილების პროგნოზი ასეთია:

დღეისათვის საპენსიო ასაკისაა, დაახლოებით, 8 500 მასწავლებელი, რომლებიც (ჩვენ მიერ მიღებული დაშვების – პენსიაში გასვლის – შემთხვევაში) 2009 წლამდე დატოვებენ სკოლას. შემდეგი 10 წლის პერიოდში (2009-2018 წწ.), ამავე მიზეზით, წელიწადში, დაახლოებით, 1000-1500 მასწავლებელი დატოვებს სკოლას.

ეს მონაცემები შეესაბამება მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებს, რომელთა თანახმად, მომავალი 10 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 18–20 ათასი მასწავლებელი (ანუ მასწავლებელთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 25%) აპირებს სხვადასხვა მიზეზით (პენსიაში გასვლა, ხელფასის სიცირე და სხვ.) სკოლის დატოვებას.

თუ გავითვალისწინებთ მასწავლებელთა დღეისათვის საჭირო რაოდენობას და დავუშვებთ, რომ ეს მოთხოვნა არ შეიცვლება უახლოესი 10 წლის მანძილზე, 2018 წლისთვის, დაახლოებით, 20 ათასი ახალი მასწავლებლის მომზადება იქნება საჭირო.

რეგიონულ ჭრილში სურათი არ იცვლება: 2009 წლიდან ყველა რეგიონში იქნება მასწავლებელთა ნაკლებობა.

უახლოეს 3-4 წელიწადში მასწავლებელთა შედარებით ნაკლები რაოდენობის მომზადება იქნება საჭირო ისეთ საგნებში, როგორიცაა: ქართული ენა და ლიტერატურა, სხვა მშობლიური ენა (არაქართული სკოლებისთვის), ისტორია, უცხო ენა, მათემატიკა, ფიზიკა.

2009 წლიდანვე მასწავლებელთა ნაკლებობა მოსალოდნელია შემდეგ საგნებში: მუსიკა, ფიზიკური აღზრდა, სამოქალაქო განათლება, ასევე – ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია.

როგორც სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევამ აჩვენა, ამ სამიზნე ჯგუფების დაახლოებით 20% გამოთქვამს სურვილს, არსებული ანაზღაურების პირობებში დაიწყოს სკოლაში მასწავლებლად მუშაობა.

2007 და 2008 წლებში უმაღლეს სასწავლებელთა იმ ფაკულტეტების ბაკალავრიატი, რომლებიც სტუდენტებს სასკოლო დისციპლინების პროფილით ამზადებენ, დაასრულა დაახლოებით 19 000-მა სტუდენტმა (9 500-მა წელიწადში), ხოლო ბაკალავრიატის IV კურსზე გადავიდა აღნიშნული პროფილის 3 500-მდე სტუდენტი[5]. ეს ნიშნავს, რომ 2007 და 2008 წლებში კურსდამთავრებულთა შორის, დაახლოებით, 3 800 ადამიანი გამოთქვამს სკოლაში მუშაობის სურვილს, ხოლო 2009 და შემდეგ წლებში კურსდამთავრებულთა შორის მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი შემცირდება და იქნება, დაახლოებით, 600-700.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლებიდან მასწავლებელთა გადინების საკომპენსაციოდ ყოველწლიურად საჭიროა, დაახლოებით, 2 000 პედაგოგი, მაშინ, სავარაუდოა, რომ პედაგოგობის მსურველთა მოსალოდნელი ნაკადი ვერ შეავსებს პედაგოგთა მომავალში საჭირო რაოდენობას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ საგანში მასწავლებელთა სიჭარბე (მაგ. ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია) ნარჩუნდება მომავალი, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში. თუმცა ამ საგნებში მასწავლებელთა სიჭარბის მიუხედავად, რეგიონულ ჭრილში შეიძლება სხვაგვარი სურათი გვქონდეს და ზოგიერთ სასწავლო დისციპლინაში მასწავლებლის ვაკანსია არ შეივსოს.

5 კურსდამთავრებულთა რიცხვი 2007-2008 წწ.-ში თითქმის განახევრდა, რისი ახსნაც ნაწილობრივ იმით შეიძლება, რომ ზოგიერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა ვერ გაიარა აკრედიტაცია.